ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

# ილორი

www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru

№261 (320) 18-25 მარტი 2014 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

# მიშა შიკლგრუბერი თუ ადოლფ სააკიანცი?!

დიახ, ეს შეკითხვა დღემდე ამოუხსნელ დილემად რჩება არა მხოლოდ ქართული საზოგადოებისათვის – მიხეილ სააკაშვილისადმი მხარდაჭერას დღეს უკვე საჯაროდ ინანიებს ის მაკეინიც კი, რომელსაც ეს უდღეური ნასომხარი სააკაშვილი **"დემოკრატიის შუქურად"** მიაჩნდა. ყველაზე საოცარი კი ის ფატალური მსგავსებებია, რაც გააჩნდათ გერმანიის ნაცისტურ პარტიას და ქართველ **"ნაციონალებს"**, გერმანიის **"მამად"** აღიარებულ ფიურერს ადოლფ ჰიტლერსა და სულწაწყმედილი ევროპელი ქრთამის მოყვარული ჩინოვნიკების მიერ ქართული **"დემოკრატიის მამად"** სახელდებულ მიხეილ სააკიანცს!

მსგავსებები კი მართლაც ბევრია და თანაც ძალზე გასაოცარი. მაგრამ მაინც, წინასწარ, ბოდიში მინდა მოვიხადო უდავოდ ნიჭიერი და მიზანსწრაფული ადოლფ ჰიტლერის სულის წინაშე, რადგან მას ისეთ არარაობას ვადარებ, როგორიც მიხეილ სააკაშვილია.

ჰიტლერი ეროვნებით არ გახლდათ გერმანელი – წარმოშობით იგი ავსტრიიდან იყო. არც სააკაშვილი გახლავთ ქართველი – მისი წინაპრები მეზობელი სომხეთიდან არიან წარმოშობით და, ამდენად, სააკაშვილიც სომხურ ინტერესებს აშკარად ატარებდა საქართველოში.

ადოლფ ჰიტლერიცა და მიხეილ სააკაშვილიც მშვიდობის შენარჩუნებისა და დემოკრატიის აღმშენებლობის დევიზით მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში, მაგრამ თუ როგორ **"პირნათლად"** შეასრულეს მათ საკუთარი ფიცი ერისა და ქვეყნის წინაშე, ცხოვრებამ დაადასტურა!

1933 წლის 20 იანვარს, გერმანიის სათავეში მოსვლისთანავე, ადოლფ ჰიტლერმა ძირფესვიანად ამოაძირკვინა რეიხსტაგის წინ მდებარე ალეაზე გახარებული ვეებერთელა მუხის ხეები, სადაც სეირნობა უყვარდა თვით ოტო ბისმარკს. და, იცით რა გააკეთა ამ მუხების ადგილზე? დიახ – შადრევნები!

რითი დაიწყო თავისი მოღვაწეობა მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს პრეზიდენტად აღზევებისთანავე? რა თქმა უნდა – შადრევნების განთავსებით ქვეყნის ქალაქების თვალსაჩინო ადგილებში!

გერმანიის სათავეში მოსვლისთანავე ჰიტლერმა სიკვდილის განაჩენი გამოუტანა და თავიდან მოიშორა მისი ერთ-ერთი ძლიერი თანამებრძოლი ერნსტ რემი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღოდა ჰიტლერის აღზევების საქმეში. **"გვამების მოყვარულმა"** სააკაშვილმა ასევე მოაკვლევინა (ამაში უკვე არავის ეპარება ეჭვი) და დიქტატურისაკენ მიმავალი გზიდან ჩამოიცილა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია, რომელმაც ფაქტიურად **"აღმოაჩინა"** და ქართულ პოლიტიკაში გაუკაფა გზა პოლიტიკურ არამზადა სააკაშვილს!

ჰიტლერი პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობდა და იმდენად სერიოზულად დაიჭრა, რომ დროებით მხედველობაც კი ჰქონდა დაკარგული. სწორედ აქედან დაიწყო მისი პოლიტიკური აღმასვლა, რადგან პირველი მსოფლიო ომიდან გერმანია აშკარად დაჩაგრული და შეურაცხყოფილი გამოვიდა, რამაც სამშობლოს ღირსების აღორძინების სულისკვეთებით გამსჭვალა ნებისმიერი პატრიოტი გერმანელი.

ჰიტლერის მსგავსად მიხეილ სააკაშვილმაც გააჩაღა ომი რუსების წინააღმდეგ. შედეგად, ჰიტლერმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, სააკაშვილმა კი ლანგეტის ნაჭერივით **"მადიანად"** დაღეჭა საკუთარი ჰალსტუხი, იურიდიულად გადაუფორმა აფხაზეთი და სამაჩაბლო გარე ძალებს. რაც შეეხება ჭრილობას, გორში სააკაშვილი იმდენად ღრმად ჩაეთხარა მიწაში ცხვირით, რომ მოწინააღმდეგის ტყვია ან ჭურვი უძლური აღმოჩნდა მის წინაშე!

ჰიტლერს ჰყავდა მეოცე საუკუნის უძლიერესი დემაგოგი-პროპაგანდისტი იოზეფ გებელსი. სწორედ მას ეკუთვნის ფრაზა: **"რაც უფრო დაუჯერებელია სიცრუე, მით უფრო იოლად იჯერებს მას ბრბო"**. როცა 1945 წელს საბჭოთა ჯარები ბერლინს ბომბავდნენ და მისგან ნანგრევებს სტოვებდნენ, გებელსი ხალხს ჰპირდებოდა, რომ ჰიტლერი ახალ ქალაქს აუშენებდა მათ, ბერლინის ქუჩებში კი გაჩნდა ბანერები წარწერით: **"გაუმარჯოს ადოლფ ჰიტლერს, ახალი გერმანიის აღმშენებელს"!**

სააკაშვილს ჰყავს ასევე უძლიერესი დემაგოგი-პროპაგანდისტი, **"მასობრივი გებელსი"** – ტელეარხი **"რუსთავი-2"**, რომელიც წლების განმავლობაში ცდილობდა სააკაშვილის საზიზღარი ავანტიურისა და მისი აშკარად ანტიქართული პოლიტიკის **"გაპრავებას"**. სამწუხაროა, რომ ეს ტელეარხი დღესაც უსაპნოდ უძვრება სააკაშვილსა და ნაცებს და ფარული ანტიადამიანური იდეოლოგიური შხამით ცდილობს საზოგადოების მოწამვლას. განსაკუთრებით გულისამრევია ვიღაც გადაგვარებული **"ჯამბაზის"** ვანო ჯავახიშვილის გადაცემა, სადაც იგი დაუფარავად უკმევს სააკაშვილის ანტიადამიანურ რეჟიმს!

ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ადოლფ ჰიტლერმა საგანგებო მისიით აღჭურვა პოლიცია, შექმნა ახალი სპეცსამსახურები და მიანიჭა მათ განუსაზღვრელი უფლებები, როგორც საკუთარი ტოტალიტარული რეჟიმის, ასევე გერმანიის გასაძლიერებლად, მიხეილ სააკაშვილმა კი ასევე გააძლიერა პოლიცია და სპეცსამსახურები, მისცა მათ უდანაშაულო ადამიანების გაუსამართლებლად ფიზიკურად განადგურების უფლება, მაგრამ მხოლოდ საკუთარი ტოტალიტარული რეჟიმის გასაძლიერებლად და ქართველი ხალხის დასაშინებლად.

ჰიტლერი ოცნებობდა ჯერ არნახული იარაღის შექმნაზე. სააკაშვილმა გაძვალტყავებულ ქვეყანაში ძირითადი ყურადღება იარაღის შექმნაზე გადაიტანა და სამყაროს მოუვლინა **"ლაზიკა"** და **"დიდგორი"**.

ჰიტლერმა საკუთარ ნებას დაუმორჩილა რეიხის სასამართლო, მაგრამ სიმართლის წინაშე ისინიც კი უძლურები აღმოჩნდნენ, როცა სათანადო სამხილების უქონლობის გამო იძულებული გახდნენ გაემართლებინათ ნაცისტების მიერ რეიხსტაგის შენობის გადაწვაში ბრალდებული კომუნისტი გიორგი დიმიტროვი, სააკაშვილმა კი ისე **"დააჩმორა"** ქართული სამართალი, რომ ჭეშმარიტებასთან მისასვლელი ყველა გზა გადაუკეტა და საკუთარ ნებაზე ათამაშებდა.

ჰიტლერმა შექმნა საკონცენტრაციო ბანაკები, გაავსო ისინი ხალხით და მათი სტერილიზაციის გზით ცდილობდა მსოფლიოს გენეტიკური ფონდის დახვეწას. სააკაშვილმაც შექმნა რეჟიმითა და სისასტიკით საკონცენტრაციო ბანაკებთან მიახლოებული საპატიმროები, გაავსო ისინი პატიმართა სარეკორდო რაოდენობით, მაგრამ ადოლფ ჰიტლერისაგან განსხვავებით ამას აკეთებდა იმიტომ, რომ პატიმრების რიცხვის განუხრელი ზრდით დამატებითი ფინანსური გრანტები მიეღო ევროამერიკელებისაგან!

1945 წელს გერმანელი ნაცისტები და მათ მიერ შექმნილი ფაშიზმი საბოლოოდ დამარცხდა, მაგრამ ავადსახსენებელი **"ვეერვოლფი"** კიდევ რამდენიმე წელიწადი არსებობდა და აგრძელებდა ძირგამომთხრელ დივერსიულ საქმიანობას მსოფლიოს პროგრესული საზოგადოების წინააღმდეგ. 2012 წელს ქართველი ნაცებიც სასტიკად დამარცხდნენ, მაგრამ მათი **"ვეერვოლფი"** გაბაშვილების, კანდელაკების, დარჩიაშვილების, ვაშაძეების, ნადირაშვილების, ჯაფარიძეების, რატიანების, ბოკუჩავების და სხვა შუბლისძარღვგაწყვეტილი არსებების სახით კვლავაც აგრძელებს ძირგამომთხრელ დივერსიულ საქმიანობას ქართველი ხალხისა და საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ!

ჰიტლერმა შექმნა თვალთვალისა და დასმენის მძლავრი ტოტალური აპარატი, რათა სხვაგვარადმოაზროვნეთა ყოველი ნაბიჯი ცნობილი ყოფილიყო სახელმწიფოსათვის. იგივე თვალთვალისა და დასმენის მძლავრი ტოტალური აპარატი შექმნა და სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აიყვანა სააკაშვილმა და 28 ათას მამხილებელ ფოტო და აუდიომასალასაც მოუყარა თავი, მაგრამ ამას უფრო პირადი ავადმყოფური ჟინის მისაკლავად აკეთებდა, ვიდრე სახელმწიფოს უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე.

ჰიტლერი პროფესიით მხატვარი გახლდათ და არქიტექტურაშიც საკმაოდ კარგად ერკვეოდა. ამიტომაც პირადად განიხილავდა მომავალი გერმანიის დიდების ამსახველი შენობა-ნაგებობების პროექტებს. სააკაშვილს ამ საქმის ბევრი არაფერი გაეგებოდა, მაგრამ მაინც უაპელაციოდ ერეოდა მშენებლობებისა თუ ისტორიულ ძეგლთა ყოფნა-არყოფნის საკითხებში და სწორედ მისი მითითებით დააპროწიალებდნენ აღმა-დაღმა დიდ ხელოვანთა ნატიფი ხელით შექმნილ ძეგლებს, მათ ადგილზე კი საკუთარ მახინჯ წარმოსახვაში შობილ ველოსიპედს, კვერცხებიან **"შლოპანცებს"** თუ სხვა აუზრო ქმნილებებს უჩენდნენ სამყოფელს!

ადოლფ ჰიტლერი არ სწყალობდა იმ თანამედროვე თუ წარსულის ხელოვნებსა და მეცნიერებს, რომლებიც თავიანთი შემოქმედებითი იდეებით აცდენილი იყვნენ ნაციონალურ-სოციალისტურ იდეურ მიმართულებებს და თვლიდა, რომ მათი ნაშრომები ვერ ახდენდნენ ქვეყნისათვის საჭირო გავლენას საზოგადოებაზე. ამ მიზნით მან ერთხელ ბერლინში მოაწყო გამოფენა სახელწოდებით **"დეგენერატული ნამუშევრები"**, სადაც გამოფენილი იყო პაბლო პიკასოს, ანრი მატიასის, ვინსენტ ვან გოგისა და სხვა გამოჩენილ მხატვართა უკვდავი ტილოები. მისი მმართველობის ჟამს გერმანიიდან გააძევეს ან გაიქცნენ ალბერტ ეინშტეინი და სხვა დიდი მეცნიერები. სააკაშვილმა კი ქართველი მეცნიერები **"ჩარეცხილებად"** გამოაცხადა და საბოლოოდ მოუღო ბოლო ერთ დროს აღორძინებულ და მსოფლიოში სახელგანთქმულ ქართულ სამეცნიერო პოტენციალს!

აქვე უნდა აღვნიშნო სულ თითზე ჩამოსათვლელი განსხვავება ამ ორ ტირანს შორის – ჰიტლერი ორგანულად ვერ იტანდა სექსუალურ უმცირესობათა წარმომადგენლებს და ერთგვარი სიამოვნებითაც კი აჰყავდა ისინი გილიოტინაზე, სააკაშვილმა კი მეძავების, პედერასტების, ლესბოსელებისა და სხვა გარყვნილთა საჯირითო მოედნად აქცია ლამაზი ისტორიული ტრადიციების მქონე საქართველო. და კიდევ – ჰიტლერს არასოდეს უფიქრია დიდი ფულის მოხვეჭაზე, რადგან მთელი თავისი სიცოცხლე გერმანიის აღორძინებას მიუძღვნა, მწარე რეალობას არ გაქცევია და, ჰალსტუკის ღეჭვის გარეშე, კაცურად შეუშვირა საფეთქელი ტყვიას. და ეს მაშინ, როცა მისი ფელდმარშლები გაფაციცებით ითვისებდნენ მსოფლიო ხელოვნების მრავალმილიონიანი ღირებულების მქონე საგანძურებს. სააკაშვილმა კი უსინდისოდ გაძარცვა საქართველოს ეროვნული მუზეუმები, და საგამოფენო დარბაზები, თავხედურად მიითვისა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული იშვიათობები – ფიროსმანისა და ლადო გუდიაშვილის ნამუშევრები, ხაზინის დანაშაულებრივი ძარცვით დაეუფლა მილიარდებს და საპრეზიდენტო ვადის გასვლის შემდეგ მალულად დასტოვა ქვეყანა, რადგან იცოდა, რომ სისხლის სამართლის პასუხისგებას ვერ ასცდებოდა!

ჰიტლერს მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ერთადერთი ქალი – ევა ბრაუნი უყვარდა და მისი სახელისათვის ჩრდილი რომ არ მიეყენებინა, თვითმკვლელობამდე რამდენიმე საათით ადრე ოფიციალური ქორწინება გააფორმა ამ ქალბატონთან, რაც მის მაღალ ზნეობრივ შემეცნებაზე მიუთითებს. ოჯახისა და ცოლ-შვილის პატრონი სააკაშვილი კი ახურებული ხვადივით დასდევდა ქალებს და სულაც ფეხებზე ეკიდა ოჯახისა და ცოლ-შვილის ავტორიტეტი! მისი აღვირახსნილობის სამხილად მხოლოდ ის ფაქტი იკმარებდა, რომ სიმთვრალეში მან ძუძუ მოაჭამა ერთ მომღერალ გოგონას, რომელიც ხასად ესვა და რომელსაც, შემდეგ, თურქეთში გაუკეთეს ურთულესი ქირურგიული და პლასტიკური ოპერაციები.

თავად განსაზღვრეთ, ამ მხრივ ვინ უფრო დადებითი პიროვნებაა – ჰიტლერი თუ სააკაშვილი!

ჰიტლერს არ სჯეროდა, რომ დამარცხდა საბჭოთა კავშირთან ომში. საბჭოთა ჯარები უკვე მისი ბუნკერიდან რამდენიმე ასეულ მეტრში იმყოფებოდნენ, ჰიტლერი კი კვლავაც სამომავლო გეგმებს განიხილავდა, ვიდრე ბომბების გრუხუნმა არ მოიყვანა აზრზე და ტყვია არ იკრა შუბლში.

არც სააკაშვილს სჯერა დამარცხებისა და კვლავ რევანში სურვილით ახუნტრუცებული ვერა და ვერ ისვენებს, ვიდრე მართლა ტყვიას არ იკრავს შუბლში.

ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ იარაღის ძალით უკრაინის ხელისუფლებაში მოსულმა ნეონაცისტებმა სწორედ სააკაშვილი და მისი დამქაშები ამოიყენეს გვერდით! ეჭვი არ მეპარება, რომ უკრაინელებმა ამ ნაბიჯით საკუთარ თავს გაუთხარეს სამარე.

გზაც იქით ჰქონიათ!

**როლანდ ჯალაღანია**





ეროვნული ბიბლიოთეკა

# რევოლუციური წრთობის ჩეკისტი

ამ დღეებში გავეცანი საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ-პოლკოვნიკ ალექსი ინაურის საერთო რედაქციით 1987 წელს გამოქვეყნებულ წიგნს **"ფარი – საიმედო, მახვილი – ბასრი"**, რომელშიც ფართოდ და მასშტაბურად მითითებულია, თუ როგორ გმირულად იდგნენ საქართველოს ჩეკისტები ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვრის დაცვის სადარაჯოზე.

ჩეკისტური ორგანოების ფორმირების პროცესი ეროვნულ რესპუბლიკებში, მათ შორის საქართველოსა და აფხაზეთში, მიმდინარეობდა **რსფსრ**-სთან კავშირის მუდმივად განვითარების საფუძველზე. როგორც რეგიონალური სტრუქტურები, ისინი მოწოდებული იყვნენ საერთო რესპუბლიკური ამოცანის გასატარებლად, შინაგანი და გარეშე მტრებისაგან სოციალისტური მონაპოვრის დასაცავად.

აი, რას მოგვითხრობს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ბ. სალინაძე თავის სტატიაში სათაურით: **"ლენინური წრთობის ჩეკისტები"**.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველივე დღეებიდან აფხაზეთში საგანგებო კომისიის ორგანოების წარმოქმნის სათავეებთან იდგნენ ეფრემ ეშბა, ნესტორ ლაკობა, მიხეილ ცაგურია, სევერიან კუხალეიშვილი, ერმალო დამენია, ნიკოლოზ ბახტაძე და სხვები. არა მარტო აფხაზეთის, არამედ, მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით, გამოჩენილი ჩეკისტი იყო ალექსი სერგოს ძე აგრბა.

იგი დაიბადა 1897 წელს, გუდაუთის უბნის სოფელ ლიძაში, ღარიბი გლეხის ოჯახში. ადრეულ ასაკში დაჰკარგა მამა და იზრდებოდა მძიმე პირობებში. ავტობიოგრაფიაში ა.ს. აგრბა წერდა: **"დედაჩემს 7 ბავშვი დარჩა გასაზრდელად, მათ შორის უფროსი 14 წლისა იყო, ნახევრად მშივრები ვიყავით, თანასოფლელებისა და ნათესავების დახმარებით ვცხოვრობდით"**.

სოფლის სკოლაში ერთი წლის სწავლის შემდეგ თანასოფლელებმა უშუამდგომლეს, რომ ნიჭიერი ბიჭი ახალი ათონის ინტერნატში ჩაერიცხათ. შემდგომ იგი შედის გუდაუთის ორკლასიან სამასწავლებლო სკოლაში, რომელიც წარმატებით დაამთავრა. 1912 წელს, როგორც წარჩინებული მოსწავლე, სოხუმის სასწავლო ოლქმა მიავლინა ალექსანდრე გრუშევის სემინარიაში. უსახსრობის გამო ალექსიმ ვერ შესძლო სწავლის გაგრძელება და მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა. ერთი წლის შემდეგ იგი შედის სოხუმის ორკლასიან სამასწავლებლო კურსებზე, რომლის დამთავრების შემდეგ სახალხო მასწავლებლად დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს. სწორედ აქ მოუსწრო მას 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ.

მალე ლიძის მოსახლეობამ ა. აგრბა კრებაზე აირჩია უშიშროების კომიტეტის მდივნად. ახალგაზრდა მასწავლებელი მგზნებარედ უხსნიდა გლეხობას, რომ დროებითი მთავრობა და მისი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები არახალხური ხასიათის იყო.

ცნობა დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შესახებ დიდი აღტაცებით მიიღეს მთელი აფხაზეთის მშრომელებმა. ადგილობრივმა ბოლშევიკებმა კიდევ უფრო გაააქტიურეს რევოლუციური მოღვაწეობა. 1918 წლის აპრილში თანასოფლელებმა ა. აგრბა მიავლინეს დელეგატად გლეხთა დეპუტატების გუდაუთის ყრილობაზე, სადაც იგი აირჩიეს მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის წევრად.

1918 წლის დასაწყისიდან ა. აგრბა მტკიცედ დადგა ბოლშევიკურ პოზიციაზე და მჭიდრო კავშირი დაამყარა **რკპ(ბ)** გუდაუთისა და სოხუმის საქალაქო კომიტეტთან. პარტიის გუდაუთის იატაკქვეშა კომიტეტის დავალებით იგი დიდ მუშაობას ეწევა გაგრის უბნის სასოფლო თემის გლეხებს შორის, ნესტორ ლაკერბაიასთან, ვასილ და დავით აგრბებთან, მაქსიმე გობეჩიასთან, მარტინ თარნავასთან, ეგნატე ვარდანიასთან, ხაჯარატ შამბასთან და სხვა ბოლშევიკებთან ერთად. მან დიდი ძალა და ენერგია შეალია შეიარაღებული აჯანყების ორგანიზაციას მენშევიკების წინააღმდეგ 1918-1919 წლებში.

1920 წლის ივნისში მენშევიკურმა ხელისუფლებამ სოხუმის ციხეში ჩაყარა მრავალი ბოლშევიკი, ნაწილი სამხედრო-საველე სასამართლოს გადასცა. მათ შორის იყო ალექსი აგრბა. ძიება 1921 წლის დასაწყისშივე გაჭიანურდა. სოჭი-გაგრის რაიონში წითელი არმიის შემოსვლის შემდეგ სასამართლო არ შედგა. ა. აგრბა ყველაზე უფრო **"სახიფათო"** ბოლშევიკების ჯგუფთან ერთად გადაიგზავნა ფოთში, ხოლო იქიდან ქუთაისის ციხეში. შემდეგ ისინი გადააგზავნეს ბათუმში.

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ა. აგრბა სამუშაოდ გაიგზავნა აფხაზეთში. **რკპ(ბ)** საორგანიზაციო ბიუროს და აფხაზეთის რესპუბლიკის 1921 წლის 27 მარტის დადგენილებით იგი დაინიშნა კოდორის სამაზრო რევკომის თავმჯდომარედ. ამ პოსტზე მან თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა, ენერგიულმა მუშაკმა.

1922 წლის მაისში ა. აგრბა დააწინაურეს აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო საქმეთა კომისარის პოსტზე. ხოლო შემდეგ დაინიშნა აფხაზეთის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად. იმავე წლიდან იგი შეთავსებით არის აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე და აფხაზეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა და საგანგებო კომისიის ორგანოებმა, ა. აგრბას ხელმძღვანელობით, დიდი როლი შეასრულეს აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების საქმეში, საბოლოოდ აღიკვეთა საბოტაჟი და სხვა ანტისაბჭოთა მოვლენები, აილაგმენ შეიარაღებული ბანდიტები, რომლებიც სისხლს უშრობდნენ ადგილობრივ მოსახლეობას მუდმივი თავდასხმებით.

ა. აგრბამ, ასევე, დიდი ენერგია შეალია მოსახლეობაში მავნე ადათ-წესების აღმოფხვრას.

1923 წლის მიწურულს ა. აგრბა გაიწვიეს საქართველოს კომპარტიის ცეკას განკარგულებაში და დანიშნეს ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის საერთო განყოფილების უფროსად. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო 1924 წლის აგვისტოს მენშევიკური ავანტიურის ჩაქრობაში.

1929 წლის აპრილში ა. აგრბა შეიყვანეს ამიერკავკასიის და საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოების კოლეგიის შემადგენლობაში, ხოლო იმავე წლის აგვისტოში ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის რეკომენდაციით გაიგზავნა საპასუხისმგებლო ჩეკისტურ სამუშაოზე აზერბაიჯანის რესპუბლიკაში. იგი დაამტკიცეს აზერბაიჯანის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო შემდეგ – თავმჯდომარედ.

1931 წელს ალექსი აგრბა, როგორც ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი და შრომისმოყვარე მუშაკი, საკავშირო **კპ(ბ)** ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილებით დაინიშნა ამიერკავკასიის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო მცირე ხნის შემდეგ გადაყვანილი იქნა ამ უწყების თავმჯდომარედ. საგანგებო კომისიასა და მთავარ პოლიტიკურ ორგანოებში მუშაობის დროს ალექსი სერგოს ძე აგრბამ მოიპოვა ენერგიული, კომუნისტური იდეალებისადმი ერთგული ჩეკისტის რეპუტაცია.

ამიერკავკასიის სფსრ-ის, აზერბაიჯანის და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოების ხელმძღვანელობისას გამოჩენილი თავდადებისათვის ა.ს. აგრბა დაჯილდოვდა საქართველოს სსრ შრომის წითელი დროშის ორდენით, საპატიო ჩეკისტის ორი სამხედრო ნიშნით, ასევე, დაიმსახურა სხვა ჯილდოები.

1934 წლიდან ა. აგრბა გადაიყვანეს აზერბაიჯანში პარტიულ სამუშაოზე. აზერბაიჯანის კომპარტიის ცეკას პლენუმმა იგი დაამტკიცა ამ ქვეყნის კომპარტიის ცეკას მეორე მდივნად. იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ხალხთან, ხშირად გამოდიოდა სიტყვით მშრომელთა თავყრილობებზე. მგზნებარე პროპაგანდისტი და აგიტატორი ოსტატურად უხსნიდა მასებს კომუნისტური პარტიის პოლიტიკის არსს. აზერბაიჯანში მოღვაწეობის მოკლე პერიოდში მან დიდი ავტორიტეტი და პატივისცემა დაიმსახურა მოძმე ხალხში, რომელთა ენაც შესანიშნავად იცოდა. ბევრი რამ გააკეთა მან აზერბაიჯანში სოციალისტური კანონიერების დასამკვიდრებლად. აქტიურად ებრძოდა ბიუროკრატიზმსა და უსულგულობას სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში. აი, რას წერს აზერბაიჯანის კომპარტიის ცეკას აპარატის ყოფილი თანამშრომელი ა.კ. ოზეროვი: **"ა. აგრბა ნათელი გონების ადამიანია, ახასიათებს მაღალი პარტიული იდეურობა, შეურიგებელია პარტიული ცხოვრების ნორმებისაგან გადახრისადმი, დაუნდობელია ბოროტმოქმედებისადმი"**.

1936 წლის იანვარში ა.ს. აგრბა აირჩიეს საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად. 1936 წლის მარტში აფხაზეთის **ცაკ**-ის საიუბილეო სესიაზე გამოსვლის დროს უკრაინის კომპარტიის **ცკ**-ს მდივანმა გ. ი. პეტროვსკიმ დაახასიათა ა. აგრბა როგორც გამობრძმედილი ბოლშევიკი, რომელსაც ბაქოს პროლეტარიატთან მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდა. მან გამოთქვა რწმენა, რომ აფხაზეთის საოლქო პარტიული ორგანიზაცია, მისი ხელმძღვანელობით, გადალახავს ყველა წინაღობას, რომელიც გზაზე შეხვდება.

1937 წლის თებერვალში ა.ს. აგრბა აფხაზეთის **ცაკ**-ის თავმჯდომარედ დაინიშნა. შედარებით მოკლე დროში მან ბევრი რამ გააკეთა აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციის რიგების განსამტკიცებლად. იგი დაუნდობლად ებრძოდა მავნე ტრადიციებს და ანტისაბჭოთა ელემენტებს, განუხრელად იცავდა ლენინურ კურსს აფხაზეთის ეკონომიკურ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში.

პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე დიდი დამსახურებისათვის 1936 წელს ა. აგრბა დაჯილდოვდა ლენინის ორდენით.

ამჟამად ალექსი სერგოს ძე აგრბას სახელი მინიჭებული აქვს სოხუმის ერთ-ერთ ქუჩას, ბიჭვინთაში კი განზრახულია მისი ძეგლის დადგმა. ასევე, ა. აგრბას სახელი ეწოდა მის მშობლიურ დასახლებას, სკოლას და ცალკე ქუჩას.

კომუნისტური პარტიის ერთგული შვილის, მგზნებარე ჩეკისტის ალექსი აგრბას ხსოვნას მოწიწებით ინახავს საზოგადოება.

**ლ. ბერაძე,**
**დიდი სამამულო ომის მონაწილე,**
**გალის რაიონის უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარე**

# 2015 წელს რუსეთის ფინანსური დახმარება აფხაზეთის რეალურ ეკონომიკურ სექტორს მოხმარდება

რუსეთ-აფხაზეთის მთავრობათშორისმა კომისიამ, მოსკოვში გამართულ რიგით მეშვიდე სხდომაზე, განიხილა აფხაზეთის რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის 2014 წელს გამოყოფილი ფინანსური დახმარების მიმართულებები, დაამტკიცა სამშენებლო ობიექტების საინვესტიციო პროგრამები, კომპლექსური გეგმების ფარგლებში, და იმსჯელა აფხაზეთის რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების ქონებრივი უფლებების დაცვის საკითხებზე.

აფხაზეთის დელეგაციას ხელმძღვანელობდა კომისიის აფხაზური ნაწილის თავმჯდომარე, აფხაზეთის პრემიერ-მინისტრი ლეონიდე ლაკერბაია, რუსეთის დელეგაციას კი თავკაცობდა რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ჩრდილოეთ-კავკასიის ფედერალურ ოლქებში ალექსანდრე ხლოპონინი.

ალექსანდრე ხლოპონინმა, ლეონიდე ლაკერბაიამ და აფხაზეთის რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრმა დავით ირადიანმა მთავრობათშორისი კომისიის სხდომის შედეგებზე ისაუბრეს აფხაზეთის ტელევიზიაში. ირადიანის თქმით პროგრამა ითვალისწინებს 55 ღონისძიების განხორციელებას, რომელიც 2010-2012 წლებში აფხაზეთის რესპუბლიკის სოციალური-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური გეგმის ფარგლებში დაიწყო. დამატებითი ფინანსირების აუცილებლობა განაპირობა იმან, რომ აღნიშნული გეგმა შედგენილ იქნა თანდათანობით. საუბარია არა სახარჯთაღრიცხვო თანხების გაზრდაზე, არამედ ყველა სამშენებლო ობიექტზე ჯამური ხარჯთაღრიცხვის დაზუსტებაზე, – განაცხადა მინისტრმა.

**"ამრიგად, როცა გათვლილი იქნა საერთო ფინანსირების რაოდენობა, რომელიც ითვალისწინებდა ყველა სამშენებლო ობიექტის აღჭურვას, ჩვენ დავადგინეთ, რომ ამას სჭირდებოდა სამი მილიარდ 274 მილიონი რუბლი. თანხის ეს რაოდენობა საშუალებას მოგვცემს, რომ განვახორციელოთ 55 ობიექტის მშენებლობა და ამით მოვახერხოთ 2014 წლის კომპლექსური გეგმის წარმატებით დასრულება"**, – აღნიშნა ირადიანმა.

როგორც ხლოპონინმა განაცხადა, დღეისათვის, 2010-2012 წლების კომპლექსური გეგმის ფარგლებში, ინვესტირებულია 10 მილიარდი რუბლი, რითაც გასრულებულია 100 ობიექტის მშენებლობა.

2014-2015 წლებში განზრახულია სამი მილიარდი რუბლის ინვესტირება. მეორე ეტაპის ძირითად ამოცანას წარმოადგენს 55 საამშენებლო ობიექტის დამთავრება და ექსპლოატაციაში გაშვება, რომელიც დღეისათვის დასრულების ეტაპზე იმყოფება. 2015 წლიდან დაგეგმილია ხანგრძლივვადიანი საინვესტიციო პროგრამის დაწყება, რომლის ძირითადი მიმართულებები განხილული და დაზუსტებული იქნება 2014 წელს.

ლეონიდე ლაკერბაიამ აღნიშნა, რომ აფხაზური ეკონომიკის წინსვლის ლოკომოტივს წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის მიერ გაწეული ფინანსური დახმარება. **"რაც შეეხება ჩვენს შესაძლებლობებს, იგი ძირითადად გამოსახულია სოფლის მეურნეობის გაძლიერებასა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებაში. ამიტომაა, რომ რუსეთში საკმაოდ უხვად შედის აფხაზური ღვინო, რომელსაც, თუ ადრე 6 მილიონ ბოთლს ვუგზავნიდით მოსკოველებს, შარშან ეს რაოდენობა შეადგენდა 15 მილიონ ბოთლს, წელს კი 20 მილიონ ბოთლს გავუგზავნით"**, – განაცხადა ლაკერბაიამ.

ხლოპონინმა აუწყა შეხვედრის მონაწილეებს, რომ 2014 წლის ამოცანას წარმოადგენს კომპლექსური გეგმით გათვალისწინებული სოციალური ინფრასტრუქტურის 163 ობიექტის მშენებლობა, რომელთაგან უკვე ამოქმედებულია 55 ერთეული. მათ შორისაა სკოლები, საავადმყოფოები, საბავშვო ბაგა-ბაღები და სხვა, რომელშიც, კერძო ინვესტორი, რა თქმა უნდა, თანხების ჩადებას არ მოინდომებს. ამიტომაც გახლავთ მთელი ეს პროგრამა მნიშვნელოვანი სახელმწიფო ღონისძიება. სწორედ ამიტომაა მიჩნეული აფხაზეთი მნიშვნელოვან ლოჯისტიკურ ცენტრად, რომლის მაქსიმალურად დატვირთვა ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელ სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს.

მან ასევე დააყენა საბიუჯეტო ქსელის ეფექტურობის ამაღლების აუცილებლობის საკითხი, რადგან აუცილებელია, რომ მეტი აფხაზი ახალგაზრდა იყოს დასაქმებული საბიუჯეტო სფეროში და მაქსიმალურად იქნას გამოყენებული მათი ინტელექტუალური შესაძლებლობები.

რუსეთ-აფხაზეთის მთავრობათშორისი კომისიის მომდევნო – მერვე სხდომა 2014 წელს ჩატარდება ქალაქ სოხუმში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მრავალმხრივი მოღვაწეობის 15 წელი

სახალხო მოძრაობა **„სამეგრელოს“** დაარსებიდან 15 წელი შეუსრულდა. ეს საკმაო დროა იმისათვის, რომ ვთქვათ – შეასრულა თუ არა მოძრაობამ საკუთარი მისია. საბედნიეროდ, უნდა ვაღიარო, რომ მან შესძლო მიზნისთვის სწრაფვის გზაზე ბევრი ისეთი ღონისძიების ჩატარება, რომელიც აუცილებელი იყო ძირძველი კუთხისათვის, მისი მოსახლეობის კულტურულ-სულიერი გაჯანსაღებისათვის, მორალური და ეკონომიკური მხარდაჭერისთვის.

სახალხო მოძრაობას საფუძველი 1999 წელს ქალაქ ფოთში ჩაეყარა. სამეგრელოში არაერთი სამთავრობო და არასამთავრობო, საერთაშორისო და საზოგადოებრივი ორგანიზაცია ფუნქციონირებს, მაგრამ თავისი დანიშნულებითა და მიზნებით ვერცერთი ვერ შეედრება სახალხო მოძრაობა **“სამეგრელოს”**, რომლის დაარსებამ თავიდან დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. შევარდნაძის ხელისუფლება მაშინ ეცადა მისთვის დაეპირისპირებინა **„მოქალაქეთა კავშირი“**, ცოტა მოგვიანებით, ბეჟან გუნავას ინიციატივით, შეიქმნა **„სამეგრელო-ერთიანი საქართველოსთვის„** და სხვა, არასამთავრობოები, მაგრამ დასახელებულმა მოძრაობებმა **“სამეგრელო”** ვერ დაჩრდილა, პირიქით, მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა და მცდელობისა, ხელშეშლისა და ცილისწამებისა, გაუძლო ხელისუფლების, განსაკუთრებით **„ნაცმოძრაობის“** აღვირახსნილ ქმედებებს და იღვწოდა და იღვწის მთავარი მიზნისათვის – ქართულ-აფხაზური ურთიერთობის გაჯანსაღებისათვის. და არა მხოლოდ...

სახალხო მოძრაობა **„სამეგრელოს„** ჰყავს უცვლელი ხელმძღვანელი, პოლიტიკოსი ალექსანდრე ჭაჭია. იგი სისტემატიურად აფრთხილებდა ხელისუფლებას, თუ რა ღონისძიებები უნდა გატარებულიყო მხარეში და მთლიანად საქართველოში. ის გახლავთ გულმხურვალე მოღვაწე, რომლისათვის მთავარი იყო და არის ქვეყნის აწმყო და მომავალი. ამის დასტურია ათობით გამოსვლა, წერილები და ინტერვიუები, რომლებშიც გამჟღავნებულია საგულისხმო შეხედულებები... ამონარიდი ბატ. ალ. ჭაჭიას საჯარო გამოსვლიდან: **“საქართველოს უნდა გააჩნდეს ისეთი საერთაშორისო ფუნქცია, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საჭიროებას მსოფლიო ძალებისთვის. ვიმეორებ, არ მარტო ტერიტორიის, არამედ ჩვენი ქვეყნისა და ერის საჭიროებას, ანუ ქართველმა ხალხმა 21-ე საუკუნეში უნდა შეასრულოს ის ისტორიული მისია, ის ისტორიული როლი, რომლისათვისაც, ჩემი ღრმა რწმენით, ღმერთმა შექმნა და დღემდე შეინარჩუნა ქართველობა. ეს ფუნქცია არის ცივილიზაციათაშორისი დამაკავშირებელი რგოლის, სამყაროთა შორის ურთიერთობების მარეგულირებელი ფუნქცია, ვინაიდან საქართველო თავისი ისტორიული გამოცდილებიდან, ისტორიული გზის სპეციფიკიდან გამომდინარე, ობიექტურად წარმოადგენს ერთგვარ ლაბორატორიას, სადაც საუკუნეების განმავლობაში ხდებოდა სხვადასხვა ცივილიზაციის, სხვადასხვა მსოფლმხედველობის, სხვადასხვა ეროვნული თუ რელიგიური მისწრაფებების შერწყმის, ურთიერთგამდიდრების პროცესი“.**

შეუძლებელია უფრო ლაკონურად ასახო საქართველოს წარსული და განჭვრიტო მომავალი. სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლება ვერ ახერხებს მოსახლეობის სიღარიბის ზღვარიდან გამოყვანასა და ვერცერთი პრობლემის მოგვარებას, განსაკუთრებით ლტოლვილთა საკითხების გადაწყვეტას...

ყველასთვის ცხადია, სამეგრელო სასაზღვრო რეგიონია, ომისპირა მხარე. ამით იგი გამორჩეულია სხვებისაგან და საკუთარი სპეციფიკით ხასიათდება. ხელისუფლების დამანგრეველმა პოლიტიკამ, შიდა დაპირისპირებამ, ეკონომიკის ჩამოშლამ, უცხო ფასეულობებისადმი სამარცხვინო მიბაძვამ, ბოლო წლებში გატარებულმა, ეგრეთ წოდებულმა რეფორმებმა, რომელთაც სრულებით უგულვებელჰყვეს საერთაშორისო ეკონომიკური განვითარების ძირითად ტენდეციები, მეცნიერების მიღწევები, საქართველოს სპეციფიკა, ქართველი ხალხის კულტურული თავისებურებები და ტრადიციულ ფასეულობები, მოსახლეობის უმრავლესობის ნება, ქვეყანა ააცდინა რეალურ კურს, რამაც გამოიწვია სახელმწიფოს დეგრადაცია.

ამ ფონზე სახალხო მოძრაობა **„სამეგრელო“** ხელისუფლებას მოუწოდებდა გაეცნობიერებინა მხარის გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული მნიშვნელობა. რომ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება შეუძლებელია ჩრდილოელ მეზობლებთან დამოკიდებულების მოგვარების გარეშე. თუმცა, სამეგრელო სრულიად მივიწყებული გახდა. არ გადაიდგა არცერთი პერსპექტიული ნაბიჯი.

სახალხო მოძრაობა **„სამეგრელო“** ხმას იმაღლებდა არაერთ მანკიერებათა წინააღმდეგ, რაშიც აქტიურად ეხმარებოდა გაზეთები: **„საქართველო და მსოფლიო“** – მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა. გაზ. **„ილორი“** – მთავარი რედაქტორი – როლანდ ჯალაღანია და ჟურნალები, რომლებმაც ჭეშმარიტად დაიკავეს მოწინავე ადგილი ქართული პერიოდულ გამოცემაში. მოკლე პერიოდში სახალხო მოძრაობასთან ერთად მათ შექმნეს მთელი ეპოქა. თუმცა განიცადეს რბევა და გაუძლეს უსიამოვნო ინცინდენტებს.

ვიდრე ქვეყანაში არ ჩამოყალიბდება სიცოცხლისუნარიანი სამოქალაქო საზოგადოება და დემოკრატია არ იქნება უფრო მდგრადი, მანამდე საჭირო იქნება სახალხო მოძრაობა **„სამეგრელოს“** ტიპის მოძრაობა და დასახელებული გაზეთების შემართება და პირუთვნელობა.

სახალხო მოძრაობის ინიციატივით დაიდგა ზუგდიდში, ერის ღირსების, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, გულმხურვალე პატრიოტის, სულმნათ ზვიად გამსახურდიას ძეგლი. ამით სახალხო მოძრაობამ გამოხატა ხალხის ნება და პატივი მიაგო ეროვნულ იდეებს ზვარაკად შეწირულ ადამიანს.

სამეგრელოში გონიერი, განათლებული, მაღალი სახელმწიფოებრივი შეგნების მქონე ხალხი ცხოვრობს. ყოვლად უვიცს შეუძლია ეჭვი შეიტანოს და ცილი დასწამოს მხარის მოსახლეობას სეპარატიზმსა და ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში, რომელსაც ისტორიის მანძილზე არასდროს დაუჩემებია ჰყოლოდა მეფე და თუ გამოვლენილა ცალკეული ბრიყვთა გამოხტომები, მათთვის ღირსეული პასუხი თავად ამ კუთხის შვილებს გაუციათ. ასე, რომ ცრუ განგაში, რომელიც მუდმივად ისმის ამ თემაზე, თითიდან გამოწოვილია და არანაირი საფუძველი მას არ აქვს.

საქართველოსთვის ბასტიონად სამეგრელოს გადაქცევა მცდარია. ამას სისტემატიურად აცხადებს სახალხო მოძრაობა, თუმცა წინა საარჩევნო დაპირებების გარდა, უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში სამეგრელოს არაფერი მიუღია, გაჩანაგებისა და მივიწყების გარდა. მხარის მოსახლეობა გაუსაძლისი პირობების გამო ემიგრაციაში წავიდა. იფიტება და ნადგურდება მხარის სულიერი და კულტურული პოტენციალი.

სახალხო მოძრაობა **„სამეგრელოს“** და მის ბეჭდვით ორგანოებს დიდი ძალისხმევა მიუძღვით მეგრული და სვანური ენების დაცვის საქმეში. ცრუ მეცნიერსწავლულები წინასწარგანზრახვით ცდილობენ დააკნინონ ფონეტიკურად და სინტაქსურად მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ენა. მას უწოდებენ დიალექტს. მიუხედავად ჩვენი მრავალი ცდისა, ხელისუფლება საეჭვოდ დუმს. მათგან არ ისმის მართალი ხმა, ობიექტური განსჯა, რაც ერთხელ და სამუდამოდ, ბოლოს მოუღებდა ტალახის სროლას და ბოღმის გადმონთხევას არა სამწერლობო სვანური და მეგრული ენებისადმი. რადგან ხელისუფლება საეჭვოდ დუმს მოსახლეობას უჩნდება სამართლიანი პროტესტის განცდა.

ხელისუფლებას არ უკითხავს მოსახლეობის გათვითცნობიერებული ნაწილისთვის, რატომ მიიღო პოლიტიკურმა მოძრაობა **„ქართულმა ოცნებამ“** ხმათა ნაკლები რაოდენობა სამეგრელოში, სხვა კუთხეებთან შედარებით. ცხადია სამეგრელოში ცხოვრობს აფხაზეთიდან ლტოლვილი მოსახლეობის დიდი რაოდენობა, (თბილისის შემდეგ) რომელთა ნათესავები და ახლობლები დღესაც ცხოვრობენ სეპარატისტების მიერ მიტაცებულ აფხაზეთის მიწაზე. დევნილთა მუდმივი ფიქრი და სურვილი ერთია, დაუბრუნდნენ საკუთარ კერასა და მიეცეთ საშუალება უპატრონონ წინაპრების საფლავებს. როცა ქვეყნის ხელისუფლება ამ საკითხს ვერ აგვარებს და საიმედო ნაბიჯებს ვერ დგამს, რასაკვირველია მხარე ასეთ დროს შფოთავს და ვერ იქნება მშვიდად, ვერ გასცემს ნდობის მანდატს.

მითქვამს და მინდა კვლავაც გავიმეორო: როცა ხელისუფლება და პოლიტიკური ელიტა იცვლება, მაშინ ნაწილობრივ მაინც უნდა შეიცვალოს პოლიტიკური კურსი. დღეს არ ჩანს, რომ რაიმე შეიცვლება. წინა ხელისუფლებას ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის მიაჩნდა ქვეყნის ტურისტული მიმართულებით განვითარება. უარი თქვა რეგიონებში ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობაზე და მოსახლეობა მწარმოებლის ნაცვლად, მომხმარებელი გახადა. ახალი ხელისუფლება კი საერთოდ სდუმს. გაურკვეველია, რა ბედი ეწევა სამეგრელოს.

მკითხველი დამეთანხმება, ქვეყნის რეგიონებად დაყოფა, ჩემიან-სხვისიანად მუდამ იყო დამღუპველი და რაიმე შედეგს მომავალშიც ვერ მოიტანს. აუცილებელია მუდმივი დიალოგი მოსახლეობასთან. ყველა აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით განმარტებები და მხარდაჭერა, რეალური ნაბიჯების გადადგმა, სხვანაირად მოსახლეობა მოლოდინით დაიღალა. მოთმინებასაც აქვს საზღვარი.

იმის მაგივრად, რომ ხელისუფლებამ სახალხო მოძრაობის ათასობითი წევრის პრობლემები გაითვალისწინოს, სახალხო მოძრაობა **“სამეგრელოს”** ზუგდიდის ოფისში მოსასმენი აპარატი აღმოჩნდა. წინა ხელისუფლების პირობებში მოსასმენი აპარატურის დამონტაჟებას ნებართვის მიღება არ სჭირდებოდა, ეს იყო კატასტროფა. უსმენდნენ ყველას. დღეს ამ უმსგავსოებას კანონი იცავს. ჩანს ადამიანთა კონსტიტუციური უფლებები კვლავაც ირღვევა. მეიმედება, საგამოძიებო სტრუქტურები დამნაშავეებს ამხელენ.

სამწუხაროა ისიც, რომ საქართველოს ხელისუფლებას მხედველობიდან გამორჩა ერთი ისეთი **“წვრილმანი”**, როგორიცაა ბატონი ალექსანდრეს დაჯილდოება რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მიერ **“ღირსების ორდენით” “ორ ქვეყანას შორის, სამეცნიერო-კულტურულ სფეროებში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის”**, რაც თავისთავად უმნიშვნელოვანესი მოვლენა გახლავთ ქართულ პოლიტიკაში და, ნაცვლად იმისა, რომ ეს აშკარად ქმედითი პოლიტიკური იარაღი გამოყენებულ იქნას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ, მეოცნებეთა ხელისუფლებასაც, ნაცების მსგავსად, სირაქლემასავით თავი ქვიშაში აქვს ჩარგული.

მაგრამ, ვფიქრობ, რომ ხელისუფლება თავს დააღწევს ნაცების დამღუპველ გავლენას და ქვეყნის სასიკეთოდ გამოიყენებს ასეთ ძლიერ ბერკეტს.

ამავე დროს, მინდა მადლობა მოვახსენო სახალხო მოძრაობა **„სამეგრელოს“** მთავარი საბჭოს წევრს ბატონ ზაურ გახარიას და მისი თანამოაზრეთ, არა ერთი საქმიანი ღონისძიების დაგეგმვა-ჩატარებისთვის, ისეთი წიგნების გამოცემისთვის, რომელსაც სულმოუთქმელად მოელოდა მოსახლეობა.

სახალხო მოძრაობა **„სამეგრელოს“**, მის თავმჯდომარეს ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას ვუსურვებ კვლავაც მედგრად იბრძოლოს მხარის პრობლემების დასაძლევად.

**ბორის დავითაია,**
**პროზაიკოსი, მეცნიერებათა აკადემია „აიას“-ს ნამდვილი წევრი**

## სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” თავმჯდომარეს ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას!

ბატონო ალექსანდრე, გულითადად გილოცავთ სახალხო მოძრაობა **“სამეგრელოს”** 15-წლიან იუბილეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და პოლიტიკურ წინსვლას ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ამავე დროს, ვსარგებლობ შემთხვევით და მოგილოცავთ რუსეთის პრეზიდენტ პუტინის მიერ თქვენს დაჯილდოებას **“ღირსების ორდენით”, “ორ ქვეყანას შორის, სამეცნიერო-კულტურულ სფეროებში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის”**, რაც საქართველო-რუსეთს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების საქმეში თქვენი დიდი დამსახურებისა და პირადი ავტორიტეტის თვალნათელი დადასტურება გახლავთ. თქვენ პირველი ქართველი ხართ, ვინც ასეთი მაღალი ჯილდო დაიმსახურა.

თქვენი უანგარო ღვაწლი ადრეც დააფასა რუსეთის უმაღლესმა ხელისუფლებამ, როცა მეგობრობის ორდენით დაგაჯილდოვათ! და ის, რომ საქართველოს ხელისუფლება არ იყენებს თქვენს პირად ავტორიტეტს და შესაძლებლობებს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის, თავისთავად მეტყველებს მათ პოლიტიკურ სიბეცეზე ან წინასწარგანზრახულ მტრულ დამოკიდებულებაზე აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემების მიმართ. განა სხვა რამეზე მიუთითებს ზოგიერთი პარლამენტარის მოწოდება იმის თაობაზე, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს შემოერთების საკითხის განხილვა უნდა გადავდოთ რუსეთის, როგორც სახელმწიფოს სრულ განადგურებამდე. მხოლოდ ყავლგასული ქართველი ნაციონალების ავადმყოფ თავში შეიძლება დაიბადოს ამგვარი ბოდვითი იდეა!

ბატონო ალექსანდრე, მოგიწოდებთ, რომ ძველებური შემართებით გააგრძელოთ ბრძოლა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის. იცოდეთ, რომ ქართული პროგრესული საზოგადოება თქვენს გვერდით დგას!

პატივისცემით,

**ნუგზარ გოგუა,**
**“საინჟგეოს” გენერალური დირექტორი**

## კვლავაც გამარჯვების გზით გევლოთ, ბატონო ალექსანდრე!

**სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” თავმჯდომარეს ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას!**

გილოცავთ დაჯილდოებას **“ღირსების ორდენით”, “ორ ქვეყანას შორის, სამეცნიერო-კულტურულ სფეროებში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის”**, რაც არა მხოლოდ თქვენი დიდი დამსახურების აღნიშვნაა, არამედ ნდობისა და პატივისცემის გამოცხადება გახლავთ სრულიად საქართველოსადმი. საწყენი მხოლოდ ისაა, რომ თქვენს ამგვარ წარმატებას ჯიუტად ვერ ამჩნევდა ჯერ შევარდნაძის, შემდეგ სააკაშვილის, ახლა კი **“მეოცნებეთა”** ხელისუფლება.

ვეკითხები მათ: როდემდე?

ნუთუ ნაციონალების მსგავსად ამათაც ჰგონიათ, რომ საქართველოს ტერიტორიული გამთლიანების სხვა გზა არსებობს, გარდა რუსეთთან ტრადიციული კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენისა?

თქვენი ეს დაჯილდოება რიგით მეორეა თქვენი დამსახურებების ნუსხაში. ამ რამდენიმე წლის წინ თქვენ რუსეთის უმაღლესმა ხელისუფლებამ მეგობრობის ორდენით დაგაჯილდოვათ!

მჯერა, რომ საქართველოს ხელისუფლება ოდესმე შეისმენს, თუ რა დიდი პოლიტიკური პოტენციალის მქონე პიროვნება ხართ, გადაძალავს ნაციონალთა სიძულვილს ჩრდილოელი მეზობლისადმი და გამოიყენებს თქვენს შესაძლებლობებს, რათა აღდგეს კეთილი დამოკიდებულება იმ რუსებისადმი, რომელთაც დანაწევრებული საქართველო შეიფარეს და იგი მსოფლიოში ანგარიშგასაწევ სახელმწიფოდ აქციეს!

ქართველებს უმადურობა არ გვჩვევია და არც ისეთი მოკლე მეხსიერება გვაქვს, რომ მალე დავივიწყოთ სიკეთე!

გისურვებთ, რომ კვლავაც გამარჯვების გზით გევლოთ, ბატონო ალექსანდრე!

დღევანდელი ძნელბედობის ჟამს საქართველოს სწორედ თქვენნაირი უმწიკვლო და პრინციპული პოლიტიკოსის ძალისხმევა სჭირდება, ამიტომაც გისურვებთ ჯანმრთელობას და პირად ბედნიერებას, დიდ წარმატებებს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობაში, ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ!

პატივისცემით,

**ლეონტი ბიწაძე,**
**პენსიონერი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# “დიდ მეცნიერთა” სამი დიდი სიცრუე

## შენიშვნები ედემ იზორიას ნაშრომზე – ”გეორგიული თეორია”

*თავად საკითხი – მეტყველების წარმოქმნა-განვითარება, ფენომენალურია, ეს თემა მსოფლიოს გამოჩენილ მეცნიერთათვის ინტერესმოკლებული არასოდეს ყოფილა. აზრთა გაცვლა-გამოცვლა დღესაც გრძელდება; და, აი, ავტორი გვთავაზობს პირველყოფილი ბგერების ჩასახვის, მათი ფონეტიკურ-სემანტიკური ცვლილებების სქემებს. ავტორის აზრით, მთავარი არაა ამ ცვლილებათა თითოეული საფეხური იყოს უზუსტესი: მთავარია, პირველყოფილ ბგერებიდან საბოლოო ლექსიკური ერთეულის წარმოქმნა, ამ უკანასკნელის კავშირი თავსაწყის ბგერასთან იყოს დამტკიცებული. ამ საკითხის ირგვლივ ავტორს მეტად საინტერესო მაგალითები აქვს მოხმობილი. მაგ. ჩხ თუ პირველყოფილი ხმაბაძვითი ბგერათკომპლექსია, გასაგებია მისი არსებობა ტერმინთა სისტემაში, როგორიცაა: ჩუხჩუხი, ჩხნდე, ჩხაპალი, (მეგრ. წვიმის სახეობა), მაჩხაფ (სვ. ჩანჩქერი) და ა. შ.*

*ასევე წ ბგერა თუ წოვის პროცესის დროსაა წარმოქმნილი, სიტყვებში – წყალი, წოვა, წვეთი, ძუძუ (წუწუ) და ა. შ. წ-ს არსებობა წინასწარ განპირობებულია. ამგვარად, საქმე გვაქვს არა შემთხვევითობასთან, არამედ თავსაწყისი სამეტყველო ერთეულებიდან საბოლოო ტერმინთა მთელი სისტემებია აგებული. ეს კი, რაოდენ ფანტასტიკურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ის რეალობაა, რომლის უარყოფა შეუძლებელია. წარმოდგენილ საკითხთა ირგვლივ მოხმობილი დამოწმებები, ეტიმოლოგიები და მიგნებები ნაშრომს მეტად ფასოვან მეცნიერულ ღირებულებას აძლევს. მისი ფართო საზოგადოების წინაშე გამოტანა აუცილებელია.*

კალისტრატე სამუშია,
საზოგადოება „აია-ს“ მეცნიერ-კონსულტანტი, პროფესორი,
21.11.95 წ.

*ბ-ნ ე. იზორიას აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს მეტად საინტერესო, ახლებური მეცნიერული რაკურსით ჩამოყალიბებულ კონცეპტუალურ სისტემას, რომლის ფართო მკითხველისათვის და სპეციალისტებისათვის წარდგენა, ჩვენი აზრით, აუცილებელია. არ არის გამორიცხული, რომ ნაშრომმა, უეჭველ მოწოდებასთან ერთად, მწვავე პოლემიკაც გამოიწვიოს, რაც ასევე აუცილებელი ატრიბუტია სამეცნიერო მოღვაწეობისა.*

*ე. იზორიას ნაშრომი, ნამდვილად, იმსახურებს ყურადღებას და სასურველია მისი პუბლიკაცია.*

რამაზ შენგელია,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ისტორიის კათედრის გამგე,
დოქტორი,
1996წელი

## რეცენზია ენათმეცნიერების ინსტიტუტიდან

დოქტორები: ა. არაბული; ვ. შენგელია; ლ. ქაროსანიძე

*„...გავეცანით მოქ. ედემ იზორიას ნაშრომს “გეორგიული თეორია” (მონოგრაფია და მისი დამატება “გეორგიული ანუ მეტყველების წარმოქმნის პირობითრეფლექსური თეორია”) და გთავაზობთ შეფასებას, რომელსაც ჩვენგან ობიექტური მეცნიერული პრინციპები მოითხოვს.*

*მოქ. ედემ იზორიას კვლევა “მეტყველების წარმოშობის” შესახებ, მართალია, იყენებს ემპირიულ ენობრივ მონაცემებს (ბგერებს, სიტყვებს...), მაგრამ სრულიად არ ითვალისწინებს ისტორიულ-შედარებითი და სტრუქტურული ანალიზის კლასიკურ ენათმეცნიერულ მეთოდებს (ავტორის მიერ მითითებული მიდგომა სინამდვილეში ჩვენთვის ცნობილი ისტორიულ-შედარებითი მეთოდი არ არის), რის გამოც ე.წ. “გეორგიული თეორია” საენათმეცნიერო გამოკვლევად ვერ მიიჩნევა ვერც კვლევის მეთოდებისა და ვერც წამოყენებულ დებულებათა არგუმენტების თვალსაზრისით. შესაბამისად, შეუძლებელია ლინგვისტური თვალსაზრისით მისი რაიმენაირი შეფასება; ნაშრომის სხვა ასპექტებსა და მეთოდებზე კი ჩვენ ვერ ვიმსჯელებთ.*

*ენათმეცნიერებას აქვს მკაცრი, შემოწმებადი მეთოდები, რომლებიც ობიექტური და ერთმნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა, შესაბამისად, მეცნიერული ექსპერტიზაც შეუძლია მხოლოდ ამგვარი სანდო კრიტერიუმების გამოყენებით და ამგვარი თანმიმდევრული აკადემიური კვლევითი შედეგების შესაფასებლად გასწიოს...”*

## პასუხი ენათმეცნიერთ

ენათმეცნიერთა წერილი სწორუპოვარი ნიმუშია მჭერმეტყველებისა: რა ლამაზი სიტყვები, რა ლაკონური, უზადო ფრაზები. იგი პირდაპირ მზესავითაა კაშკაშა. მაგრამ, ვაი, რომ ეს მჭერმეტყველება სოფისტურია და მზე იგი ზამთრისაა, რამეთუ არ ათბობს: სიცრუეა ეს წერილი, აბსოლუტური სოფისტური სიცრუე.

**სიცრუე პირველი: “...მოქალაქე ედემ იზორიას კვლევა სრულიად (ნუთუ იოტისოდენაც არა?!.. – ე. იზორია) არ ითვალისწინებს ისტორიულ-შედარებით კლასიკურ ენათმეცნიერულ მეთოდებს...” და რომ “...ავტორის მიერ მითითებული მიდგომა სინამდვილეში ჩვენთვის ცნობილი ისტორიულ-შედარებითი მეთოდი არ არის”...** (იქნებ სიახლეა?...).

ვპასუხობ ავტორისეული ციტატით: იხ. **„აია”** 9-10: „...საწყისი ენობრივი ძირები ხშირად უცვლელია, მაგრამ, დიდ უმეტეს შემთხვევაში, შეისისხლხორცეს რა სხვა დასაბამისმიერი ძირები თუ შემდგომ წარმოქმნილი მაწარმოებლები, დღეს წარმოგვიდგებიან რთული აღნაგობის სიტყვების სახით, რომელთაც ამჟამად სხვა ძირი და ფუძე გააჩნიათ. პლიუს ამას, თავადაც შეცვლილან და ზოგჯერ გაუჩინარებულან კიდეც.

ჩვენ მოგვიხდება მათი წარმოჩენა. ამაში დაგვეხმარება ენათმეცნიერებაში საყოველთაოდ აღიარებული ისტორიულ-შედარებითი მეთოდი.

უნდა აღინიშნოს: გაგვაჩნია უპირატესობა: დასაბამისმიერი ძირების მიგნებამ ამავე ძირებამდე დაიყვანა სიტყვის ბიოგრაფიის კვლევის დრო. ანუ სასრულამდე მიიყვანა აქამდე არსებული სიტყვის კვლევის უკიდეგანო ისტორია, ხოლო სხვა ენებში პარალელების, შესატყვისობების წარმოჩენამ გააფართოვა კვლევის სივრცე.

ენობრივი კვლევის ასეთმა შესაძლებლობებმა მოგვცა საშუალება დაგვეფიქსირებინა ეტიმოლოგიის ორი სახე ფარდობითი და აბსოლუტური.

მაგ.: ქართ. გულ-ი და მეგრ. გურ-ის შემთხვევაში ქართული სიტყვის ისტორია იგულისხმება 1500 წლის ხნოვანებით (ქართული მწერლობის პერიოდი). მეგრულს ასეთი რამ რომ არ გააჩნია ქართ. მეგრ. ლ : რ. ბგერათშესატყვისობაში დაფიქსირებულია ლ > რ მიმართულება (ქართული ლ-დან მეგრული რ არის მიღებულიო).

ეს ფარდობითი ეტიმოლოგიაა. იგი შედარებით აბსოლუტური რომ გავხადოთ მოვუხმოთ ლათინურს. ლათ. kor. ქართ. გულ. მეგრ. გურ. შედარება ზემოთხსენებულ მიმართულებას პირუკუ შეაქცევს. სიტყვის ისტორიაზე დაკვირვების შესაძლებლობა, ხომ ლათინურის მხარეზეა. მაგრამ ესეც ფარდობითი ეტიმოლოგიაა, რადგან ჩვენ არ ვიცით რა იყო ლათინურს იქით. ხომ შეიძლება მოიძებნოს ამ სიტყვების შესახებ სხვა უფრო ძველი მონაცემები. (ვთქვათ, შუმერულში).

თუ ვენდობით ლაიბნიცს: “რ მოძრაობის გამომხატველი ხმაბაძვითი ბგერაა”, მაშინ ცხადია, მოხსენიებულ სახელებში რ შემთხვევით არ მოხვდებოდა – იგი გულის მოძრაობას გამოხატავს. მაშასადამე რ თავსაწყისია.

ეს უკვე აბსოლუტური ეტიმოლოგიაა.

ახლა დაუკვირდეთ ამავე სიტყვებში ლათინურ-ქართველურ კ : გ შესატყვისობას. რა კრიტერიუმით შევაფასოთ მიმართულება? კ > გ თუ პირიქით?

კარდიოლოგებმა გ. კვარაცხელიამ, მ. ქირიამ და ამ წერილის ავტორმა 1989წ. კარდიოგრაფით ჩავიწერეთ მაგიდაზე თითების კაკუნი, დისკრეტულად (ცალ-ცალკე) წარმოთქმული გ და კ ბგერები და გადავიღეთ ფონოკარდიოგრამა (გულის მუშაობის ხმები).

აღმოჩნდა: კ ბგერის გრაფიკული გამოსახულება მსგავსია მაგიდაზე თითების კაკუნისასთან, გ ბგერისა კი ფონოკარდიოგრამასთან (გულის მუშაობის ხმიანობის გამოსახულებასთან).

ეს გ და კ ბგერების ხმაბაძვითობაზე მეტყველებს და, მაშასადამე, შესაბამისად გ გულის მუშაობის ხმების ხმაბაძვის შედეგი ყოფილა, კ კი – კაკუნისა.

ამას ქართველური ლექსიკაც ადასტურებს: ხომ არ ვიტყვით გულს დაკადუკი ან კუკუნ-ი გააქვსო. უნდა ვთქვათ – დაგა-დუგი ან გუგუნი-ო.

მეგრულშიც გულის ხმიანობის გამომხატველ სიტყვებში ყოველთვის გ ბგერაა: გური იგვაგვ, გური იგორგოთ, კაკუნის ხმიანობის გამომხატველში კი ყოველთვის კ ბგერა მონაწილეობს. მაგ.: კვეკვია **„ჩაქუჩი ერთგვარი“,** კაკაფი, კაკუნი, კაკი – ხეზე ნაჯახით გაკეთებული ნიშანი – კგდ **„კოდალა”** და ა.შ. **„იხ. გეორგიული თეორია”** გვ. 106-109 კ რუსულშიც კაკუნს გამოხატავს: ковать, стук, колокол და ა.შ.

უკვე შეიძლება დაბეჯითებით ითქვას: ქართველურ: ქართ. გულ, მეგრ. გურ, სვ. გვი – ლათინურ ორ, გერმანულ ერ ( შედეგია გ > (გ>კ > ) ჩავარდნისა, იმდაგვარად, როგორც ეს რუსულ Г-ром უკრაინულ Х-ром-ში ხდება. ამ სიტყვებში გ თავდაპირველი ბგერაა და მ.ე. ლათ კ (ც) ვერსაიდან ვერ მოვიდოდა თუ არა ქართველური გ (გ) -დან.

ესეც აბსოლუტური ეტიმოლოგიაა.

ემბრიონს, დაბადებამდე, ბოლო თვეებში დედის გულის მუშაობის ხმები გამუდმებით ჩაესმის, იგივე ხდება დაბადების შემდგომ პერიოდში, ძუძუს წოვისას. მოზრდილიც სხვადასხვაგვარი ფსიქიკური, ფიზიკური დატვირთვის თუ ავადმყოფობის დროს ხშირად ისმენს საკუთარი გულისცემის ხმებს. ამიტომ, ეს ხმები ძლიერი რეფლექსოგენური, ანუ გ სამეტყველო ბგერის გამოწვევის დიდი შესაძლებლობების მქონეა.

როგორც ვხედავთ, სიტყვის – გულ-ი ისტორიას ჯერ განვიხილავ ქართული მწერლობის პერიოდში, შემდეგ მას ვახანგრძლივებ ჩვენს ერამდელ ლათინურამდე და ბოლოს – დასაბამისმიერობამდე.

რატომ არაა ეს ისტორიულ-შედარებითი მეთოდი?... ნუთუ იმიტომ ისტორია რომაა ხანგრძლივი?... – მიპასუხეთ.

**სიცრუე მეორე:** “...ენათმეცნიერებას აქვს მკაცრი შემოწმებადი მეთოდები... მეცნიერული ექსპერტიზაც შეუძლია... ამგვარი თანმიმდევრული აკადემიური კვლევითი შედეგების შესაფასებლად გასწიოს...”

ეს მეორე სიცრუე შედგება სამი ქვესიცრუისაგან: თითქოს ჩემი კვლევითი შედეგები 1) არაა შემოწმებადი; 2) არათანმიმდევრულია და 3) მეცნიერულ ფუძემდებლობას (აკადემიურობასაა) მოკლებული. ბოლო ორზე პასუხი გაცემულია. რაც შეეხება პირველ ქვესიცრუეს – თითქოს ჩემი **„კვლევითი შედეგები – შემოწმებადი არ იყოს”** – მკითხველს, ვთხოვ, კვლავ გადახედოს ზემოთაღწერილ ნარკვევს. ამ ნარკვევში მოცემული ცდა და ცდისეული მონაცემები შემოწმებადია: პატ. ენათმეცნიერნო, გადაამოწმეთ. უფრო მეტიც: ჩაიწერეთ ჩვენი სისტემების თითოეული სისტემის საწყისი ბგერა თუ ბგერათკომპლექსი (წარმოთქმული) და მათ შესაბამის წყაროდ მოაზრებულ მოვლენათა ხმები. აღმოჩნდება, რომ მათი მსგავსებები, ყოველ მიზეზს გარეშე, იქნება აღმატებული სხვა წარმოთქმულ ნებისმიერ ბგერათა თუ ბგერათკომპლექსთა და იგივე მოვლენების ხმების გრაფიკული გამოსახულებების მსგავსებებს. ამის შესახებ ნაშრომში ხშირი მითითებებია: იხ. **„გ.თ“** გვ.4; გვ. 161 (ბოლოთქმა). გარდა ამისა, რას უშვრებით ალბათობის თეორიით დადასტურებულ ბგერათა ხდომილობებს?..

არ ჯობდა, პატივცემულო ენათემცნიერნო, ჯერ შეგემოწმებინათ **„კვლევითი შედეგები”** და მერე გემსჯელათ მათ **„აკადემიურობა”-**ზე: სიცრუეს, ნიჰილიზმს და ცილისწამებებს თავს აარიდებდით.

**სიცრუე მესამე: „მოქ. ედემ იზორიას კვლევა “... სრულიად არ ითვალისწინებს სტრუქტურული ანალიზის კლასიკურ ენათმეცნიერულ მეთოდებს...”**

ეს დიდი სიცრუეა მიუხედავად იმისა, რომ მოხმობილ სისტემებში სიტყვათა გარკვეულ ნაწილში ძირის წარმოჩენა **„კლასიკური მეთოდებით”** შეუძლებელია და ხშირად ამას ვახერხებ სხვა მეთოდით – მათში ბგერათა ხდომილობების დადგენით და ეს სიახლეა.

დიდად პატივცემულნო, რომელი კლასიკოსის რომელი კლასიკურობა გაქვთ მხედველობაში. რამდენი მაგალითია ამდაგვარ დამოწმებებს თუ შეუსაბამობებს მოკლებული? სისტემურობა რომ უარყოთ, მათში შემავალ სისტემებში ელემენტთა დიდი უმრავლესობის (და არა ნახევრის ან ცოტათი მეტის) ამდაგვარობა უნდა დაასაბუთოთ, რადგან თითოეულ სისტემაში თქვენთვის მისაღები სალი წევრის მინიმალური ზღვრული რაოდენობა ორ-ორი რომც იყოს, სისტემურობა შენარჩუნდება. სისტემებში სემანტიკური ერთიანობა თუ ნათელია, ფონეტიკური კი – ბგერათა ხდომილობების განსაზღვრით დგინდება, მაშასადამე, სისტემურობა გარანტირებულია, როგორც თეორიის ურყევი საყრდენი. ნუთუ თქვენთვის ყველაფერი ეს სულერთია?.. გარდა ამისა, ნაშრომის პირველ ნაწილში, ავტორის მიერ დასახელებულია ყველა ქართვ. ბგერის კანონზომიერი ცვლილებები, ამ ცვლილებათა კანონზომიერებების დამდგენი ავტორები დასახელებულია და ეს ცვლილებები უამრავ სტუქტურულ ანალიზებში დამოწმებებადაა გამოყენებული...

რაც შეეხება, ბევრ სიტყვათა ეტიმოლოგიებს – ისინი სრულიად გამჭვირვალეა. ესენი ხომ უფრო მიგნება – მიხვედრილობებია და **„სტრუქტურული ანალიზი”** არც სჭირდებათ. ამათში საწყისი ეტიმოლოგიური ამოსავალი მნიშვნელობა (რაც უმთავრესია) იმდენად ადეკვატურია წარმოქმნილი სიტყვისასთან, რომ ეჭვის საფუძველს არ იძლევა. მაგ: მეგრ. შგ**„სველი‘** + მერე **„გურ„ჭალა‘ > შგ-მერე > შუმერი; მეგრ. მურიცხი „ვარსკვლავი > ურიცხვი > რიცხვი; მეგრ. ქიმინუა„ქმნა“ + მეგრ. ქართ. ალი”‘ > ალით ქიმინუა > ალ-ქიმია; მეგრ. კა„ერთი‘ + ლანდა „ხაზი“ > კა-ლანდა „ახალი წლის პირველი დღე.“ აქედანვე >კალენდარი; მეგრ. კგ„მაგარი“ + რე არის“ > კირი; კირი > 4/კინა და ა.შ.** (იხ. ტექსტი).

დაუსაბუთებლად, ყოველგვარი განმარტებების გარეშე, ათეულობით ამგვარი სასახელო და, იმავდროულად, მყვირალა ფაქტების იგნორირება, ენათმეცნიერ რეცენზენტთა მიერ, ნაშრომის აბუჩად აგდებაზე უარესი დანაშაულია, რადგან საკუთარი სახელოვანი წარსულის აშკარა მიჩქმალვაა. ამით კი არამარტო მათი მეცნიერული ობიექტურობაა, მათ მიერვე, დაჩრდილული...

**2009 წელი**

*(გაგრძელება იქნება)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ერისიონმა“ მოსკოვში კონცერტზე უარი თქვა და კონტრაქტი გააუქმა – მას სახელმწიფო ანსამბლის სტატუსის და დაფინანსების მოხსნით ემუქრებიან...



**„ერისიონმა“** მოსკოვში კონცერტზე უარი თქვა და კონტრაქტი გააუქმა – მას სახელმწიფო ანსამბლის სტატუსის და დაფინანსების მოხსნით ემუქრებიან...

2014 წლის 16 აპრილს მოსკოვში დაგეგმილ კონცერტთან დაკავშირებით ინტერნეტით მოქალაქეების პეტიცია გავრცელდა, რომელშიც ისინი **„ერისიონისთვის“** სახელმწიფო ანსამბლის სტატუსის და დაფინანსების მოხსნას მოითხოვენ:

**„გვსურს, მოვუწოდოთ საქართველოს პარლამენტსა და კულტურის სამინისტროს, მოუხსნათ ანსამბლ „ერისიონს“ სახელმწიფო ანსამბლის სტატუსი და შეუწყვიტოთ დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რადგან ჩვენთვის, რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს მოქალაქეებისთვის, არის დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი, ჩვენი გადახდილი გადასახადებით შევსებული სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხები ხმარდებოდეს „ერისიონის“ კრემლში გასტროლებს“.**

მოგვიანებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ უკრაინაში განვითარებული მოვლენების გამო **„ერისიონმა“** რუსეთში დაგეგმილი კონცერტი გააუქმა.

როგორც For.ge-სთან საუბარში ანსამბლ **„ერისიონის“** სამხატვრო ხელმძღვანელმა ჯემალ ჭკუასელმა აღნიშნა, კონცერტის გაუქმების გადაწყვეტილება საპროდიუსერო კომპანიასთან შეთანხმებით პირადად მიიღო. **„ერისიონი“ ყოველგვარ ძალადობას ემიჯნება. ჩვენ საერთაშორისო ვალდებულებები და პასუხისმგებლობა გვაქვს და ვცდილობთ, ზედმეტად არ გავაღიზიანოთ ჩვენი პარტნიორები. ისინი ძალზე კარგი ადამიანები არიან. ეს არის საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელსაც ყურადღებით უნდა მოვეპყრათ და სახელი არ გავიტეხოთ. არ უნდა დაგვწამონ, თითქოს, ჩვენ უპასუხისმგებლო ადამიანები ვართ“,** – განუცხადა ჯემალ ჭკუასელმა For.ge-ს.

ამ გადაწყვეტილებას, სავარაუდოდ, დიდი ჯარიმა მოჰყვება, რადგან მოსკოვში ამ კონცერტზე დასასწრები ბილეთები უკვე იყიდებოდა...

**საქინფორმი**

ამ არასასიამოვნო, კულტურისათვის ყოვლად მიუღებელ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას ეძღვნება ჩვენი მეგობრისა და ერთგული ავტორის, პოეტისა და ჟურნალისტის ბატონ **ალექსანდრე შენგელიას** ორი სატირული ლექსი, რომელსაც ვთავაზობთ გაზეთ "ილორის" მკითხველებს.

### ორი სათრეველა

"კმარელთა" მიერ ანკესზე ათასმული და "ერისიონს" დაპირისპირებული ათასეულის პასუხად.

### ნუ ჩაიგდებ აინუნში

მხოლოდ მე არ ვამბობ ჯემალ,
საქართველოს სწამს და სჯერა,
ვინც აგინებს "ერისიონს",
ის ღალატობს ერის სიონს.
ჰოდა ძმაო, ძამავ, ჯიმავ,
თუ უვიცი გაგეჯგიმა,
მისი მსგავსი ბაიყუში,
არ ჩაიგდო აინუნში!

### ანკესით ათასმული ათასი

ერის სიო სძულს და კვლავაც
"ერისიონს" უტევს "კმარა",
მაგრამ კმარა, უკვე კმარა,
ნაცმაცუნა ჩვენს სისხლს სვამდეს
და ანკესზეც ათასმავდეს
ბრიყვს და უგნურს ათასამდე!

**ალექსანდრე შენგელია**

# ღია წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ირაკლი ღარიბაშვილს



*გაზეთ "ილორის" წინასიტყვაობა: როგორც მოგეხსენებათ, ერთადერთი პიროვნება, რომელმაც უკვდავჰყო საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სახელი, როცა საკუთარი ინიციატივითა და ხარჯებით დაუდგა ძეგლი ზუგდიდში, გახლავთ ცნობილი ქართველი პოლიტიკოსი და მეცნიერი, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" თავმჯდომარე ბატონი ალექსანდრე ჭაჭია.*

*მაგრამ, ეს არაა საკმარისი, რაზედაც მეტყველებს ქართველ მოღვაწეთა ღია წერილი, რომელიც ამას წინათ გამოაქვეყნა საქინფორმმა.*

*ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვთავაზობთ აღნიშნულ ღია წერილს.*

ბატონო ირაკლი,

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს პირველ პრეზიდენტს – ზვიად გამსახურდიას მრავალი დამსახურება მიუძღვის ჩვენი სახელმწიფოს წინაშე. მან მთელი ცხოვრება შესწირა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას. ის სათავეში ჩაუდგა ეროვნულ მოძრაობას და სწორედ მისი მეთაურობით, მრავალწლიანი ბრძოლის შედეგად, ქართველმა ხალხმა მოიპოვა თავისუფლება.

იმისათვის, რომ სახელმწიფომ დამსახურებული პატივი მიაგოს ჩვენი ქვეყნის პირველ პრეზიდენტს, საზოგადოებაში გაჩნდა იდეა, თბილისის აეროპორტს მიენიჭოს ზვიად გამსახურდიას სახელი. „ნაციონალური მოძრაობის“ დროს ამ იდეის განხორციელება ვერ მოხერხდა, რადგან მაშინდელი ხელისუფლებისთვის მიუღებელი იყო ზვიად გამსახურდიას ეროვნული ფასეულობები.

მას შემდეგ რაც გასული წლის აგვისტოში თბილისის საკრებულოში უმრავლესობა შეიცვალა, საზოგადოებაში კვლავ გაჩნდა იმედი, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში შესაძლებელი გახდებოდა ამ ინიციატივის განხორციელება, თუმცა საკრებულოს უმრავლესობამ, წინამორბედის მსგავსად, აეროპორტისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭებაზე კატეგორიული უარი განაცხადა.

ეს არის საქართველოს პირველი პრეზიდენტის და იმ ეროვნული ფასეულობების შეურაცხყოფა, რასაც ის მთელი ცხოვრება ემსახურებოდა. მით უფრო სამარცხვინოა თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილება, როდესაც დედაქალაქში უკვე არსებობს ჯორჯ ბუშის, ჰოლბრუკის, ალიევის და კაჩინსკის ქუჩები, რეიგანის ძეგლი, სამხედრო გადატრიალების ორგანიზატორების გამზირები და პანთეონები.

თქვენ, როგორც მთავრობის და მმართველი პარტიის მეთაურს, შეგწევთ ძალა, განახორციელოთ თბილისის აეროპორტისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების იდეა. მით უფრო რომ წელს სრულდება 75 წელი ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან. გთხოვთ, პირადად დაინტერესდეთ ამ საქმით და გამოიყენოთ თქვენს ხელთ არსებული ძალაუფლება.

წინასწარ გიხდით მადლობას გულისხმიერებისთვის,

**თამაზ წივწივაძე,**
**რეზო ამაშუკელი,**
**ია ბაგრატიონ-მუხრანელი,**
**ელიზბარ ჯაველიძე,**
**თემურ ქორიძე,**
**დავით სოკოლოვი,**
**ავთანდილ რცხილაძე,**
**ნუგზარ მგალობლიშვილი,**
**მანანა ტაბიძე,**
**გულიკო გიგიბერია,**
**დალი ფიროსმანაშვილი,**
**მანანა გაბაშვილი,**
**ჟანა რეხვიაშვილი,**
**ზაზა ჩიქოვანი,**
**შოთა ზედგენიძე,**
**ლეილა მირიანაშვილი,**
**თამარ ჭავჭავაძე,**
**ელენე აბაშიძე,**

## პოეზიის კუთხე

### აფუნი

დიკუნტარი კაბაშ ქობა,
დღა წყარცალო გოკო გეშვე,
ხიბას გერე აფუნობა,
გითიჯინექ ოსინთეშე.
გიჭანუანც დოლო ირო,
გაცხვანტალგ ტანიშ ჩხვიჩხვი,
დემეცანი, გოლვაფირო,
ცათე ბორჯი ვარე ჩქინი.
აფუნდ რექო, ჩქიმი ცირა
ცაშ კიდირშე გითნაცირა?
სო გილემგარქ ჩქიჩქეცალო,
ქიმკვოსქიდი უჩა ჭალეს,
გუპეულუ ორთას გვალო,
ქუმორთი დო ქომიჭანე.
ქიწომზადე ია-ია,
ვედიტუა შურიშ ნართი,
აფუნდ შვანიშ მაფშალია,
გეხანგი დო გესიმართი.
სონ ლაკადას ეკოთხოზუქ,
ირო ხვალე, ირო ცალო,
ეკოთანაშ ზისხირდ გორდგუ,
ეშაღალირდ ყამაცალო.
სო იდი დო მის აცუნი,
მა ვავორდი სქანი ჭყიში,
გირქენდუო ტანც აფუნი,
ვარ გოშინა ზოთონჯიში.
მუ ჰამო რე ცათე უღუ,
დეკუნტარი კაბაშ ქობა,
ეკოთანას ქუმურთუმუ,
მონჭაფილდ რე აფუნობა.

**გიორგი ხულორდავა,**
2014 წანა

### ნუკრი და ბუნება

გული ლაღობს ტყეს რომ გავალ,
მწვანე ბუჩქნი ტანზედ მეკვრის,
სილამაზე ვუჭვრეტ ღელვით,
როცა ვხედავ ყვავილთ მღერას.

მწვანე მინდორზედ კუნტრუშებს შველი,
დედას გაექცა, მოუნდა ველი,
იყნოსავს სურნელს, დრუნჩსა სწევს მაღლა,
აბა, შეხედეთ ამ ფერთა გამას.

მას ვერ ასახავს ვერცერთი ფუნჯი,
ვერცერთ კვარცხლბეკზე მდგომ მხატვართ დასტა,
ეს მხოლოდ ღმერთმა, შექმნელმა ხატა
ეს სილამაზე, ბუნება ლაღთა.

**დალი ცხაკაია**

### ადამიანო, სძლიე სიხარბეს!

სანამ სიცოცხლემ მთლად არ გასცურა,
მოყვასო ვალი გადაიხადე:
გაჩნდი ამ ქვეყნად? – მოკვდი კაცურად,
ადამიანო, სძლიე სიხარბეს!
მით შევეყრები უფლის იმ ცნებას:
მოყვასი შენი გულით გიყვარდეს;
არ აჰყვე მარტო ფულზე ოცნებას,
ადამიანო, სძლიე სიხარბეს!
წუთისოფელი ბრძოლის ველია
და თანაც მოკლე, ქცევად თიხადვე;
რადგანაც ყველას იქ მიგველიან
ადამიანო, სძლიე სიხარბეს!
სახელი არის დიდება შენი
მოკვდავო, ვალი გადაიხადე:
ჰომოსს ადამის სახელი ჰშვენის
ადამიანო, სძლიე სიხარბეს!
უფლად აიყრის ერთი ასად ტანს,
ხორცი შენს სულს რომ მზისკენ მიჰყავდეს;
დოვლათს საფლავში არვინ ჩაგატანს,
ადამიანო, სძლიე სიხარბეს!

**გურამ ჯიქია,**
ჩხოროწყუ, სოფ ლესიჭინე

# „მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში გაიმართა **„მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“** პრეზენტაცია, რომელსაც უძღვებოდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონებთან ურთიერთობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ამირან ოყროშიძე. პროექტის მიზანია საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების განხორციელების ხელშეწყობით, მცირემიწიანი ფერმერების საქმიანობის სტიმულირების გაგრძელება მათი მდგრად და განვითარებად ფერმერულ მეურნეობებად ჩამოსაყალიბებლად. 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტით წელს დაახლოებით 800.000-მდე მცირემიწიანი ფერმერი ისარგებლებს.

**„მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის"** ბენეფიციარები იქნებიან ფერმერები, რომელთაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში აქვთ 1.25 ჰა ჩათვლით ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. ფერმერთა 93% სწორედ 1,25 ჰექტარი მიწის ფართობის მფლობელია

## ჯალაღონია-ჯალაღანიების გვარის დალოცვა

2014 წლის 25 მაისს საქართველოს **კათალიკოს პატრიარქი ილია II** დალოცავს **ჯალაღონია-ჯალაღანიების** გვარს. ამისთვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივად დაწერა (დახატვა), რისთვისაც **"ლიბერთი ბანკში"** გახსნილია ანგარიში. **მფო 220101480 ანგ. №GE44LB0711101664171640 (როლანდ ჯალაღანიას სახელზე).** მნიშვნელოვანია, ყველა ჯალაღონია-ჯალაღანიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოთ ნებისმიერი თანხა. დეტალების დასაზუსტებლად შეგიძლიათ დარეკოთ ნომერზე: **599-57-33-22, 597-34-43-70 – როლანდ ჯალაღანია).**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე



*დასაწყისი "ილორი" №171-260*

ასეთი სასიამოვნო ფაქტიც: ყოფილმა ინგლისელმა მაწანწალამ, 49 წლის ჰერბერტ პლანტმა, რომელსაც რამდენიმე წლის მანძილზე სამადლოდ აძლევდნენ ლუკმაპურს და ღამესაც ძირითადად ნაგავსაყრელებსა და მიტოვებულ სახლებში ათევდა, ქუჩაში ნაპოვნი ლატარიის ბილეთით 5 მილიონი ფუნტი სტერლინგი მოიგო. გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ ჰერბერტ პლანტი დიდხანს ეძებდა ადამიანს, რომელმაც ბედნიერი ბილეთი დაკარგა, მაგრამ რადგან მისი მოძებნა ვერ შეძლო, 1 მილიონი ფუნტი სტერლინგი მან ღარიბთა საქველმოქმედო ფონდში გადარიცხა, გახსნა მაწანწალათა სასტუმრო, სადაც უსახლკარო ადამიანები ცხელ სადილს მიირთმევენ და ღამესაც ათევენ.

სიკეთის კეთებაში ჰერბერტ პლანტი არა მარტო ყველა იმ ადამიანს უმართავს ხელს, ვისაც ოდესმე მისთვის რაიმე სიკეთე გაუკეთებია, არამედ ყველა გაჭირვებულს, რომელზედაც ხელი მიუწვდება.

ყველა ღირსეულმა მდიდარმა ადამიანმა უნდა მიბაძოს ჰერბერტ პლანტს, ლი მენ ბაკს, უორენ ბაფეტს, ოლე გუნარ სოლსკიაერს, და მაშინ სამყაროში ცხოვრებისეული ჰარმონია შეიქმნება და ჩვენი პლანეტა ძალდატანების გარეშე სოციალისტური გზით განვითარდება (კაცობრიობა როდის აირჩევს ამ გზას?). ის ამ გზას აუცილებლად აირჩევს.

მდიდარ მეწარმეებს (მეწარმეებს შორის უფრო ნაკლებად), მსახიობებს, კომპოზიტორებს, მწერლებს შორის მრავლად არიან ქველმოქმედნი, რომლებიც ეხმარებიან მესამე სამყაროს – განვითარებად ქვეყნებს, ამ ქვეყნების ხალხებს, დამშეულ მოსახლეობას. ერთ ასეთ მაგალითსაც მოვიტანთ: ინგლისის **„მანჩესტერ იუნაიტედის"** ყოფილი ფორვარდი ოლე გუნარ სოლსკიაერი ფეხბურთის გამოსათხოვარი მატჩიდან მიღებულ შემოსავალს ახმარს აფრიკულ ქვეყნებში – ანგოლაში, მალავიასა და მოზამბიკში 10 სკოლის აშენებას. მატჩი ჯერ არ იყო ჩატარებული (ის დანიშნული იყო 2008 წლის 2 აგვისტოს), მაგრამ აღნიშნული გუნდის ფანებმა რომ შეიტყვეს თავისი **„კერპის"** კეთილშობილური საქმე, ენთუზიაზმით დაუჭირეს მხარი, მატჩზე ერთი კვირით ადრე, ფეხბურთზე დასასწრები 60 ათასი ბილეთი გაყიდეს, დაგეგმეს 2 მილიონი ფუნტი სტერლინგის მიღება, რომლითაც შენდება აფრიკაში სკოლები.

35 წლის ნორვეგიელი ფეხბურთელი – სოლსკიაერი, რომელიც 1996–2007 წლებში იცავდა მანჩესტერ იუნაიტედის ღირსებას, 2001 წლიდან ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას – როცა მან გუნდთან ერთად მოინახულა ტაილანდში მშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლი, მან მოახერხა მათთვის მნიშვნელოვანი თანხების გადარიცხვა.

რა თქმა უნდა, ისტორიას ახსოვს ადამიანური კეთილშობილების მრავალი ფაქტი. რუსი ისტორიკოსი კარამზინი ამბობდა: ისტორიას კეთილიც ახსოვს და ბოროტიცო.

ალექსანდრე მაკედონელს უდაბნოში წყლით სავსე მათარა რომ მიართვეს, გადააქცია: ყველას ეს არ ეყოფა და მეც მწყურვალი ვიყოო; პეტრე პირველმა თქვა: ჩემს ხალხს ცივა და ბუხარში რატომ დაანთეს ცეცხლიო? მაჰათმა განდის უთხრეს შენი შვილები მათხოვრობენო. განდიმ უპასუხა: როცა მთელი ინდოეთი მათხოვრობს ჩემმა შვილებმაც იმათხოვრონო. მეორე მსოფლიო ომის დროს ინგლისის მეფის სასახლის ბუხრიდან კვამლის არ ამოდიოდა, რადგან არ თბებოდა ლონდონის სხვა სახლები; მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერი ჟორდანია მეორე კონტინენტიდან რომ მოფრინავდა, თვითმფრინავმა ავარია განიცადა, მან (ჟორდანიამ) თავისი ხსნის საცურაო ჟილეტი მისცა თვითმფრინავში უბილეთო გოგონას, თვითონ კი ოკეანეში დაიღუპა; საქართველოში შინავითარების გართულების დროს, ექიმმა გია აბესაძემ, ოღონდ თქვენ, ქართველები შერიგდითო და თავი დაიწვა. საქართველოსთვის თავშეწირული გია აბესაძის ტანჯული დედა, რომელიც გარდაიცვალა 2009 წლის თებერვლის დასაწყისში: ნატრულობდა ღმერთო, მალე შემახვედრე ჩემს შვილსო.

იძულებული ვარ კვლავ ვთქვა: ისტორიას მრავლად ახსოვს ბოროტი საქმეებიც. საქართველო კატასტროფამდე მოიყვანა ხუნტის ხელისუფლებამ და მხედრიონმა. ქართველ ხალხს კარგად ახსოვს: ხუნტის მმართველობის პერიოდში პრესაში ქვეყნდებოდა მასალები, რომ 500 **„ახალ ქართველს"** საზღვარგარეთ აქვს 6 მილიარდი დოლარი შენახული და ევროპაში სახლებიც ნაყიდიო. ზოგიერთი პასუხობდა: პარიზში **„ქოხი"** ვიყიდეო. პარიზში ქოხი რად უნდოდა? ხალხს ვერავინ მოატყუებს, მაგრამ ეს საქმეს ვერ შველის – ხალხი გაჭირვებაში ცხოვრობს. ეს 500 **„ახალი ქართველი" „ჩინოვნიკია"** და არა ბიზნესმენი. ბიზნესმენი, რომელიც **„კანონიერი"** გზით შოულობს ფულს, ღმერთმა სიკეთეში მოახმაროს. ჩვენში ხშირად კამათობენ: **„ქართველი ბიზნესმენები ნამდვილი ბიზნესმენები არიან, თუ ვაჭრები"**? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ შეგვიძლია, მაგრამ ცხადია, ქართველ ბიზნესმენთა შორის ბევრი ვაჭარია და ფულსაც კარგად შოულობენ, მაგრამ საქართველოს ჰყავს ბევრი, კარგი, ცნობილი ბიზნესმენი, რომლებსაც საქმე კარგად აქვთ მოგვარებული. მაგრამ ერთი ფაქტი ცხადია, ადამიანები მდიდრდებიან სხვა ადამიანების ჩაგვრის ხარჯზე.

ერთი კი ნამდვილად გაუგებარია: პირები, ჩინოვნიკები, რომლებიც, შედარებით მაღალ თანამდებობაზე ხვდებიან, სასწრაფოდ მდიდრდებიან. ასევე, ყველა პარლამენტარი მდიდრდება (გამონაკლისის გარდა – იმ დონეზე (ეკონომიკურად) ცხოვრობენ, როგორც პარლამენტში არჩევამდე, მაგრამ ასეთები თითებზეა ჩამოსათვლელი). რატომ ხდება ასე? ზოგი მიმომხილველი ამას იმით ხსნის, რომ საქართველოს პარლამენტში არ არსებობდა და არ არსებობს ნამდვილი ოპოზიცია.

სამწუხაროა, რომ საქართველოში ხუნტის ხელისუფლების მოსვლიდან მოსახლეობის დიდი ნაწილი ღარიბდება. მოსახლეობის დიდი ნაწილი სიღარიბის ზღვარზეა, – უმძიმეს მდგომარეობაშია, მეორე, მცირე ნაწილი ფუფუნებაში ცხოვრობს და **„ვერ ხედავს", „ვერ ამჩნევს"** და არც უნდა ნახოს, თუ რა მდგომარეობაა ქვეყანაში.

აი ასეთი მაგალითიც, 2009 წლის იანვრის დასაწყისში, 74 წლის ასაკში, აღესრულა ამერიკელი ქალბატონი, რომელსაც დარჩა 4-6 მილიარდის ქონება. ეს დიდი სიმდიდრე მან არ გადასცა არც უპატრონო ბავშვთა სახლს, არც აფრიკელ დამშეულ ბავშვებს, არც თავის ნათესავებს, არამედ უანდერძა თავის საყვარელ კატას. მაგრამ ამერიკის სამართალდამცველებმა, ანდერძი უსამართლოდ ჩათვალეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს მთელი ეს უზარმაზარი ქონება დამშეულებს, ღარიბ-ღატაკებს, კი არა, არამედ გარდაცვლილის ნათესავებს გადაეცეს. აი ასეთია მდიდართა სამართალი.

მიუხედავად იმისა, რომ 2006 და 2007 წლებში მსოფლიო ეკონომიკური ზრდა მაღალი ტემპით არ ხასიათდებოდა, მდიდართა რაოდენობა მაინც იზრდებოდა და 8 მილიონი შეადგინა. მდიდრები განსაკუთრებით იზრდება განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში (ნინო ალექსიძე: სოფლიოს მდიდართა რაოდენობამ 8 მილიონს მიაღწია, განვითარებად ქვეყნებში მდიდრების რაოდენობა სწრაფად მატულობს, გაზ. **„რეზონანსი"** (ყოველკვირეული, 2008, 22 აპრილი.), სადაც შედარებით იაფი მუშა ხელია, რომელთა ექსპლოატაცია და ჩაგვრა უფრო და უფრო იზრდება – სამრეწველო ნედლეულით მდიდარ ქვეყნებში (კერძოდ ჩინეთი, ინდოეთი, ყაზახეთი).

2007 წლის მონაცემებით, მდიდართა შორის პირველი ადგილი კვლავ აშშ-ს უკავია, სადაც 3,1 მილიონი მილიონერი (მსოფლიო მილიონერთა ერთ მესამედზე გაცილებით მეტი) და 460 მილიარდერია. მეორე ადგილზეა იაპონია, იქ 765.000 მილიონერია. მათ მოსდევს დიდი ბრიტანეთი, 557 ათასი მილიონერით, მეოთხე ადგილზეა ჩინეთი 373 ათასი მილიონერით, თითქმის ამდენივე მილიონერია გერმანიაში. საინტერესოა ის ფაქტი, რომ 1916 წელს (29 სექტემბერი) მსოფლიოს პირველი მილიარდერი გახდა ჯონ ნიკველსი. ამის შემდეგ, ოლიგარქებს შორის სტარტი აიღო მილიარდერობისთვის ბრძოლამ.

მდიდარ ადამიანთა რიცხვი მნიშვნელოვნად იზრდება ბრაზილიაში, კანადაში, რუსეთში, ავსტრალიაში, თითოეულ აღნიშნულ ქვეყანაში 2007 წლის განმავლობაში დამატებით 8.500 მდიდარი გაჩნდა.

2007 წელთან შედარებით 2008 წელს ექსპერტთა შეფასებით რადიკალური განსხვავება იქნება, რადგან 2008 წელს უმუშევრების და ღატაკთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დასკვნებით 2008 წელს მსოფლიო ეკონომიკის ტემპის შემცირება, პლანეტის მოსახლეობას საგრძნობლად დააზარალებს, როგორც განვითარებად ისე განვითარებულ ქვეყნებს. 2007 წლის ზრდის ტემპი შემცირდა და შეადგინა 3.7 პროცენტი, მაშინ როცა 2006 წელს იყო 3.9 პროცენტი.

ვერცერთმა მაღალგანვითარებულმა ქვეყანამ ვერ შეძლო მსოფლიო ეკონომიკური ზრდის ლოკომოტივის აშშ-ს ჩანაცვლება.

ექსპერტების პროგნოზით მოსალოდნელია, რომ (გამართლდა ექსპერტთა აზრი და კრიზისი მართლაც დაიწყო) მსოფლიო მასშტაბით ერთი მილიონი ადამიანი დაიღუპება, რომელიც განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებს შეეხება, სადაც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მოსახლეობის ნახევარზე მეტი ცხოვრობს. გაერო არ გამორიცხავს ფასების მატებას, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს **„შიმშილის ბუნტები"**.

ამასთან ერთად, მსოფლიო სასურსათო პროგრამის დირექტორი და აღმასრულებელი ჯოზეტ შირანი ასეთ ინფორმაციას ავრცელებს: მსოფლიოში საკვებ პროდუქტებზე ფასების ზრდის გამო, შესაძლოა, მოშიმშილე მოსახლეობის რაოდენობა 100 მილიონამდე გაიზარდოს, რომელთა რიცხვში იქნებიან მილიონები, რომლებიც ჯერ კიდევ ნახევარი წლის წინათ ასეთი პრობლემების წინაშე არ იდგნენ და საერთაშორისო თანამეგობრობას მოუწოდებს მიიღონ შესაფერისი სასწრაფო ზომები ფასების ზრდის საწინააღმდეგოდ. გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმაც 2008 წლის მარტის შუა რიცხვებში მოითხოვა მსოფლიო სასურსათო პროგრამისათვის დამატებით გამოიყოს 755 მილიონი აშშ დოლარი. (იხ. გაზ. **„ალია"**, 2008, 24-25 მარტი და **„რეზონანსი"**, 2008, 24 მარტი.)

რუსულ **„ლიტერატურნაია გაზეტაში"** 2008 წელს მიმდინარეობდა დისკუსია საზოგადოებრივი მოწყობის მნიშვნელოვან საკითხებზე; მოგვყავს ვრცელი ამონარიდი სანქტ-პეტერბურგელი ანდრეი სტოლიაროვის სტატიიდან **„ჩვენ, ხალხი..." „...ჩვენ და ისინი შეუმჩნევლად სულ რაღაც ათი წლის განმავლობაში, რუსეთის საზოგადოება** (ასეა საქართველოში და სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებში – კ.შ.) **გაიყო ორ მკაფიო წოდებად – ჩვენ და ისინი".**

სხვაობა აქ აშკარაა.

ისინი ცხოვრობენ ორასი, სამასი და უფრო მეტი კვადრატული ფართობის მქონე ბინებში. ჩვენ – სტანდარტულ მრავალსართულიანებში, სადაც ხან წყალს გამოგვირთავენ, ხან ელექტროობას. ისინი იშენებენ ცალკე სახლებს, ქალაქგარეთ, ჩვენ – პატარა ქოხებს საბაღე მონაკვეთებზე. ისინი მუშაობენ ბანკების, კორპორაციების, სააქციო საზოგადოებების სამმართველოებში, ჩვენ – მაღაზიებში, სკოლებში, პოლიკლინიკებში, ქარხნებში. მათი შვილები სწავლობენ ფასიან ინგლისურ, ამერიკულ, ფრანგულ კოლეჯებში, ჩვენები დადიან რაიონების სკოლებში, რომლებსაც მხოლოდ ელემენტარული წერა-კითხვის სწავლება თუ შეუძლიათ. ისინი მკურნალობენ კერძო კლინიკებში, უცხოელ ექიმებთან, ჩვენ მკურნალობისათვის ვდგევართ გრძელ რიგებში, დავრბივართ ერთი აფთიაქიდან მეორეში უფასო წამლის საძებნელად. ისინი დღესასწაულზე იწვევენ ესტრადის ვარსკვლავებს, სადაც გაიელვებს ხოლმე მათი სახეები.

ისინი – ეს ელიტაა.

ჩვენ – ეს ხალხი ვართ...

ჩვენ ისინი არ გვიყვარს, გვიხარია რომ ისინიც ტირიან.

იმათ ჩვენ ვეზიზღებით, ჩვენ იმათ ხელს ვუშლით ცხოვრებაში, იმათ უნდათ, რომ ჩვენ საერთოდ არ ვიყოთ.

ისინი გვემიჯნებიან ჩვენ ღობეებითა და მცველებით.

ეს სავსებით გასაგებია.

იმათ ჩვენი ეშინიათ...

თანამედროვე მსოფლიოს **„ბატონები"** არიან დიდი ტრანსეროვნული კორპორაციის მფლობელები და მენეჯერები, წამყვანი ფინანსისტები, რომლებიც აწარმოებენ, აწესრიგებენ მსოფლიოს ფულადი სახსრების ნაკადებს...

ასეთი ელიტის კორპორაციული ინტერესები, უეჭველია, სახელმწიფო ან ეროვნულ ინტერესებზე მაღლა დგას...

უზარმაზარი ქონება, უცბად რომ აღმოაჩნდათ ჩინოვნიკებს, თანაც თუ ადრე, პროტესტანტული ეთიკა დასავლეთის ქვეყნებში და სოციალისტური ეთიკა სსრ კავშირში, მოითხოვდა ყველაზე მდიდარი მოქალაქეებისაგან პიროვნულ თავმდაბლობასა და ზომიერებას, ყოფა-ცხოვრებაში, ახლა ეს შემაკავებელი ფაქტორი აღარ მუშაობს...

ის, რაც ადრე სახელმწიფოს პრივილეგია იყო, დღეს **„ახალი კლასის"** ცხოვრების ჩვეულებრივი ასორტიმენტი გახდა.

ყალიბდება **„პოსტინდუსტრიული მონობის"** საკმაოდ კარგად ჩამოყალიბებული სქემა. ზედა სართულზე არიან **„ის ბინადარნი"**, ადამიანები, ვისაც ყველაფრის უფლება აქვთ. მეორე საფეხურზე – **„კარის დიდებულები"**, საკუთარი ელიტა, რომლებიც ინარჩუნებენ კასტურ მექანიზმს.

ახალი ბურჟუაზიის დღევანდელობაზე შეიძლება ითქვას, – მათ ვერაფერი ვერ გაიგეს და ვერაფერი ვერ ისწავლეს. ისინი ცხოვრობენ და ისე იქცევიან, თითქოს არ ყოფილიყოს არც საფრანგეთის რევოლუცია, რომელმაც გაანადგურა მდიდრები, არც ოქტომბრის რევოლუცია, (გადატრიალება) პრივილეგირებული კლასები რომ მიაფშვნა, არც განმათავისუფლებელი ომები, რომლებმაც ბოლო მოუღეს **„თეთრი ადამიანის"** ბატონობას, არც 1960-1970-იანი წლების ახალგაზრდული ამბოხებები, რომლებიც არ ცნობდნენ ფულისა და დაგროვების ხელისუფლებას.

როგორც ფეოდალები დაჭენაობდნენ გლეხების მიწებზე, ახლაც **„ცხოვრების ბატონ-პატრონები"** უხვად ითვისებენ **„მიწებს, რომლებიც არავისი არაა"**. შეიძლება სახლი ქალაქის ცენტრში მიიჩნიო ავარიულად, დაანგრიო იგი, და განთავისუფლებულ ტერიტორიაზე ააშენო ელიტარული კომპლექსი, ყოფილი მცხოვრებლები კი, როგორც ყმები, შეყარო ახალ მშენებლობებში. კოტრდება ასობით მეწარმე – მერე რა მოხდა? პროტესტის გამოთქმას აქ აზრი არა აქვს. ა. სტოლიაროვი აგრძელებს: **„რუსმა მათემატიკოსმა იგორ შარგინმა აბსოლუტურად სწორად დაწერა, რომ კაცი, რომელსაც აქვს მილიარდი, სოციალურად საშიშია. არავის არ შეუძლია იგრძნოს თავი დაცულად – თუმცა, მე პირადად მიმაჩნია, რომ სოციალური რისკი იწყება უკვე მილიონიდან"**.

ჩვენ დანამდვილებით შეგვიძლია დავუმატოთ, რომ არა მარტო მილიონიანი ქონების მფლობელი, არამედ უფრო ნაკლები თანხის – საერთოდ ძალიან მდიდარი ადამიანი, სოციალურად ყოველნაირად საშიშია საზოგადოებისათვის.

შემდეგ წერს: „არ არის საჭირო ვიფიქროთ, რომ ეს გაგრძელდება უსასრულოდ – ადამიანი, რომელიც არსებობს თვეში 200-300 ლარად, რაც, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისათვის – თითქმის 85–90 პროცენტისათვის, პენსიონერებისათვის საოცნებო, მიუღწეველი თანხაა, იცის რომ შეძლებულმა ამერიკელმა ქალმა დახარჯა 150 ათასი დოლარი საყვარელი კატის კლონირებისათვის, მე მგონია, – ამბობს ა. სტოლიაროვი, – მასში იღვიძებს რაღაც კლასობრივი ზიზღის გრძნობა. ბარიკადებზე იგი ალბათ, არ წავა, მაგრამ მათდამი სიმპათიები, ვინც ამ ბარიკადებს აშენებს, უსათუოდ გაუჩნდება. გავიხსენოთ, რამდენ ხალხს გაუხარდა მთელს მსოფლიოში, როცა დარტყმა მიაყენეს მსოფლიო სავაჭრო ცენტრის შენობებს. იმასთან დაკავშირებით, რომ ის, ვინც მეტს მუშაობს, უკეთესად ცხოვრობს... ჩინელი გლეხი წყალში მუხლამდე ჩამდგარი რომ ამუშავებს თავის წილ ნაკვეთს, უფრო მეტს მუშაობს, ვიდრე ოფისის ამერიკელი მენეჯერი. რუსეთელი სკოლის მასწავლებელი, რომელიც სახლში დაათრევს რვეულების დასტას, სულაც არ მუშაობს უფრო ნაკლებს, ვიდრე რომან აბრამოვიჩი, მაგრამ შეიძლება განა მასწავლებლის ხელფასით შეიძინო იახტა, ან საფეხბურთო კლუბი?

**კლიმენტი შელია,**
**პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იბერიული ენა და საზოგადოების სრულყოფის პრობლემა

31. ალფავიტში ასონიშანი ა წარმოდგენილია სიტყვა მა-ს დაქარაგმებულ ფორმად, ებრაულში ასონიშნებს ℵ(ა) ალეფს და ע(ა, ო) აინს არა აქვთ საკუთარი ბგერითი მნიშვნელობა, არამედ გამოითქმება მხოლოდ მათი (წინამძღერთა, კ.ფ.) თანხლები ხმოანობა (ბგერადობა).

როგორც ზემოთ აღინიშნა, ყველა ის თვისებები, რაც ადამიანს გააჩნია, ასახულია იბერიულ ბგერა-სიტყვებში და ამ თვისებათა მართვა ებრაულ ენაში ასონიშნ ა-ს, ანუ დაქარაგმებულ შემოქმედელ მა-ს, პიროვნებას, ადამიანს აკისრია (შესაძლოა, ამიტომ ზის ასონიშანი ა ალფავიტის თავში).

ყველა ნეგატიურ თვისებათა გამოსწორება ადამიანმა უნდა განახორციელოს ღმერთის დახმარებით, მაგრამ ადამიანის, ცალკეული პიროვნებების განვითარება და სულიერი მდგომარეობა დამოკიდებულია გარემომცველი საზოგადოების განვითარებაზე და მათს სულიერ სიმაღლეზე. ე.ი. თუ საზოგადოება ექვვა ნეგატიურ, უკეთურ საქმიანობას, პიროვნებასაც თანდათანობით ერთმევა სიბრძნე.

ძალდევა, ანუ გამოსწორება ყველა იმ უარყოფით თვისებათა, რომლებიც [მ]ა-შია, ანუ ადამიანში და იბერიულ ბგერა-სიტყვებ-შია ასახული, შესაძლებელია ადამიანში არსებულ და იბერიულ ბგერა-სიტყვებში ასახულ დადებით თვისებათა თავმოყრით, შემოქმედთან გაერთიანებით და შერწყმით, რაც შემოქმედის ნაწაფარის აღსრულების ბოლოს უნდა მოხდეს.

31. „იდგა ასონიშანი ალეფი და არ წარსდგა შემოქმედის წინაშე. უთხრა შემოქმედმა: <<შენ რატომ არ მოდიხარ ჩემთან, როგორც ყველა დანარჩენი ასონიშნები?>> უპასუხა მან: <<იმიტომ, რომ, დავინახე ყველა დანარჩენი ასონიშნები გამოდიოდნენ შენგან არასასურველი პასუხებით. და, გარდა ამისა, დავინახე, როგორ მიეცით ასონიშან ბეთ-ის დიდი საჩუქარი. ხოლო ვინაიდან სამყაროს მეფეს არ შეუძლია დაიბრუნოს უკან თავისი საჩუქარი და გადასცეს სხვას!>> უპასუხა მას შემოქმედმა: <<თუმცა ასონიშან ბეთ-ით მე შევქმენი სამყარო, მაგრამ შენ დადგები ყველა ასონიშნების სათავეში და არ იქნება ერთიანობა ჩემთან, თუ არა შენზე გავლით, შენგან დაიწყება ყოველთვის ყველაფრის ანგარიში და ამ სამყაროს ყველა ქმედებანი, ხოლო ყველას ერთიანობა მხოლოდ შენშია>> (იქვე გვ. 345).

საეჭვო არ უნდა იყოს, მთელი სამყარო ადამიანისთვისაა შექმნილი. ადამიანის არსებობის გარეშე ვერ იარსებებდა სამყარო და თვით შემოქმედიც. ე.ი. თუ არ იარსებებდა შემოქმედის შემეცნებელი ძალა, ვის და რას შეეძლო შემოქმედის არსებობის შეცნობა და როგორ იარსებებდა შემოქმედი? მაგრამ შემოქმედის სიდიადის სრულყოფილად შეცნობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანი, სამყაროს გვირგვინი, სულიერად შეერწყმება შემოქმედს; შემოქმედთან შერწყმა შესაძლებელია მხოლოდ ადამიანის სულიერად და გონებრივად სრულყოფის შემთხვევაში; ხოლო ადამიანის სრულყოფას მიაღწევს, როცა შესძლებს ბგერა-სიტყვებში ასახული აქ ჩამოთვლილი თვისებების შემოქმედის სამებლად გარდაიქმნას და ამ თვისებების მართვის შემოქმედის მოსაწონად. შემოქმედის მოსაწონად ადამიანის მიერ თავისი თვისებების მართვა ნიშნავს ღვთიურ კანონზომიერებებთან, მისგან მოცემულ თვისებებთან ჰარმონიულ თანაცხოვრებას. სწორედ ესაა თქმული ებრაულ ბრძენის მიერ **„შემოქმედის პირით"** <<... შენ (ადამიანი, კ.ფ.) დადგები ყველა ასონიშანთა (თვისებათა, კ.ფ.) სათავეში და არ იქნება ერთიანობა ჩემთან, თუ არა შენზე გავლით, შენგან დაიწყება ყოველთვის ყველაფრის ანგარიში და ამ სამყაროს ყველა ქმედებანი, ხოლო ყველას ერთიანობა მხოლოდ შენშია>>.

იბერიულ ალფავიტში ბგერა ა და მისი აღმნიშვნელი ასონიშანი , ბგერა-სიტყვა **მ,**-ში , ბგერის ა-თი გახმოვანებით მიღებული სიტყვა მა-ს დაქარაგმებული (თავმოკვეცილი) ფორმაა, რაც სხვა არგუმენტებითაც დასტურდება (იხ. კონა კოლხი, ძველკოლხური ენის საიდუმლოებანი, 2004, გვ. 41); ე.ი. ცნობილია, რომ იბერიულ ალფავიტში ა **მა**-ს დაქარაგმებული ფორმაა, მაგრამ რომელი ბგერაა ებრაული ასონიშნის ℵ(ალეფი) თანხლები ხმიანობა, რომლისაც მიქაელ ლაიტმანის წიგნში ЗОАР ვკითხულობთ, „Буквы алеф и аин не имеют самостоятельного звукового значения, а произносится только сопровождающая их огласовка" (იქვე, გვ. 298), თუ ებრაული ალფავიტი იბერიულის მიბაძვით არაა შექმნილი?

როგორც ვნახეთ, იბერიული ბგერა-სიტყვებით ადამიანის 30 ძირითადი თვისება, სურვილი, აზრი და გრძნობებია წარმოდგენილი. აქედან 27 – ურთიერთ საწინააღმდეგო, წმინდა და არაწმინდა ძალაა, ერთი (ბგერა-სიტყვა **ვ,**) – მხოლოდ უარყოფითია, ხოლო ორი (**ბ**, და **ს**,) – მხოლოდ დადებითი. ე.ი. თვისებათა ბალანსი წონასწორობის უზრუნველყოფისათვის ერთით მეტი დადებითი თვისებითაა დარღვეული. საოცრებაა! წმინდა და არაწმინდა ძალები ადამიანში თანაბარი რომ ყოფილიყო, მის განვითარებას და სულიერ ზრდას არ ექნებოდა ადგილი და ადამიანი, ასეთ შემთხვევაში, ვერც იარსებებდა (თუ იარსებებდა, მხოლოდ ველური ცხოველი). მაგრამ ისე დაადგინა შემოქმედმა, რომ დადებითი თვისება ერთით მეტია. ეს კი განაპირობებს წინსვლას და სულიერ ამაღლებას შემოქმედთან შერწყმამდე, რაც გარდაუვალია.

როგორც ბიბლიიდანაა ცნობილი, ღმერთმა-უზენაესმა შემოქმედმა „შექმნა კაცი ხატად თვისად", რომ თავისი სიდიადის, ყოვლისმცოდნეობისა და ყოვლისშემძლეობის შემფასებელი ჰყოლოდა, რომლის გარეშე ვერც გამოჩნდებოდა მისი სიდიადე და ყოვლისშემძლეობა, შესაბამისად, არც ექნებოდა აზრი მის არსებობას; შექმნა და დაანათლა გარემომცველ სამყაროში არსებული რეალობების აღქმის უნარი და მახსოვრობა, რომ თანდათანობით შეეძინა ის ცოდნა, რომელიც მის ყოვლისშემძლეობას და სრულყოფილებას უზრუნველყოფდა; მაგრამ ყოვლისმცოდნეობის მომცველ სიბრძნეს ადამიანი ერთდროულად ვერ იტვირთავდა; ამიტომ დაანათლა ურთიერთ საპირისპირო თვისებებიც (დადებითი და უარყოფითი), რომ ეგრძნო უარყოფითი თვისებებით გამოწვეული სიმწარე და დადებითი თვისებების გამარჯვებით მოპოვებული ნეტარება, რამეთუ დადებითი, თუ უარყოფითი მძაფრი ემოციების განცდის გარეშე ვერ ჩაიჭედებოდა მეხსიერებაში, შესაბამისად, დადებითი და უარყოფითი რეალობები, ღვთით დადგენილი კანონზომიერებანი და სიკეთისა და ბოროტების გარჩევის უნარი; მაგრამ იმავდროულად მისცა ცხოვრების წესისა და მასში ჩადებული დადებით-უარყოფითი თვისებების თავისებური მართვის და თავისუფალი არჩევანის უფლება, რომ ჰქონებოდა ბუნებაში არსებულ სასიცოცხლო და სასიკვდილო რეალობებთან ჰარმონიული თანაცხოვრებისა და სრულყოფის, ან ამ რეალობებთან წინააღმდეგობით, სულიერი თვითლიკვიდაციის შესაძლებლობა; არჩევანის თავისუფლება აუცილებელი იყო, რადგან უზენაეს შემოქმედს სჭირდებოდა არა რობოტი, არამედ მისი სიდიადის შემფასებელი, თვითგანვითარებით ჩამოყალიბებული, შემოქმედის მსგავსად, ყოვლისმოცდნე და ყოვლისშემძლე ქმნილება-ღმერთი;

ადამიანში ამიტომ ჩადო მან გარემომცველ სამყაროში არსებული რეალობების აღქმის უნარი და მახსოვრობა; და ყველაზე დიდი საოცრება ისაა, რომ შემოქმედმა უშურველად მოგვცა, ერთადერთს დედამიწაზე, ადამის უპირველეს მოდგმას – იაფეტიდ-იბერებს მზამზარეული სამეტყველო ბგერები – ერთმანეთთან საკომუნიკაციოდ უნიკალური და შეუდარებელი საშუალება, განვითარება – სრულყოფისათვის უპირველესი და ზემტკიცე საფუძველი, რომლებშიც ასახულია ადამიანის განვითარება – სრულყოფისათვის აუცილებელი ყველა თვისება. ვიმეორებ: ვერცერთი ერის წარმომადგენელი ვერ წარმოთქვამს ვერცერთ თანხმოვან ბგერას, აბსოლუტურად წმინდად, ირაციონალური , ბგერის თანხლების გარეშე. ამასთან, , ბგერას აქვს მიდრეკილება გახმოვანებისაკენ.

ალფავიტური თანმიმდევრობის უკუმიმართულებით, ბოლოდან დავიწყოთ და მოკლედ ჩამოვთვალოთ ეს თვისებები: ქმნა ( ნა; = ჰყო, ქმნა) დადებითი, თუ უარყოფითი სიახლისა, ესაა ადამიანის განვითარება – სრულყოფისათვის აუცილებელი და ერთ-ერთი ძირითადი თვისება, რომლის გარეშე შეუძლებელია მისი სულიერ-გონებრივი ამაღლება; წოლა (ჯ ნა; ჯ //ჯ ნც=წევს) თავისი დადებით-უარყოფითი თვისებებით აუცილებელია პოტენციალური ენერგიის დაგროვებისა და მოქმედების ენთუზიაზმით განახლებისათვის; [და]მხობა – [და]შლა ( უ: 1) ამხია; 2) შალა) თავისი დადებით-უარყოფითი თვისებებით, რაიმე მიზნის განხორციელების დროს ხელმოცარვისას, ახალი გეგმით სიახლის შექმნისათვის აუცილებელი წინაპირობაა; ჯდომა (ხ ხე=ზის) პერიოდულად, აუცილებელია პოტენციური ენერგიის აღსადგენად და განახლებული ძალით, ახალი ადამიანური ქმნილების შობისათვის (ხუ-ალაშო; ხ ხუ=შვა); კერვა: შეკვრა – შეკოწიწება (ჭ ჭუ=კერა) ახალი ქმნილებისა და ამისთვის სულიერი წვა (ჭ ჭუ = წვა) ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი თვისებაა ზრდა-განვითარებისათვის. ასევე, ჭეშმარიტების ჭის ფსკერამდის სიღრმისეული წვდომის გარეშე (ჭ ჭა-სიღრმის სიმბოლო) შეუძლებელია ჭეშმარიტების შეცნობა და სულიერ-გონებრივი ამაღლება;

**კუკური ფიფია,**
**„ფაზისისა" და „აიას" საერო- სამეცნიერო აკადემიების წევრი, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის კვლევის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი**

# სახალხო მოძრაობა "სამეგრელო" – ქართული ეროვნული მოძრაობის ავანგარდი!

სტატიის სათაურად გამოტანილი ეს ფრაზა ერთ-ერთი ტელევიზიის შტატიანი ტაკიმასხარის (რომელმაც ამას წინათ ჩვენს მიერ ბრიფინგზე ამის თაობაზე განცხადების გაკეთების გამო იქილიკა) მსგავსად შესაძლოა ვინმეს ზედმეტად პრეტენზიული და ამბიციური მოეჩვენოს, მაგრამ ვამბობ იმას, რაც მტკიცედ მწამს და რაშიც ჩვენი ქვეყნის უახლოესი ისტორიის პირუთვნელი შეფასება და მოვლენათა ობიექტური ანალიზი მკარნახობს. და თუ, ეს ასე არ არის, მაშინ, ამ თხუთმეტი წლის გადასახედზე, ანუ მას შემდეგ, რაც სახალხო მოძრაობა **"სამეგრელო"** არსებობს, მაჩვენოს ვინმემ სხვა საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ძალა, რომელიც ესოდენ მტკიცედ, მამულიშვილურად, კვალიფიციურად და თანმიმდევრულად იცავდა და იცავს ეროვნულ-ტრადიციულ, ქრისტიანულ და თუ გნებავთ, რაც აგრეთვე, უაღრესად მნიშვნელოვანია ამ საყოველთაო ნიველირების, სუროგაზიციის და გლობალიზაციის ეპოქაში, ზოგადეროვნულთან ერთად მეგრული იდენტობის, თვითმყოფადობის გამომხატველ ნიშან-თვისებებს. დიახ, მეგრულის, რადგან ქართველურის, ზოგადეროვნული მთლიანობის უწინარესი ნაწილია მეგრული, ისევე როგორც სვანური და ჩვენი ვალია მათი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნება. რაკი, ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას შევეხე, ცხადია, აქ პირველ რიგში ვგულისხმობ ქართველურ ენებს, რამეთუ სწორედ ენობრივ კულტურაშია გამოხატული ყველაზე ძალუმად ხალხის ვინაობა, სწორედ ქართველურ (კოლხურ-იბერიულ) ენობრივ ტრიადაშია დაუნჯებული ჩვენი უნიკალური ლექსიკური სიმდიდრე. სწორედ ეს არის ჩვენი უდიდესი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა და რაოდენ სამწუხაროა, რომ სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** ზუგდიდის ორგანიზაციის შარშანდელი ინიციატივა – საკანონმდებლო დონეზე გადაწყვეტილიყო ქართველურ ენათა დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ჩამოყალიბების საკითხი, პარლამენტის მიერ იგნორირებულ-იქნა. არადა, არსებულ ხელისუფლებას ჰქონდა შანსი, პირველად საქართველოს ისტორიაში აეღო პასუხისმგებლობა ქართველურ (ქართულ, მეგრულ-ჭანურ, სვანურ) ენათა დაცვა-განვითარებაზე. მე, ჩვენი ორგანიზაციის სახელით კიდევ ერთხელ და დაჟინებით მოვუწოდებ ხელისუფლება-მთავრობას, ერთხელ მაინც გადადგას პატრიოტული ნაბიჯი და მაშინ როდესაც, ჩვენი ერის თვითმყოფადობას, საერთოდ არსებობასაც კი ემუქრება უდიდესი საშიშროება, როცა წალეკვით გვემუქრება გლობალიზაციის ოკეანეში ავარდნილი უსაშინლესი ცუნამი, ჯერ კიდევ შემორჩენილი დამცავი ჯებირების მორყევა-მოშლით კი ნუ დაკავდება, არამედ, კეთილი ინებოს და მის გამაგრება-განმტკიცებაზე იზრუნოს. ვალდებულია ასე გაისარჯოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იმედია ხალხს არ გაუჭირდება შესაბამისი დასკვნის გაკეთება და ბუნებრივია ადეკვატური გადაწყვეტილების მიღებაც. მადლობა ღმერთს, უპირობოდ და მუდმივი ვადით ხელისუფლებაში არავინ აურჩევია ჩვენი მრავალჭირნახული ქვეყნის მოსახლეობას. იმედია, არც ევრო-ატლანტიკური ზღაპრებით შესძლებენ ჩვენი გაუბედურებული ერის ბოლომდე გაბრუებას. კვლავ ვუბრუნდები ენის თემატიკას, არახალია და აქსიომაა, როცა ენა კვდება – კვდება ხალხიც! არ შეიძლება, ოცდამეერთე საუკუნეში, მაშინ, როდესაც მსოფლიოში არსებობს ფლორის და ფაუნის ცალკეულ წარმომადგენელთა დაცვის უამრავი ფონდი თუ ასოციაცია, ჩვენივე გულგრილობის გამო გაქრეს ერთ-ერთი უძველესი, უმდიდრესი, უმშვენიერესი ენა და, შესაბამისად, ამ ენაზე მოსაუბრე მითაჟამინდელი ხალხიც! ამ შემთხვევაში ვგულისხმობ მეგრულ ენას და მეგრელ ხალხს. საიდუმლო ნამდვილად არაა, უწინარესად სწორედ დღევანდელი მეგრელები ვართ კაცობრიობის ცივილიზაციის სათავეებთან მდგომი კოლხურ-იბერიული მოდგმის პირდაპირი მემკვიდრენი. ასე რომ, სწორედაც ვალდებულნი ვართ ამ მოდგმის ავად თუ კარგად დღევანდლობამდე შემორჩენილი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა არა თუ დავიცვათ და შევინარჩუნოთ, არამედ განვავითაროთ კიდევაც და რუდუნებით გადავულოცოთ შთამომავლობას. ამას გვავალდებულებს ჩვენი მოდგმის წარსული, აწმყო და მომავალი! ამას გვავალდებულებს ჩვენი ჯიშის, ჯილაგის უკვდავების და მარადიულობის რწმენა და ღრმად გაცნობიერება იმისა, რომ, ამით ჩვენ უფლისთვის სათნო საქმეს აღვასრულებთ! ვფიქრობ, ეს არის საკითხი რომელსაც აუცილებლად სჭირდება აქტუალიზება და პოპულარიზაცია. ამ მიზნით ჩვენ მართალია, ჩავატარეთ არაერთი ღონისძიება, მაგრამ შორსა ვარ აზრისაგან, რომ ამგვარი ღონისძიებებით პრობლემა საბოლოოდ მოგვარდება. რა თქმა უნდა კარგია, საჭიროც იყო, შარშან ჩვენი მოძრაობის მიერ ყოველი წლის 29 მაისის მეგრული ენის დღედ გამოცხადება. ასევე, შეხვედრები ენათმეცნიერებთან, საჯარო ლექციები, მეგრული პოეზიის საღამოები, ერთგვარი ხალხოსნური და საგანმანათლებლო საქმიანობა, აგიტაცია, პროპაგანდა თემის აქტუალიზება-პოპულარიზაციისათვის შესანიშნავი, აპრობირებული საშუალებაა, მაგრამ არასაკმარისი! საკითხი ბოლოს მაინც სახელმწიფოებრივ, საკანონმდებლო დონეზეა გადასაწყვეტი! ასეთი გადაწყვეტილებების მიღება კი, როგორც ჩანს შეუძლებელია, მანამ სანამ არ გვეყოლება ჭეშმარიტად ეროვნულ-ტრადიციულ (კოლხურ-იბერიულ) და ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ ღირებულებებზე ორიენტირებული ხელისუფლება. ლოგიკურია, რომ მოძრაობა **"სამეგრელო"** აცნობიერებს ამას ყოველივეს. საჭიროა და აუცილებელიც, მოსახლეობას ჩამოუყალიბდეს სწორი ხედვა მიმდინარე პროცესებთან მიმართებაში. აუცილებელია ის ობიექტურად იყოს ინფორმირებული. ამიტომაც ვცდილობთ ხალხს შესაძლებლობის ფარგლებში სისტემატურად მივაწოდოთ მოძრაობის ბეჭდვითი გამოცემები. ვფიქრობ უახლოეს მომავალში ჩვენს მიერ უფრო აქტიურად იქნება გამოყენებული სოციალური ქსელებიც. მართალია ინფორმაციულ სფეროში ჩვენი შესაძლებლობები წარმოუდგენლად მცირეა, მაგრამ აუცილებლად უნდა ვცადოთ მისი უფრო ეფექტურად გამოყენება.

არის საკითხიც, რომელიც უაღრესად მტკივნეულია და უმნიშვნელოვანესი, სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოსათვის"**. ესაა ტერიტორიული მთლიანობის საკითხი. რა თქმა უნდა, დაკარგული ტერიტორიების გამო ასევე ყოველი პატრიოტი ქართველი განიცდის ტკივილს. მოძრაობა **"სამეგრელო"** ცდილობს აფხაზებთან ურთიერთობა პოზიტიური კუთხით იქნას განვითარებული. ამას დღეს არა აქვს ალტერნატივა და ამგვარი მიდგომა არის ძალიან მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი გამთლიანების თვალსაზრისით. უაღრესად მნიშვნელოვანია, ამ თვალსაზრისით, სამეგრელოს უდიდესი პოტენციალის გამოყენება. სამწუხაროდ ყველა ხელისუფლება დღემდე მუდმივად იგნორირებს ნებისმიერი ჭკუათმყოფელისათვის ამ უდაო ჭეშმარიტებას.

მოძრაობა **"სამეგრელოს"** ზუგდიდის ორგანიზაციას, ისევე როგორც მთლიანად ს. მ. **"სამეგრელოს"**, ბუნებრივია აქვს თავისი გამოკვეთილი პოზიცია საგარეო ორიენტაციასთან დაკავშირებითაც, რადგან სწორედ საგარეო ვექტორის სწორ არჩევანზეა ყველაზე მეტად დამოკიდებული საქართველოს გამთლიანების და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების პერსპექტივა. დარწმუნებული ვარ მავანთა აკვიატებული იდეა ევროატლანტიკურ სივრცეში საქართველოს ინტეგრირებაზე სტრატეგიულად გაუმართლებელი და დამღუპველია ჩვენთვის. ერთი სიტყვით, კოლხურ-იბერიულ (ეროვნულ-ტრადიციულ), ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ ფუნდამენტზე და ჩვენს უდიდეს მეზობელ ევრაზიულ ზესახელმწიფო რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებაზე დაფუძნებული და ორიენტირებული სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** საქმიანობა, როგორც ჩანს საკუთარი ანტიეროვნული ბუნებიდან გამომდინარე, დღემდე მიუღებელი აღმოჩნდა ჩვენი ყველა ხელისუფლებისათვის. მიუღებელია ის პოლიტიკური სპექტრის ანტიეროვნული ნაწილისთვისაც. პირდაპირ გასაოცარია, თუ როგორი დანაშაულის ტოლფასი სიჯიუტით ცდილობს დღემდე ყველა ხელისუფლება და ზოგიერთი პოლიტიკანი **"სამეგრელოს"** ლიდერის, აკადემიკოს ალექსანდრე ჭაჭიას უტყუარი, ღრმად კონცეპტუალური, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი შინაარსის მოსაზრებების, მე ვიტყოდი რეცეპტების იგნორირებას. რას ვიზამთ! ეს ომია! სამამულო ომი! სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"**, მის ლიდერს, მთლიანად მმართველ რგოლს, აქტივს, თითოეულ წევრს თუ მხარდამჭერს არჩევანი დიდი ხანია გაკეთებული აქვს. ეს არჩევანი ბრძოლაა! ბრძოლა მამულის გადასარჩენად! ბრძოლა დანაწევრებული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სხეულის გასამთლიანებლად! აი, ამიტომ, ყოველგვარი ყალბი თავმდაბლობის გარეშე ვაცხადებ, რომ ვიმყოფებით ამ ბრძოლის მეწინავე რიგებში! ვაცხადებ, რომ ვართ ქართული ეროვნული მოძრაობის ავანგარდი! რომ არ გვეშინია არანაირი ინსინუაციების! მწამს, წინაპართა სულები ჩვენთან არიან! მწამს, უფალია ჩვენი შემწე ამ უთანასწორო, მაგრამ სამართლიან ბრძოლაში.

**ზურაბ კვარაცხელია,**
**სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარე**

ილორი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ევროკავშირის პრეზიდენტს ჰერმან ვან რომპეის! ევროკომისიის პრეზიდენტს ჟოზე მანუელ ბაროზუს! ევროპარლამენტის თავმჯდომარეს მარტინ შულცს! ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს ტორბიონ იაგლანდს!

მოგმართავთ თქვენ, ევროკავშირის ხელმძღვანელებს, იმ 28 დემოკრატიული ქვეყნის მთავრობას და ყველა კეთილი ნების ადამიანს,რომელთათვის ერთა თავისუფლება და ადამიანის უფლებების დაცვა სასიცოცხლო,ფუნდამენტური მნიშვნელობისაა. ჩვენი სურვილია ობიექტურად შეგახსენოთ და თქვენთან ერთად სამართლიანად განხილულ და შეფასებულ იქნას საქართველოს რესპუბლიკაში მიმდინარე პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტი, მოკლედ აგიხსნათ საქართველოს რეალური მდგომარეობა. 1991 წლის 9 აპრილს, ხალხის მიერ არჩეულმა ეროვნულმა კანონიერმა ხელისუფლებამ, პირველად საბჭოთა იმპერიის პირობებში,გამოაცხადა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენა, 1918–21 წლის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აქტისა და 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის საფუძველზე. ამ ისტორიული მისიის შესრულება განახორციელა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერმა, ადამიანის უფლებების თავგამოდებულმა დამცველმა, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ და მისმა ეროვნულმა ხელისუფლებამ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უფლებამოსილებით. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, კონსტიტუციურმა ეროვნულმა ხელისუფლებამ დაიწყო სერიოზული რეფორმები სამართლებრივი სახელმწიფოს შესაქმნელად, უფრო მეტიც, სულ მოკლე დროში განახორციელა არაერთი საკანონმდებლო და სამართლებრივი, დემოკრატიული,ეტაპობრივი ცვლილებები (კომუნისტური სისტემის დემონტაჟისათვის). სამწუხაროდ, ქვეყნის დამოუკიდებლობის აშკარა და ფარულმა მტრებმა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, ბოლშევიკურმა-რევანშისტულმა ძალებმა, თავიანთი მაფიოზური და შავბნელი მიზნების განსახორციელებლად,ქვეყნის წინააღმდეგ, არნახული ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულება წამოიწყეს და დემოკრატიის ნიღბის ქვეშ,მთელი ცივილიზებული სამყაროს თვალწინ,განახორციელეს სამხედრო-კრიმინალური გადატრიალება,ანუ კლასიკური ტიპის პუტჩი, რის შედეგადაც 1991-92 წწ-ში დაამხეს კანონიერი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, გააუქმეს საკონსტიტუციო ორგანო – უზენაესი საბჭო, აღმასრულებელი ხელისუფლება მინისტრთა კაბინეტის სახით და არჩეული თვითმართველობის ყველა ორგანო დაითხოვეს. პუტჩისტებმა ფეხქვეშ გათელეს რესპუბლიკის კონსტიტუცია და ამით ქვეყანა 22 წლის მანძილზე, კონსტიტუციისა და სამართლებრივი ველის გარეთ დატოვეს. ჩვენს ქვეყანაში ჩამოაყალიბეს მმართველი სამხედრო-ტერორისტული საბჭო, რითაც აღნიშნულ უპრეცედენტო ანტისახელმწიფოებრივ ქმედებას ჩაუყარეს საფუძველი, რომელშიც საქართველო დღემდე იმყოფება. პირდაპირ რომ ვთქვათ საქართველოში სუფევს სამართლებრივი ვანდალიზმი. აღნიშნული სამხედრო გადატრიალება წარმოადგენდა ყველა დღემდე არსებული საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევას, გაეროს,ეუთოს და სხვა შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებების ფეხქვეშ გათელვასა და იგნორირებას. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ქმედებები არ წარმოადგენდა სამოქალაქო ომს, როგორც ამას პუტჩისტები საზოგადოებაში დღემდე ავრცელებენ და რომელიც განახორციელეს მაშინდელი რუსეთის იმპერიის მესვეურებმა და ადგილობრიმა კრიმინალურმა ბოლშევიკურ-რევანშისტულმა ძალებმა. აუცილებელია, აღინიშნოს,რომ სამხედრო გადატრიალება მოახდინეს საქართველოს თავისუფლების მტრებმა და ხელისუფლება მიიტაცეს,(რაც დღემდეც გრძელდება), იმ ტიპის პირებმა, რომელთაც არავითარი წვლილი არ შეუტანიათ 9 აპრილს გამოცხადებული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეში, უფრო მეტიც, სამხედრო გადატრიალებიდან დღემდე,ძალაუფლებაში მოსული თანამდებობის პირები ედ.შევარდნაძის მეთაურობით იბრძოდნენ და ამჟამადაც ებრძვიან ჩვენი სამშობლოს თავისუფლებას და რეალურ სუვერენიტეტს. სამწუხაროდ, დასავლეთის დემოკრატიული სახელმწიფოების ხელისუფლებმა, არათუ დაგმეს აღნიშნული სამხედრო გადატრიალება, არამედ ზოგიერთი წამყვანი ქვეყნების მაშინდელი პოლიტიკური ლიდერები მიესალმნენ და მწვანე შუქი აუნთეს კრემლის აღნიშნული ქმედებების განხორციელებას, რითაც ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა თავიანთი ხელმოწერილი დოკუმენტის (ეუთოს ) ევროპის უშიშროების თანამშრომლობის თათბირის ყველა ხელშეკრულება უგულვებელჰყვეს და ჩრდილი მიაყენეს საერთაშორისო ღირებულებებსა და ფასეულობებს,რაც ჩვენთვის შეუწყნარებელი ფაქტია. პუტჩის შემდეგ დაიწყო საქართველოს რესპუბლიკის, როგორც ერთიანი დამოუკიდებელი სამართლებრივი სახელმწიფოს რღვევა; ხელყოფილ იქნა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, ანუ მიტაცებულ იქნა საქართველოს ისტორიული,ძირძველი ტერიტორიები (სამაჩაბლო, აფხაზეთი), რის შედეგადაც საკუთარ სამშობლოში ნახევარ მილიონზე მეტი ლტოლვილია და რომელთა მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა სიღატაკის ზღვარს მიღმა აღმოჩნდა და მათი ცხოვრება შიმშილობის სტადიამდეა მიყვანილი, თვითმკვლელობა ქვეყანაში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. კონსტიტუციური ხელისუფლების იძულებით ჩამოშორების შემდეგ,საქართველოს მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელდა არნახული ტერორი, სისტემატიურად და სასტიკად ირბეოდა და იხვრიტებოდა მშვიდობიანი აქციები და მიტინგები, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების დაუყოვნებლივ აღდგენას მოითხოვდა; განხორციელდა არაერთი პოლიტიკური მკვლელობა. 1993 წლის დეკემბრის ბოლოს ფიზიკურად გაანადგურეს საქართველოს რესპუბლიკის პირველი და ჯერ-ჯერობით ერთადერთი, ლეგიტიმურად არჩეული პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და ეს ანტისახელმწიფოებრივი მძიმე დანაშაულები დღემდე არათუ გამოძიებულია, არამედ ქართველი ერის მიერ დანაშაულში მხილებული და ბრალდებული პირები მასიურად ქვეყნის ხელისუფლების სათავეში არიან და მართავენ მას. ჩვენი სამართლიანი,ობიექტური ანალიზით,დამნაშავე ბოროტმოქმედმა ძალებმა, არალეგიტიმურმა რეჟიმებმა, ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ საქართველო როგორც დამოუკიდებელი, ერთიანი სამართლებრივი სახელმწიფო არ შემდგარიყო და რეალურად აღასრულეს აღნიშნული ქმედებები. საქართველოში, კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ აღარ არსებობს ჭეშმარიტი მართლმსაჯულება, სასამართლო არ არის სამართლიანი და დამოუკიდებელი, პროკურატურა,პოლიცია და სხვა სამართლებრივი სტრუქტურები (საგამოძიებო ორგანოები) მხოლოდ და მხოლოდ ძალაუფლებაში მოსული ადამიანების სახელისუფლებო კლანების ტყვეობაში იმყოფებიან და მათ დავალებებს ასრულებენ,რის გამოც კანონიერი უზენაესი პრინციპების დამკვიდრების იგნორირებას ახდენენ. სახელმწიფო გადატრიალებამ ქვეყანაში სათავე დაუდო ადამიანის უფლებების სისტემატურ უხეშ დარღვევებს, (ხელყოფილია მთავარი – სიცოცხლის უფლება) ფეხქვეშ ითელება ადამიანის სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული უფლებები. იგნორირებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში გაცხადებული ძირითადი პრინციპები. ასევე არ არსებობს დამოუკიდებელი, სამართლებრივი, ეკონომიკის განვითარებისათვის რაიმე სერიოზული პირობები, არ არის არც დამოუკიდებული ბიზნესი, უფრო მეტიც, საქართველოში გამეფებულია კლანური, მტაცებლური ე.წ. სახელისუფლებო რეკეტი, რომელიც ქვეყნის ხუთ-მილიონიან მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწევს და მისთვის ეს ყოფა დამთრგუნველია. ამიტომაც 1.800.000-მა საქართველოს მოქალაქემ დატოვა ქვეყანა და უცხო ქვეყნებში ხელზე მოსამსახურედ იქცა. ქვეყანაში გამეფდა ანტიადამიანური, არალეგიტიმური რეჟიმების სერია (ედ.შევარდნაძე, მ. სააკაშვილი, ბ. ივანიშვილ-ღარიბაშვილის) დე-ფაქტო ხელისუფლებების სახით. სახელმწიფო გადატრიალებამ საძირკველი ჩაუყარა ადამიანის მთავარ – არჩევანის უფლების უგულვებელყოფას. ეროვნული, კონსტიტუციური ხელისუფლების დამხობით, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას არათუ წაართვა არჩევანის უფლება, არამედ ქვეყანაში ჩამოყალიბდა და სისტემად იქცა ე.წ. არალეგიტიმური არჩევნების ტრადიცია. ყველა ე.წ. საპრეზიდენტო თუ საკანონმდებლო – პარლამენტის არჩევნები, იყო, არის და მუდამ იქნება არასამართლიანი, არალეგიტიმური, ფალსიფიცირებული და საერთაშორისო ნორმებთან შეუსაბამო. ასევე არ არსებობს საარჩევნო კოდექსი და არც დამოუკიდებელი საარჩევნო კომისია, პლურალისტური, მრავალპარტიული სისტემა. ქვეყანაში ჩამოყალიბებულია ტოტალიტარული, ერთპარტიული ოლიგარქიული კლანური სისტემა, გახვეული ე.წ. მრავალპარტიულობის საბურველში. არ არსებობს თავისუფალი აზრის გამოხატვის საშუალება. ტელევიზია, ბეჭდური მედია არ გამოხატავენ ხალხისა და ადამიანების სამართლიანი ობიექტური სიტყვის თქმის საშუალებას,აქედან გამომდინარე საინფორმაციო საშუალებები ემსახურებიან მხოლოდ ხელისუფლებაში მყოფ მაფიოზურ კასტას და მათ იდეოლოგიურ ბერკეტს წარმოადგენენ. ასევე უგულვებელყოფილია ქართველი ერის აბსოლუტური უმრავლესობის ტრადიციების პატივისცემა, რადგანაც ქართველი ერი, თავის ათასწლეულების მანძილზე ყალიბდებოდა ზნეობრივი ღირებულების საფუძველზე და მისთვის სრულიად მიუღებელია ერში დამკვიდრება იმ უზნეო-არატრადიციული ორიენტაციისა, რომლის ფართომასშტაბიანი პროპაგანდისტული კამპანია გაჩაღებულია ჩვენს ქვეყანაში და მითუმეტეს მისი ლეგალიზება,რომელიც ანგრევს საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული, ქართული ეთნოსის ფსიქოეთნიურ მენტალიტეტს. გაშმაგებული ბრძოლა მიმდინარეობს ეროვნული ცნობიერებისა და ტრადიციების წინააღმდეგ. სამხედრო გადატრიალების შემდეგ, საქართველოში მრავლად გაჩნდნენ პოლიტიკური პატიმრები – სინდისის ტუსაღები და პოლიტიკური დევნილები. საუბედუროდ, ტრადიციად იქცა შუა საუკუნეების ინკვიზიციის მეთოდებით პატიმართა არნახული და სასტიკი წამება. ქვეყანაში არ არსებობენ დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციები,ისინი შექმნილი არიან ძალაუფლებაში მოსული მმართველი პოლიტიკური მაფიოზური კლანების მიერ და ასრულებენ მათ დავალებებს. ჩვენთვის გასაკვირია, რომ ასეთ გაცხადებულ უკანონო არასამართლებრივ რეალობაში ე.წ. ყველა არჩევნებს, დასავლეთის დემოკრატიული ძალები, მეტნაკლებად ჩატარებულად მიიჩნევენ. სამხედრო გადატრიალების შედეგად საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, არათუ დაემორჩილა თავსმოხვეული რეჟიმების სისასტიკეს, არამედ მშვიდობიანი გზით იბრძოდა და იბრძვის დღესაც საქართველოში კონსტიტუციური ხელისუფლების აღსადგენად. ბუნებრივია ისიც, რომ ანტიხალხური რეჟიმების ძალმომრეობითმა ქმედებებმა ხალხს ვერ მოუტანა სახელმწიფოებრივი შედეგები, უმეტესწილად, ეს საერთაშორისო დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ხელისუფლებების უპრინციპო,უსამართლო პოლიტიკის შედეგია. დღემდე ჩვენს შეშფოთებას იწვევს ჩვენი სახელმწიფოს მიმართ, თქვენს მიერ გატარებული ორმაგი სტანდარტები. არ შეიძლება არ ავღნიშნოთ დიდი ფრანგი მოაზროვნის ვიქტორ ჰიუგოს სიტყვები: **„ყველაფერი სამართლიანობიდან იწყება“.** ჩვენ, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებმა და ადამიანის უფლებებისა და კანონიერების დამცველებმა,რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველზე,ქართველი ერის ნების გამოხატულებად მივიჩნიეთ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას კანონიერი, კონსტიტუციური, ლეგიტიმური ხელისუფლების – უზენაესი საბჭოს აღდგენის ეროვნული კომიტეტის შექმნა, რომლის მთავარი მიზანია, ჩვენს სამშობლოში აღდგენილ იქნას კონსტიტუციური, სამართლებრივი მემკვიდრეობა; საგულისხმოა ის ფაქტი, რომ დამხობილ ხელისუფლებას კაპიტულიაციაზე ხელი არ მოუწერია და იგი დღემდე აგრძელებს ბრძოლას სამართლიანობის აღსადგენად. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ახლოვდება რა ჩვენი სახელმწიფოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცედურები და რადგანაც თქვენ ყოველივე ამის წინაპირობად მიგაჩნიათ კანონის უზენაესობის და ევროპული ფასეულობების გატარება სახელმწიფოში, რაც ჩვენთვის საინტერესოა; მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჩვენი ერის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე,საქართველოს მოსახლეობის სახელით,თქვენს წინაშე დავაყენოთ შემდეგი საკითხები:

1. საერთაშორისო სამართლის შესაბამისად აღდგეს 1991 წლის საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, რათა ქვეყანა სამართლებრივ სივრცეში მოექცეს, რაც უზრუნველყოფს ლეგიტიმური, სამართლიანი,დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას.

2. მოხდეს 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლაში მონაწილე ეროვნულ-პოლიტიკური პარტიების და სამოქალაქო ორგანიზაციების ლეგალიზება.

3. ევროკავშირმა და ევროსაბჭომ დაუყოვნებლივ გამოგზავნოს საქართველოში საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებითა და ექსპერტებით დაკომპლექტებული კომპეტენტური კომისია და ადგილზე იქნას გამოკვლეული და გამოქვეყნდეს ობიექტური მასალები საქართველოში მომხდარი სამხედრო გადატრიალების ფაქტზე და ამ პოლიტიკური ქმედებების შეფასება წარედგინოს ევროკავშირის ხელმძღვანელობას.

4. ევროკავშირმა სამართლებრივ-პოლიტიკური შეფასება მისცეს საქართველოში განხორციელებულ სამხედრო გადატრიალებას, კონსტიტუციური ხელისუფლების დამხობას,რომელიც განახორციელა უცხო ქვეყნის ძალებმა; ასევე შეფასება მისცეს არალეგიტიმური,ტოტალიტარული,საოკუპაციო რეჟიმების უკანონო ქმედებებს საქართველოს მოსახლეობის მიმართ.

5. ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, უზრუნველყოფილ იქნას ყველა ძირითადი ანტისახელმწიფოებრივი,ადამიანობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის და ამ დანაშაულების ჩამდენთა (რომელთაც ხანდაზმულობის ვადა არ გააჩნიათ) სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, მათი მართლმსაჯულებისათვის გადაცემა, მათ მიერ ჩადენილ დანაშაულთა ხარისხის განსაზღვრა დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ, როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო მართლმსაჯულების შესაბამისად.

იმედს გამოვთქვამთ,რომ თქვენი პოლიტიკური ნებითა და ძალისხმევით აღსდგება საქართველოში კონსტიტუციური, სამართალმემკვიდრეობა და ამით წერტილი დაესმება ყოველგვარ უკანონობას,რომელიც ხელს უშლის თავისუფალი, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნას და განვითარებას. საქართველო არ უნდა იქცეს მსხვერპლად დასავლეთის (ევრო-ატლანტიკური) და ჩრდილოეთის (რუსეთის) პოლიტიკური ბრძოლის ავანსცენაზე. ჩვენი, მდიდარი მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და დიდი ტრადიციებისა და კულტურის ქვეყანას, თანამედროვე გლობალიზმის პირობებში, აქვს ისტორიულ-მორალური უფლება იარსებოს და იცხოვროს მსოფლიო ერთა თანამეგობრობაში, რათა შეინარჩუნოს თავისი ქრისტიანული,თვითმყოფადი ფასეულობები. ჩვენ გულწრფელად გვწამს თქვენი პოლიტიკური ნებისა, რომ მოხდება აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტა,რათა საქართველო,როგორც დამოუკიდებელი,ერთიანი,სამართლებრივი სუბიექტი მსოფლიო საზოგადოებისათვის გახდეს მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტი,როგორც კავკასიაში, ისევე მთელს რეგიონში და ერთა ცივილიზებულ თანამეგობრობაში შევიდეს,როგორც სრულუფლებიანი პარტნიორი ქვეყანა.

კეთილი სურვილებით და გულწრფელი პატივისცემით,საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას კანონიერი, კონსტიტუციური, ლეგიტიმური ხელისუფლების – უზენაესი საბჭოს აღდგენის ეროვნული კომიტეტის სახელით:

**გიორგი კერვალიშვილი,**
სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოც-ის პრეზიდენტი;
**ბესო (ბესარიონ) მიქავა,**
იბერიულ-კავკასიური მოძრაობის თავმჯდომარე;
**გურამ პეტრიაშვილი,**
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, მწერალი;
**დავით ბერძენიშვილი,**
ადვოკატი-იურისტი;
**ნანა კახიანი,**
იბერიულ-კავკასიური მოძრაობის პრეს-მდივანი;
**გიორგი თევზაძე,**
სრულიად საქართველოს პატიმართა უფლებების და სოციალური უზრუნველყოფის ფონდის თავმჯდომარე;
**ზურაბ ქობალია,**
ჟურნალისტი;
**არმაზ ჯანელიძე,**
თეოლოგი;

ქ. თბილისი, 04.03.2014 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამეგრელოს ღირსეული შვილები

## მუშნი დადიანი — სამშობლოს შეწირული რაინდი



**„თქვენი საყანე მინდვრები დაუმუშავებელია, თქვენი ოჯახები დამშეული, თქვენი ნივთიერი მდგომარეობა დღითიდღე უარესდება, აგრეთვე ნადგურდებიან მემამულეები, ამ ხნობამდე ბედნიერი თქვენი მხარე, რომელიც თავის მოსახლეობას ჰკვებავდა, უახლოვდება ეკონომიურად სრულ განადგურებას.**

**დიდხანს, მთელ სამ წელიწადს, კავკასიის უმაღლესი მთავრობა ცდილობდა თქვენს მოჭკვიანებას ჩვეულებრივი ზომებით, იმედოვნებდა, რომ მისი მოწოდება კეთილგონიერებისადმი თქვენ მიერ შესმენილი იქნებოდა, მაგრამ ამაოდ...“**

ამის მერე გენერალმა მალამამ დაუნდობელ გენერალ-მაიორ ალიხანოვ-ავარიელს გუბერნატორის უფლებები და სამხედრო რაზმი მისცა და თუ როგორ გამოიყენა ამ ჯალათმა განუსაზღვრელი უფლებები, კარგადაა ცნობილი.

მუშნი დადიანი ერთგან თვითონ წერს, რომ იგი მონაწილე იყო ანაკლიაში შემოსული იარაღის (300 შვეიცარული თოფი) გემიდან გადმოტვირთვისა და ახსენებს მიხაკო წერეთელსა და შალვა ამირეჯიბს, რომლებიც საზღვარგარეთ მეთაურობდნენ ხსენებული იარაღის შესყიდვას (ამ საქმეში ანარქისტი ვარლამ ჩერქეზიშვილიც ერია).

თენგიზ ჟღენტის წიგნშიც ნათქვამია, რომ 1905 წლის 29 დეკემბერს **„შავი ზღვით ანაკლიაში იარაღის შემოზიდვას ფედერალისტები ხელმძღვანელობდნენ“**. დაბა ზუგდიდში სამი ურმით ჩატანილი თოფები ხელწერილით დაურიგდათ სროლაში გაწვრთნილ წითელ რაზმელებს.

ამდენად, ხელისუფლებას ჰქონდა საბაბი მელიტონ გობეჩიას, სპირიდონ კედიას, ვასილ ალშიბაიას, მუშნი დადიანის და სხვა რევოლუციონერების მიმართ საქმე აღეძრათ, რათა ისინი დაეპატიმრებინათ და გაესამართლებინათ.

ბუნებრივია, მუშნი დადიანს სამეგრელოში აღარ დაედგომებოდა, იქაურობას სასწრაფოდ უნდა გასცლოდა და ეს კიდევაც გააკეთა.

აშკარა ლიტერატურული მიდრეკილების მქონე მუშნი დადიანს ლექსების წერა ადრე, ცამეტი წლისას დაუწყია.

სიმონ ჯანაშია თავის მეტად საინტერესო, საფუძვლიან კულტურულ-ისტორიულ ნარკვევში **„გიორგი შარვაშიძე“,** როცა კოწია დადიანის ღვაწლზე ლაპარაკობს ქართულ მწერლობაში და ახსენებს მის ორ პოემას, მიანიშნებს, რომ **„კოწიას შვილები მწერლობას ეწევიან“,** იქვე მოაქვს 1906 წლის 2 ნოემბრით დათარიღებული ლექსი **„გადარჯულებულ სოციალ-დემოკრატს“,** რომელიც უთუოდ მუშნი დადიანს ეკუთვნის, მაგრამ სავსებით გასაგები მიზეზის გამო, სიმონ ჯანაშია მის ვინაობას მაშინ ვერ გაამხელდა.

მუშნი დადიანის ეს და სხვა ლექსები სატირული ხასიათის, პუბლიცისტური ჟღერადობისაა, მხატვრულობის თვალსაზრისით უმნიშვნელო, მისმა ნიჭმა უფრო პროზაულ ჩანაწერებში იჩინა თავი და უმჯობესია, მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას ამ მხრივ დავაკვირდეთ.

მშვენიერია მუშნი დადიანის **„სვანური დღიური“,** 1906 წლის 13 მარტით რომ იწყება. აქ ერთ ზედმეტ სიტყვას ვერ იპოვით, ყველაფერი თავის ადგილზეა. ვხედავთ რამდენ ხიფათს გადარჩენილან გზაში ისა და ახალგაზრდა სპირიდონ კედია, როგორი სანაქებო მეგზურობა გაუწევიათ მათთვის ბეჩოდან გაყოლილ ექვს სვანს.

დღიურის ყოველი ფრაზა მკაცრად მოზომილია (მისი კითხვისას გურამ რჩეულიშვილი მაგონდებოდა) და დოკუმენტური სიზუსტით აღნუსხავს საშიშ, თოვლიან-ყინულიან ბილიკებზე სიმწარით მიმავალთა მოძრაობას, თან იმ ადგილთა თავისებურებებს, ისტორიას გვაცნობს, სადაც მათ უხდებათ გავლა თუ შესვენება: „გზის მაჩვენებელი ხელმძღვანელია მაშინ მთელს სვანეთში ცნობილი მონადირე (1906 წ.), სამოცი წლის მიხაი ჩარკვიანი. მას უკან მისდევს ბებერი, მამაჩემის სახლში აღზრდილი მურზა. შემდეგ მე. ჩემს უკან ახალგაზრდა სვანი იოსებ კიბოლანი. მას მოჰყვება სპირიდონი და შემდეგ დანარჩენები. მივდევთ მიხაის ნაკვალევს. ვშიშობთ, ფეხი არ ავაცდინოთ. ხშირად გზაზე გვხვდება ზვავი, მაგრამ როგორც იყო, გადავრჩით და უკვე ბინდდება. მივუახლოვდით „მანია ბაჩას“, 14 მარტს. ეს სახელი გამოქვაბულს ჰქვია იმიტომ, რომ ამ გამოქვაბულში სვანი ქალის ერთადერთ შვილს, წასულს ალანეთში (ყარაჩაში) შურისსაძიებლად და მობრუნებულს გამარჯვებით, ამ გამოქვაბულის წინ, დაღლილს, ჩასძინებოდა. წამოეწივნენ მდევარი ალანები და მოკლეს. დაასვენეს ამ გამოქვაბულში, სადაც მას მიაგნო დედამისმა და იქვე მიწას მიაბარა. გამოქვაბულს იმის შემდეგ ეძახიან „მანიას ბაჩას“ („ბაჩ“ — სვანურად ქვაბს ნიშნავს). აი, ამ გამოქვაბულში მოვთავსდით რვანივე. ცეცხლი გავაჩაღეთ გაზაფხულის მგზავრებისგან დატოვებული ნაძვის შტოებისგან, მაგრამ აბა რას გვიშველიდა ეს შტოები...“

ყოველ ნაბიჯზე საბედისწერო ხიფათი ელოდებათ მეგობრებს, მაგრამ ბედიც წყალობთ. მუშნი დადიანი შიშნეულ განცდებს არ მალავს, მთელი სიმძაფრით გადმოგვცემს: „აქ ერთ ალაგას, სადაც ადამის ჟამის გაქვავებული ყინული დახურულია ახალი თოვლით, უეცრად თოვლი გასკდა ჩემ ფეხქვეშ და თქვენი მტერი დაღუპულა, როგორც მე დავიღუპებოდი, რომ უეცრად უკან მყოფმა სვანმა მურზამ ხელი მტაცა და დაღუპვას გადამარჩინა. მეორე ალაგას, სადაც უკვე თოვლი ვერ მოიდგამდა სალ კლდეზე ფეხს, მდინარე იუსუნგის სათაურზე, ყინულ ქვაზე დამიცდა ფეხი, მაგრამ თავი შევიკავე და დაღუპვას კვლავ გადავრჩი“.

ამავე დღიურში აღწერილია, როგორ ჩადიან მუშნი დადიანი და სპირიდონ კედია ყარაჩაში, მუშნის დედის ძიძიშვილთან. დაუძლურებულ მუშნის გული წასვლია და ძლივს მოუსულიერებიათ, ორ კვირას მკურნალობდნენ.

აქედან ისინი კვლავ ჩრდილოეთისკენ გაეშურებიან, მდინარე მალყას მიადგებიან, თერგისა და ყუბანის ოლქს რომ საზღვრავს, დიდძალი საქონლის პატრონ მენახირეს ესტუმრებიან. აქ მუშნი დადიანი ოსტატურად აღწერს ნადირობის სცენას: „ის იყო ბინდდებოდა, რომ ორი როჭო ასე, ორმოცდაათი-სამოცი ფეხის ნაბიჯზე, დიდ ლოდზე ჩამოჯდნენ და დაეჭიდნენ ერთიმეორეს და იწყეს ტრიალი და წივილი. მე ამოვიღე ორივე ნიშანში ჩემი მაუზერის თოფიდან და ორივე ძირს დავუშვი, ერთი მკვდარი, მეორე მხარში დაჭრილი“.

მასპინძელი, ვინც გულუხვად უმასპინძლდება მისულებს, მუშნის დედის, დაუმხანის ძიძიშვილი აღმოჩნდა, დიდად გაიხარა ახლობლის გაცნობით, მეორე დღესაც თხოვდა დარჩენას, უფრო თოფის ეშხით, მოციქულს მიუგზავნის მუშნის, ორას მანეთს და ბედაურ ცხენს შეაძლევს, მაგრამ მუშნი დადიანი იმ იარაღს რანაირად დათმობდა, იმის იმედზე იყო და ასე განაგრძეს გზა ყუბანის სათავისკენ.

დღიური ნადირობითვე თავდება. მუშნი დადიანი გადააწყდება გარეულ ინდაურებს, შურთხებს, მაგრამ ისინი იმდენად ფრთხილები არიან, მონადირე ხელცარიელი რჩება.

მე თვითონ, ყმაწვილობისას, ბახმაროს მთებში გავყოლივარ მონადირეებს. ალიონზე მინახავს, როგორ გადარბოდნენ და კრიახობდნენ გარეული ინდაურები. ისინი საკვირველი სისწრაფით დაქრიან ჰაერში, მაგრამ სათოფეზე იშვიათად მიუშვებენ მონადირეს. შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ კლდის წვერს დაფრენილები სქელ ნისლს ეფარებოდნენ. ახლაც ზღაპარივით მაგონდება ის დილა...

შედარებით უფრო მოზრდილია 1924 წლის 13 მარტით (უცნაურია, ადრინდელი დღიურიც 1906 წლის 13 მარტით იწყება, 18 წელია გაწოლილი ამ ორ თარიღს შორის) არის აღნიშნული. „ჩემ დღიურს“ როცა წერდა, სიცოცხლის ხუთი თვე ჰქონდა დარჩენილი. დღიურიც კვიმატ ცამეტ გვერდს შეიცავს და, ძირითადად, ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. აქ სხვადასხვა ამბები ენაცვლება ერთმანეთს. მოყოლილია (ამას სხვაგანაც იხსენებს), როგორც ებრძოდა რუსებს მისი მამაცი ბაბუა გიორგი. იხსენებს 1906 წლის 2 თებერვალს ალიხანოვ-ავარიელის მიერ მათი სასახლის გადაწვას. იგონებს, ექვსი წლისა როგორ ესწრებოდა რუსების ურჩი გიორგი ბაბუას დასაფლავებას. რაღა არ ამოტივტივდება მის უკვე ბურუსგადაკრულ მეხსიერებაში: **„მახსოვს, პირველად ვნახე ძვირფასი ეტლი, მშვენიერის ცხენებით შებმული, რომელიც ეკუთვნოდა სამეგრელოს მთავრინა ეკატერინე დედოფალს, თვალწინ მიდგას აუარებელი ხალხით გატენილი ეზო. თითქოს ეს ყოველი გუშინ ყოფილიყო“.**

სიზმარს ჰგავს ამ დღიურის ყოველი სურათი. აქ ტყუილად დავუწყებთ ძებნას ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას, მაგრამ ყველაფერი ნამდვილია, ოდესღაც მომხდარი და გადატანილი. გიმნაზიის წლები. მეფე ალექსანდრე მესამის ჩამოსვლა ქუთაისში (1888 წლის 8 სექტემბერი) თავისი მემკვიდრით, ნიკოლოზითურთ. თბილისში ჩასვლა 1897 წლის გაზაფხულზე და ათასნაირი განცდები.

1901 წლის 21 ივლისის გახსენება, როცა მათ ოჯახში პოლიციელებმა მოკლეს ციმბირიდან გამოქცეული გვანჯი ჩიქოვანის ბიძა გიდ ემხვარი (თვითონ გვანჯი არაა აქ ნახსენები), მისი და მამის, კოწია დადიანის ხუთთვიანი პატიმრობა ამის გამო.

ვინ იცის, მერამდენედ იხსენებს 1903 წელს მამის სიკვდილს და მის უკანასკნელ ნათქვამს: **„გაუმარჯოს საქართველოს, ღმერთო იხსენი ის მონობისგან“.** მაგიური შთაბეჭდილება მოუხდენია მასზე სულთ-მობრძავი მამის სიკვდილისწინა წამოძახილს. აქვე წერს: **„...იმ დღიდან, თუ შეიძლება ითქვას, ერთი ორად კი არა, გამიასკეცდა ის სიყვარული და უსაზღვრო ლტოლვა საქართველოს განთავისუფლებისადმი...“**

ამავე დღიურში იხსენებს, როგორ შექმნა მებრძოლი რაზმი სპირიდონ კედიასთან, მელიტონ გობეჩიასთან და ვასო ალშიბაიას-თან ერთად, როგორ გადმოზიდა შვეიცარიული თოფები, მათმა პარტიამ ფინეთის გემით რომ გამოგზავნა საზღვარგარეთიდან...

მერე ხელახლა არის გახსენებული, ხუთნი როგორ აუყვნენ ენგურის ხეობას სვანეთ-ში ასასვლელად. გამწარებული იგონებს: **„შევეხიზნეთ იმ სვანეთის მთებს, რომელსაც 1830 წელს მიენდო ბაბუაჩემი გიორგი, დევნილი რუსის მთავრობისაგან. სოფელ ჯვართან, გზაზე, გუბანს რომ ეძახიან, დაგვედევნენ „ყაზახი რუსები“. ვერ დაგვეწივნენ. ცოტა არ იყოს, საშიში გახლდათ ამ ვიწრო ხეობაში ჩვენი დევნა. იქ ჩვენ შეგვეძლო სულ ადვილად დაგვემარცხებინა თუნდ ერთი ბატალიონი. გაჯავრებულმა ჯარმა დასწვა რამდენიმე მოსახლე ჯვარში და უთუთი გოგინავას დუქანი, სადაც ჩვენ პური ვიყიდეთ. 1906 წლის 2 თებერვალს ჩავედით სოფელ ბეჩოში...“**

მართლა წყალი უნდა გედგას ძარღვებში, მუშნი დადიანის ეს სისხლით ნაწერი სტრიქონები სულიერი მღელვარების გარეშე რომ წაიკითხო.

იმ საბედისწერო 1924 წელს, რომელიც სისხლის ზღვად შემორჩა ჩვენს სამშობლოს, მუშნი დადიანი და მისი უმცროსი ძმა ოთარი, მათ მიერ ძმადვე მიჩნეული ნესტორ გარდაფხაძე, სამივენი ღალატით ჩაგდებულები ხელში, ქალაქის განაპირას გაყვანილები, საქართველოს უბოროტესმა მტრებმა ერთად უნდა დაცხრილონ.

1916 წლის 30 მაისის ჯოჯოხეთური, ისტორიული ბრძოლა ცალ-ცალკე, დაწვრილებით აქვთ აღწერილი უშუალო მონაწილეებს — გვანჯი ჩიქოვანსა და ოთარ დადიანს, მაგრამ სულ სხვაა იმავე ბრძოლის ეპიზოდები მუშნი დადიანის, სამხედრო საქმის ნამდვილი პროფესიონალის თვალით დანახული და შეფასებული, რასაც იგი ავსტრიის ფრონტზე ცხრა თვის ყოფნის მერე, 1916 წლის 15 ივლისს, კარპატის მთებიდან, თავის სათაყვანებელ მეუღლეს, მოზრდილი წერილის სახით უგზავნის.

ეს წერილი პირველად როცა ვნახე, ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, თითქოს რემარკის გახმაურებული რომანის **(„დასავლეთის ფრონტი უცვლელია“)** უცნობ ადგილებს ვკითხულობდი. არაფერია მოგონილი და გადაჭარბებული მუშნი დადიანის სიტყვებში: **„30 მაისის დილა, სანამ ცოცხალი ვარ, საისტორიო დღე იქნება ჩემს ცხოვრებაში! ასეთი დილა ძნელად თუ ვისმე გასთენებია. სიკვდილის ცეცხლი თავზე დაგვტრიალებდა ერთი ოჯახის შვილთა, სამ ადამიანს — უჩას, მე და ოთარს“.** ტყვიების წვიმა არ წყდება და წერილში ვკითხულობთ მთლად დაუჯერებელ, ფანტასტიკურ შემთხვევაზე: **„ერთ მხედარს, ჩემთან და ბერიძესთან გვერდში მყოფს, ტყვია საფეთქელში მოხვდა და კანში გაჩერდა! აი ბედი, თუ არ გჯერა“.** ასევე დაუჯერებელი, მაგრამ უტყუარი ამბავია, რასაც იგი თავის თავზე ჰყვება: **„მოგვიხდა შეტაკება სასტიკი, ტყვედ ჩაგვივარდა სამასორმოცდაათი კაცი, ორი ოფიცრით, ორი ტყვიისმფრქვეველით. მე მარტომ დავიჭირე ათი კაცი, ოთარმა — შვიდი, უჩამ — ოთხი. იყო ისეთი წამი, რომ მე და ერთი მხედარი მარტო დავრჩით. ამხანაგები ჩამოგვრჩნენ და გადავეყარეთ ნახევარი როტა მტრის ქვეითთა ჯარს! წარმოიდგინე — მე მარტო და კიდო ერთი კაცი მტრის ასი კაცის წინაშე! მომიკლეს ცხენი, გამიმტვრიეს ბინოკლი ტყვიის ზალპით და კომპასი. მტერი სულ ასი ფეხის ნაბიჯზე მესროდა! მკვდარს ცხენს ონაგერი მოვხადე და წამოვიღე. ასე გადავრჩი სიკვდილს და ტყვეობას“.**

გრძნობ, როგორი სუნთქვააჩქარებული წერს გადატანილი საშინელების გამო, ჯერ კიდევ შთაბეჭდილებათაგან გაოგნებული მუშნი დადიანი ამ ცეცხლოვან სტრიქონებს. ოთარ დადიანიც ატყობინებს თავის მეუღლეს ლილი მარშანიას, როგორ სასწაულად გადაურჩა მისი უფროსი ძმა უეჭველ სიკვდილს.

მუშნი დადიანის ამ წერილში რამდენიმე ძვირფასი ცნობაა. იგი თავიდანვე ასეთ რამეს იტყობინება: **„ამ გაჭირვების დროს ძლიერ ისახელეს თავი აფხაზებმა და მელიტონ ემუხვარის შვილმა კოლიამ, რომელიც ახლა მკლავში და მხარში დაჭრილი რუსეთში წევს, მგონია მარჯვენა მკლავი გაუხმა“.**

ეს უმამაცესი პიროვნება გახლავთ გვანჯი ჩიქოვანი ალალი ბიძაშვილი, გიდ ემხვარის ძმისწული, ვინაც სოხუმში ორიოდე წლის მერე გათავხედებულ რუს მეზღვაურებს თავი შეაკლა. იმ ველურებმა ნიკოლოზ, იგივე თამშუხ ემხვარი, ლეო ქიაჩელის გენიალური მოთხრობის მთავარი გმირის, უჯუშ ემხას პროტოტიპი, ცოცხლად დაწვეს გემის საქვაბეში, რასაც მისებრ უებრო ვაჟკაცის, კონსტანტინე ლაკერბაიას თვითმკვლელობა მოჰყვა.

მუშნი დადიანი ცოლს ფრონტზე გვანჯი ჩიქოვანისა და მისი უმცროსი მეგობრის ჯონჯი (ლევან) დადიანის ჩამოსვლასაც ატყობინებს: **„გვანჯიც ჩამოვიდა აქ, სადაც ვიყავით, მეორე-მესამე დღეს ჯონჯიც. გარდა ამისა ხუთჯერ აუტანელ სროლაში მოვყევით. დასაზვერავად წასულებს ბევრი გვირტყეს ტყვია! ჯონჯი პირველად მოინათლა ზარბაზნის ტყვიის ქვეშ ჩემთან 25-27 ივნისს! ძლიერ კარგი ბავშვია, უთხარი კოკის...“**

ეს ჯონჯი დადიანი, ულამაზესი და სიმამაცით გამორჩეული ვაჟკაცი, შემდგომში ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმელთაგანი გახდა, ალექსანდრე სულხანიშვილის უახლოესი მეგობარი სიცოცხლის ბოლომდე იმ ოცდაოთხ შეფიცულში ერია, ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ერთად აჭარიდან რომ გავიდა უცხოეთში. სამშობლოში აღარც დაბრუნებულა და შორეულ ამერიკაში მყოფს საქართველოს ნატვრაში ამოხდა სული.

ჯონჯი დადიანი უმცროსი ძმა იყო პაატა ქურდოვანიძის ბაბუის, კოკი დადიანისა, რომელიც სავსებით უდანაშაულო (აჯანყებაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია) ოცდაოთხი წლის ამბებს გადააყოლეს, გაუსამართლებლად დახვრიტეს (ხუთი ობოლი ბავშვი დარჩა), მხოლოდ იმიტომ, რომ ხელისუფლებამ მისი უმცროსი ძმების დაპატიმრება და მოსპობა ვერ მოახერხა. კოკი დადიანი სრულიად ახალგაზრდა იყო მაშინ, 32 წლისა.

**ემზარ კვიტაიშვილი**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# “შვილს იმაზე ველაპარაკებოდი, სად უნდა დაკრძალულიყო”

## 17 წლის ტრაგიკულად აღსრულებული ქართველი ბერის ცხოვრება



17 წლის ბერის ცხოვრებისა და ტრაგიკული აღსასრულის შესახებ საზოგადოებამ კარგად იცის... ის 3 წლის წინ გარდაიცვალა და ანტონ მარტყოფელის სახელობის სამონასტრო კომპლექსის ეზოშია დაკრძალული... 23 თებერვალს 20 წლის გახდებოდა...

ჩვენ არაერთი წერილი გამოვაქვეყნეთ “ილორში” ამ უცოდველი ყრმის მოწამეობრივ ცხოვრებასა და აღსასრულზე და გამოვაქვეყნეთ უდავოდ ნიჭიერი შემოქმედის ნაწარმოებები.

სიცოცხლის ბოლო პერიოდში საოცარ ტანჯვას გაუძლო. ის მშობლების ერთადერთი შვილი იყო (ოჯახი სოხუმიდან არის დევნილი), თუმცა როგორც დღეს დედამისი, მილედი (თინა) ჩხვიმიანი ამბობს, ის უფლის შვილი იყო და მისთვის ეწამა...

სიკვდილის წინ დედას საოცარი ანდერძი დაუტოვა: ეზრუნა ონკოლოგიური პრობლემების მქონე ბავშვებზე. დედამ შვილს ანდერძი აუსრულა, – დღეს ის **“ბერი ანდრიას სახელობის ფონდს”** ხელმძღვანელობს, რომელიც ონკოდაავადებების მქონე პატარებს პატრონობს და დედურ მზრუნველობას უწევს. გვინდოდა მისთვის ჩვენც აღგვენიშნა დედის დღე, მაგრამ შემთხვევით წავაწყდით ქალბატონ ლალი ფაციას ინტერვიუს ქალბატონ თინასთან, რომელსაც უცვლელად ვთავაზობთ ჩვენ მკითხველებს, ქალბატონ ლალის კი დიდ მადლობას მოვახსენებთ ესოდენ გულშიჩამწვდომი ინტერვიუსათვის.

**“ილორი”**

**– როგორი იყო ბერი ანდრია ბავშვობაში?**

– ძალიან მშვიდი და საყვარელი ბავშვი იყო, ნიჭიერიც, კარგად წერდა, მაგრამ ცოდნა რომ გამოევლინა, ამისთვის არასდროს აქტიურობდა. ამის გამო ცოტას ვუბრაზდებოდი, ვურჩევდი, გააქტიურებულიყო... საოცარი მოსმენა იცოდა. მერე იმ სკოლაში გადავიყვანეთ, სადაც ქართული ენა და ლიტერატურა გაძლიერებულად ისწავლებოდა. იქვე ასწავლიდნენ სახარებასაც. იქ მიღებულმა განათლებამ მასზე დიდი გავლენა მოახდინა... მისი ჩანახატები, მოთხრობები ხელიდან ხელში გადადიოდა. ნუგზარი (ყრმობაში ასე ერქვა) 12 წლის იყო, რომ მისი ნამუშევრების ბროშურად გამოცემის სურვილი გამიჩნდა და ჩანახატები, რომლებიც განსაკუთრებულად მომწონდა, დავბეჭდეთ. იმ კრებულს თუ ვინმეს ვაჩუქებდი, ძალიან რცხვენოდა... დადიოდა ცეკვაზე, უყვარდა ცურვა. გალობდა. დედაშვილი ქუთაისში, ტაძარში დავდიოდით, დეკანოზ ნიკოლოზის მრევლის წევრები ვიყავით. უკრავდა ხალხურ საკრავებზე. ბოლოს გიტარაზე დაკვრას სწავლობდა. კომპიუტერში თავისით აწყობდა რაღაც კომპოზიციებს. ფორტეპიანოს კლასიც დაასრულა. სადაც იყო, ყველაგან სიკეთე, სითბო და სიყვარული დათესა...

**– როგორც გავიგე, საკმაოდ პატარას გასჩენია სურვილი, მომავალში ბერად აღკვეცილიყო. მაინც რამ მოახდინა მასზე გავლენა, რომ ასეთი სურვილი გასჩენოდა?**

– მეექვსე კლასელმა მიიღო ეს გადაწყვეტილება; მაშინ სკოლიდან ეკლესია-მონასტრებში ბევრს დადიოდნენ... ერთხელაც, ინგლისურის მასწავლებელმა, მარინა გიორგობიანმა დამიბარა და მითხრა, – იცით, რომ თქვენს შვილს ბერობა უნდა? ამის მოსმენა ჩემთვის მოულოდნელი იყო, მაგრამ მაშინ ღვთის მადლით, ასეთი სიტყვები წარმოვთქვი: დიდება უფალს, თუ იმის ღირსი გავხდები, ჩემი შვილი უფლის სამსახურში ჩადგება, ბერად აღიკვეცება, სასულიერო პირი გახდება-მეთქი. ნუგზარის ამ სურვილზე მამამისს ცოტა მწვავე რეაქცია ჰქონდა. – ერთადერთი შვილი ბერად რატომ უნდა აღიკვეცოსო?!

**– მოგვიანებით მამა ანდრიას უკურნებელი სენი შეეყარა. როდის და როგორ მოხდა ეს?**

– მეცხრე კლასი რომ დაამთავრა, შევატყვე, რომ სწავლას ცოტათი მოუკლო, რისთვისაც ვსაყვედურობდი. მეუბნებოდა, – დედა, არ შემიძლია, უენერგიოდ ვარ, მალე ვიღლებიო. არადა, რა ვიცოდი, რომ თურმე უკურნებელი სენი ჰქონდა შეყრილი. გასაოცარი კი არის, რომ ყოველწლიურად, პროფილაქტიკის მიზნით, შემოდგომით და გაზაფხულზე გამოკვლევებს ვუტარებდი და აბსოლუტურად ჯანმრთელი იყო. არადა, მეოთხე სტადიის მეორე ნახევარში კიბო ჰქონია და ამას ვერც ერთი სპეციალისტი ამჩნევდა. როგორც ჩანს, ყველაფერი ღვთის ნება იყო, როგორც ჩანს, ის მძიმე დღეები უნდა გაევლო, რაც გაიარა...

სხვათა შორის, ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან, თავს სუსტად რომ გრძნობდა, თურმე იცოდა, რაც სჭირდა, მაგრამ ამას იმის გამო ვერ ამტკიცებდა, რომ კვალიფიციური სპეციალისტები მის ორგანიზმში საგანგაშოს ვერაფერს ხედავდნენ. თურმე მუხლებში მეტასტაზები ჰქონდა და ექიმებმა რენტგენის სურათის მიხედვით, შლატერის დაავადებააო, თქვეს. მის სისუსტეს ძირითადად გარდატეხის ასაკს აბრალებდნენ. ტუბდისპანსერში მხოლოდ მაშინ დაეჭვდნენ, როდესაც ფილტვში 2 დიდი ინფილტრატი აღმოუჩინეს, სავარაუდოდ, ტუბერკულიომააო. არადა, თვითონ ამბობდა, რომ ტუბერკულიოზი არ სჭირდა... შემდეგ ფილტვზე ოპერაცია გაუკეთდა და დადასტურდა, რომ ტუბერკულიოზი კი არა, კიბო ჰქონდა. ონკოლოგიურში რომ გაგვიშვეს, მეკითხებოდა, რა მჭირსო? ვეუბნებოდი, – დედა, სიმსივნე, ოღონდ, კეთილთვისებიანიმეთქი. ქიმიოთერაპია რომ დაუნიშნეს, – მკითხა, თუ კეთილთვისებიანია, “ქიმია” რატომ დამინიშნესო? მოკლედ, ნელ-ნელა მივყავდი იქამდე, რომ მეც შევგუებოდი მის უმძიმეს დაავდებას, რადგანაც ხომ გითხარით, იცოდა, რომ კიბო ჰქონდა. ერთხელ ჩემი ონკოლოგი მეგობარი მის სანახავად მოვიდა, რომელსაც ჰკითხა: პაციენტებს, როდესაც ავთვისებიანი სიმსივნე უდგინდებათ, თუ ეუბნებით ამის შესახებ? ვერ ვეუბნებიო, – მიუგო მან. ამის უფლება არ გაქვთ, უნდა უთხრათ, რადგანაც იმ ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ სულის საცხონებელი დაავადება სჭირს და ამ სოფლიდან გასვლისთვის უნდა მოემზადოსო. თუ პაციენტებს ამას არ ეტყვით, მაშინ მოძღვარს აღსარებაში უთხარით, რომ ავადმყოფებს ატყუებთ და ეს ცოდვა მოინანიეთო. ჩემი მეგობარი ცუდად გახდა, იტირა... იმის შემდეგ გადავწყვიტე, რომ მისთვის არაფერი დამემალა...

მერე როდესაც ჩვენ შორის უკვე არაფერი იყო დამალული, შენდობა მთხოვა იმისთვის, რომ ასე გაგტანჯე. ვინ იცის, როგორ ინერვიულე, როდესაც ჩემი სენის შესახებ შეიტყვეო. ამას ძალიან ჯავრობდა. ყოველი მეორე-მესამე დღეს სხეულზე ახალ წარმონაქმნს რომ პოულობდა, ამბობდა, - თუ ღვთის წყალობა იქნება, როგორც გაჩნდა, ისევე გაქრებაო... მაგრამ ბოლოს ისიც იცოდა, რომ ეს არ მოხდებოდა და ამ ქვეყნიდან მალე გავიდოდა. მამშვიდებდა: რას იზამ, დედა, ასეა, ამ ქვეყნიდან 17 წლის ასაკში უნდა წავიდე. როცა ამის დრო მოვა, შენც გარდაიცვლები, მე კი იქ დაგელოდებიო...

**– ონკოლოგიურ საავადმყოფოში რამდენ ხანს იწვა?**

– დიდი ბჭობისა და ფიქრის შემდეგ, როდესაც უკვე საბოლოოდ დიაგნოზი დაუსვეს – კანქვეშა ნეიროენდოკრინული კარცინომა მერკერის ტიპის უჯრედების; დავინტერესდით, ვიკითხეთ – სად, რომელ ქვეყანაში შეიძლებოდა მისი სამკურნალოდ წაყვანა. ისიც გავარკვიეთ, რომ ამ ტიპის კიბო თურმე მხოლოდ ხანდაზმულ მაკაცს შეიძლება, დაემართოს და ამის პრეცედენტი მსოფლიოს მასშტაბით იშვიათია. საქართველოში ეს სენი არათუ მოხუცს, მამა ანდრიას გარდა, არავის ჰქონია. ჩვენთან, ონკოლოგიურ საავადმყოფოში გვითხრეს, რომ ყველაფერი დაგვიანებული იყო. გერმანიიდან, ამერიკიდან, ისრაელიდან იგივე პასუხები მოგვწერეს... პირველი ქიმიოპროცედურის წინ, ქუთაისიდან ჩვენი მოძღვარი – მამა ნიკოლოზი ჩამოვიდა. ნუგზარმა მამაოს სთხოვა, მისთვის სახელი გადაერქმია. ვინაიდან წმინდანებიდან გამორჩეულად წმინდა ნიკოლოზი უყვარდა, ისურვა, ეს სახელი დარქმეოდა. მამაომ სურვილი შეუსრულა და შემდგომ უკვე ნიკოლოზად მოვიხსენიებდით. ონკოლოგიურში 15 თვე ვიწექით. პირველი “ქიმიის” შემდეგ საავადმყოფოდან გამოვედით და სახლში – ქუთაისში ჩავედით. შუალედი 21 დღე ჰქონდა და იმ ხნის განმავლობაში არაერთი ეკლესია-მონასტერი მოილოცა. საავადმყოფოში შემდეგი ქიმიოთერაპიის კურსისთვის რომ მივბრუნდით, იქიდან ვეღარ გამოვედით. სიარული აღარ შეეძლო, რადგანაც თითქმის ყველა ორგანოზე ჰქონდა მეტასტაზები მოდებული, მათ შორის – ძვლებზეც. ექიმების პროგნოზი ასეთი იყო, რომ ამქვეყნად მაქსიმუმ, 2-3 თვე თუ გაძლებდა, მაგრამ მამა ანდრიამ წელიწად-ნახევარი იცოცხლა და უმძიმეს სენს ებრძოლა... მისი მკურნალი ექიმი, ონკოლოგი მამუკა ჩუთლაშვილი მისთვის თავდაუზოგავად ზრუნავდა. მამა ანდრია ამბობდა, მე თუ ამ ქვეყნად ვცოცხლობ, ღვთის ნებით და მამუკა ექიმის დახმარებითო. ამიტომ, მთლიანად მინდობილი იყო მასზე. მამუკა ბოლომდე მის გვერდით იდგა და ძალიან მადლიერად ემსახურა. მამა ანდრია ყოველდღე მადლობდა უფალს იმ განსაცდელისთვის, რისი გადატანაც უწევდა...

ბოლოს ნელ-ნელა დამძიმდა. გაუნძრევლად, სულ ზურგზე იწვა. ფეხებს ვერ ამოძრავებდა. ერთხელ ექიმმა უთხრა, როგორ უძლებ ასეთ ტანჯვასო? გაეღიმა... ყველანაირი განსაცდელი მორჩილად და მშვიდად უნდა მიიღო. ამბობდა, რომ ამის ღირსი იყო და მუდმივად მადლობდა ამისთვის უფალს. საავადმყოფოში უმძიმესმა ავადმყოფმა სკვნილების ქსოვა ისწავლა. ყოველი დილა იმ სიხარულით თენდებოდა, რომ სკვნილი მოექსოვა...

**– როდის და როგორ მოხდა მისი ბერად აღკვეცა?**

– იმ პერიოდში ჩემმა მეუღლემ მითხრა, ბერად აღკვეცა ხომ უნდოდა ბავშვს და თუ შეიძლება, ვიკითხოთ, იქნებ აღკვეცონო. მამის ის ნათქვამი გადავეცი მამა ანდრიას. გაგიჟდა სიხარულით და მადლობა გადაუხადა უფალს. თურმე ღმერთს სულ იმას ევედრებოდა, შემაძლებინე, ბერობის ღირსი გავხდე და თუ შენი ნება იქნება, ეს მანიშნეო. რაკი მამამისმა მის ბერად აღკვეცაზე თანხმობა თავისით თქვა, მამა ანდრიამ ეს უფლის ნიშნად მიიჩნია. ჩემი მეუღლე მართლმადიდებელი კი არის, მაგრამ იმ პერიოდში აღმსარებელი და მაზიარებელი არ იყო. ასეთი ადამიანი რომ იტყვის ამას, რა თქმა უნდა, ეს უკვე ღვთის ნება იყო... სწორედ მაშინ ჩვენთან იღუმენი მამა შალვა შენგელია მოვიდა. ის ანტონ მარტყოფელის მონასტრის ბერია, რომელიც ჩვენთან კვირაში სამ-ოთხჯერ მოდიოდა და მამა ანდრიას აზიარებდა. მამა ანდრიამ მამა შალვას უთხრა იმის შესახებ, რომ მზად იყო მორჩილად აღკვეცილიყო. მამა შალვამ გახედა და მიუგო, – ნიკოლოზ, ამაზე მეტი მორჩილება რა გინდა, წელიწადია წევხარ და უმძიმეს ტანჯვას იტანო. მოკლედ, მას ის ერთი წელი და ერთი თვე მორჩილებაში ჩაეთვალა და პატრიარქის კურთხევით, მორჩილი ნიკოლოზი ბერად აღიკვეცა... მამა შალვამ აღკვეცის დღეს მონასტრიდან შესამოსები და ტრაპეზის ხის ჯვარი მოუტანა, რომელიც ხელში მუდმივად ეჭირა ისე, რომ გარდაიცვალა, ჯვარი ხელიდან არც გავარდნია. მოკლედ, აღკვეცის შემდეგ მამა ანდრია ეწოდა. როდესაც იმ ცერემონიის შემდეგ ვეამბორე, მივულოცე კიდეც: – დე, გილოცავ-მეთქი. – არა დედა, დღეს მე შენთვის მოვკვდი. დედა, აღარ მითხრაო. გამეცინა და ღმერთს მადლობა შევთხოვე ამისთვის.

**– რა მოხდა მისი ბერად აღკვეცის შემდეგ?**

– 4 თვე ბერულად იცხოვრა. სულიერად ძალიან გაიზარდა. გარეგნულადაც შეიცვალა. აღკვეცის დღეს ანათებდა, ისეთი იყო. მამა შალვამ ადამიანების მოსახსენიებლები დაუტოვა. მათი მოხსენიება დიდი მადლიაო. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მძიმედ იყო, მათი კითხვა არ მიუტოვებია. ამ ადამიანებს ჩემი იმედი აქვთ, როგორ ვუღალატო? უფალი შემაძლებინებს და წავიკითხავო. უმძიმდა, მაგრამ მაინც არ ეშვებოდა. მის სანახავად მამები მოდიოდნენ და ესაუბრებოდნენ; მოდიოდნენ ჩვეულებრივი ადამიანები, მომლოცველები. კურთხევას სთხოვდნენ. ის ეუბნებოდა, ერთი პატარა ცოდვილი ბერი ვარ და კურთხევის გაცემის უფლება არ მაქვსო. ვისაც ძალიან უჭირდა და განსაცდელში იყო, მათ მოუსმენდა და გარკვეულ რჩევას აძლევდა. თავის მოქსოვილ სკვნილებს მომლოცველებს ურიგებდა. პატრიარქსაც გაუგზავნა მარგალიტებით მოქსოვილი სკვნილი... მოკლედ, საკუთარი საქციელით მისი გარდაცვალებისთვის მომამზადა და ის დროც დაგვიდგა, იმაზე გველაპარაკა, სად უნდა დაგვესაფლავებინა. ეს კი ნამდვილი სასწაული იყო, რომ შვილს ამ თემაზე ველაპარაკებოდი... ბერი რომ იყო, ჩვეულებრივ სასაფლაოზე მისი დაფვლა არ შეიძლებოდა. რაკი დევნილები ვართ და ქუთაისში ვცხოვრობდით, ჩემი ნათესავები ამბობდნენ, იქნებ იმერეთის რომელიმე მონასტრის ტერიტორიაზე დავკრძალოთო. მეუფე იაკობმა და მამა შალვამ კი თქვეს, რომ ჩვენი მონასტრის ბერი ჩვენი მონასტრის ტერიტორაზე უნდა დაიფლასო. იმ დროს მამა ანდრიამაც ასე თქვა: ჩემი ხორცი, სხეული მარტყოფის მონასტერს ეკუთვნის, სული კი – უფალს. მაგრამ თუ თქვენ ასე დაგამძიმებთ, მაშინ როგორც გნებავთ, ისე იყოსო... როდესაც უკვე გაირკვა თუ სად უნდა დაკრძალულიყო, მამა ანდრიამ თქვა: რისი ღირსი გავხდი მე, ცოდვილი ბერი, ანტონ მარტყოფელის გვერდით ვიქნები დასაფლავებულიო. ამას ისეთი გაბადრული სახით მეუბნებოდა, გასაოცარი იყო. ვუსმენდი, ვუყურებდი და არაფრის შემშინებია. მისი გარდაცვალება, ხორციელი სიკვდილი ვერ შევიგრძენი... 2011 წლის 28 ივლისს გარდაიცვალა... 28-ში ძალიან რომ დამძიმდა, მითხრა, მე დღეს გარდავიცვლებიო... მამუკა ექიმს, რომლის იმედიც ყოველთვის ჰქონდა, რომ უშველიდა, იმ დღეს უთხრა, – აქ დადექი და არაფერი გამიკეთოთო...

**– როგორც გავიგე, ის ყველაზე ახალგაზრდა ბერია საქართველოს თანამედროვე ისტორიაში, რომელიც 17 წლის ასაკში აღესრულა...**

– კი, ასეა. მამა ვარახიელმა წაუკითხა ამ სოფლიდან გასვლის ლოცვები... სულ ბოლოს გაიღო პალატის კარი და 7 მღვდელ-მონაზონი შემოვიდა. ასე ამბობენ, ბერს 7 ანგელოზი იცავსო. გადავხედე ხატებს და უფალს მადლობა შევწირე. მივხვდი, რომ უფალმა გამაძლიერა და მამა ანდრიას მადლმა დამანახა ის, რასაც ვერ ვხედავდი. მამების შემხედვარეს, სიმშვიდე დამეუფლა. მინდოდა, რომ იმ დღეს გარდაცვლილიყო, თან, კვირიკეს დღესასწაული იყო და ეს დღე განსაკუთრებულად უყვარდა... ბერები გავიდნენ პალატიდან და მამაო მალე გარდაიცვალა...

**– როგორც ვიცი, როგორც ბერის დედას, ანდერძი დაგიტოვათ...**

– ზუსტად ისევე მოვიქეცი, როგორც დამიბარა. მითხრა, მეცხოვრა როგორც ბერის დედას ეკადრებოდა. ამას შევპირდი; ასევე დამიბარა, რომ ონკოლოგიურ საავადმყოფოში უმძიმესი სენით დაავადებული ბავშვები არ მიმეტოვებინა და მათთან, კვირაში ერთხელ მაინც მივსულიყავი და როგორც შევძლებდი, ისე დავხმარებოდი...

თუ აქამდე ერთი შვილი მყავდა, ახლა ბევრი მყავს, რომელთაც ყურადღებას არ ვაკლებ. მათი ტკივილითა და პრობლემებით ვცხოვრობ...

არც გარდაცვალების შემდგომ შეწყვეტილა ჩემსა და ბერ ანდრიას შორის კავშირი. ძალიან მაძლიერებს. დამპირდა, რომ სულ ჩემ გვერდით იქნებოდა... მადლობა უფალს იმისთვის, რომ მე ამას ვგრძნობ.

**ლალი ფაცია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთი უღირსი და სამარცხვინო პუბლიკაციის კვალდაკვალ

**„როცა ქალი სინდისისგან სულ მთლიანად გაშიშვლდება, ის ვერ შეძლებს სიმწრისაგან წამითაც კი გაწითლებას“**
**ხალხური**

ვინ იყო ის დეპუტატი, რომელმაც ქართული დეპუტაციის წევრთა შორის ერთადერთი შეეწინააღმდეგა თ. კიტოვანსა და სხვა სამხედრო მაღალჩინოსნებს გ. ლომინაძეს **„დროებითი სტაბილიზაციის კომიტეტის“** თავმჯდომარედ დანიშვნის დროს იმ მოსაზრებით, რომ ამით მოგვეჭრებოდა აფხაზურ მხარესთან მისასვლელი გზები და მოლაპარაკებების აღდგენისა და გამართვის ყველა საშუალება (მაგრამ ამაოდ!);

ვინ იყო ის დეპუტატი, რომელმაც, როგორც კი დაინახა, რომ ირღვეოდა 14 აგვისტოს ღამით მიღწეული შეთანხმება და მოსალოდნელი იყო საომარი მოქმედებების განახლება, მივიდა **„გოსსაბჭოს“** წევრ ბატონ რაულ კუპრავასთან ერთად, თ. კიტოვანთან – სთხოვა, არ გადაედგათ ეს ნაბიჯი. პასუხად კი მკვახე სიტყვები მიიღო: **„ომია, ძმაო ომი!“** იმ საღამოსვე, როდესაც ე.წ. ვეჩესთან არ მივიდნენ ერთად მდგომნი თ. კიტოვანი, გ. ლომინაძე და თ. ნადარეიშვილი და მას მოუწია ე. შევარდნაძესთან საუბარი, რომელმაც პირდაპირ უთხრა მას: **„არც მე ვიცი, ბატონო ედუარდ, რა ხდება! თქვენ იცით, რომ 14 აგვისტოს, ღამით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ცეცხლის შეწყვეტის, ძალების დაშორიშორების და მხარეებს შორის დიალოგის დაწყების შესახებ. აფხაზურმა მხარემ გაიყვანა თავისი შეიარაღებული ძალები ახალ ათონამდე და ითხოვენ დიალოგს, ჩვენ კი ამაღამ ვაპირებთ სოხუმის აღებას, თან უნდა ჩამოვხსნათ აფხაზური დროშა და მთავრობის სახლის თავზე ავაფრიალოთ ქართული. რატომ ვაკეთებთ ამას, რა საჭიროა დროშა?! რა, აფხაზეთი არაა საქართველო, უცხო ქვეყანას ხომ არ ვიპყრობთ? რა ხდება, ვერ გავიგე?!“** ედუარდ შევარდნაძის პასუხი კი გახლდათ: **„რა საჭიროა, კაცო, უთხარით ნუ გააკეთებენ ამას. დამირეკოს კიტოვანმა, როგორც გამოჩნდება.“** იქვე მდგარმა თ. კიტოვანმა კი დაიღრიალა: **„როგორც ჩავალ, ყურებით გამოვათრევ იქიდან, როგორც ჩამოვათრიე მოსკოვიდან!“** როგორც იტყვიან, ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა! ქვეყნის ბედი წყდებოდა, ესენი კი ყურმილთან არ მიდიოდნენ. აი, რა ხალხთან გვქონდა საქმე და როგორ წყვეტდნენ ისინი ქვეყნის ბედს!.. და გადაწყვიტეს კიდევაც!;

ვისთან, ვის კაბინეტში მიმდინარეობდა ცეცხლის შეწყვეტისა და ომიდან ღირსეულად გამოსვლის საკითხი, როდესაც აფხაზური მხარის სანდო და ავტორიტეტიანი წარმომადგენლებისგან გახდა მისთვის ცნობილი, რომ არსებობდა აფხაზთა ორმოცკაციანი ჯგუფი ცნობილი პირებისაგან შემდგარი და საჭირო იყო მხოლოდ აფხაზი ხალხის უპირობო ლიდერის, ბაგრატ შინკუბას გამოყვანა მშობლიურ სოფელ ჭლოუდან, სადაც ის ჩარჩა და მოწყვეტილი აღმოჩნდა სოხუმსა და აფხაზ საზოგადოებას, რათა სათავეში ჩასდგომოდა საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც გაემიჯნებოდა ვ. არძინბასა და მის მომხრეებს, რითაც გადაარჩენდნენ, მათი აზრით, აფხაზ ხალხსა და აფხაზეთს. ასეთი ადამიანები მტკივნეულად განიცდიდნენ შექმნილ კატასტროფულ ვითარებას და ეძებდნენ გამოსავალს. ხსნის ერთადერთ გზად ისინი ეთნიკური აფხაზი ინტელიგენციის გაერთიანებას და ხალხისათვის მიმართვას მიიჩნევდნენ. ისინი მზად იყვნენ გამიჯნოდნენ ვ. არძინბასა და მის პოლიტიკას, შერიგებოდნენ ქართულ მხარეს და ამისათვის მათ სჭირდებოდათ და უცდიდნენ მხოლოდ ბაგრატ შინკუბას ჩამოსვლას სოხუმში. შემუშავებული გეგმის თანახმად, ოჩამჩირის ფრონტზე მას აფხაზები შეუქმნიდნენ დერეფანს, ხოლო ჩვენ უზრუნველვყოფდით შემდგომ მის უსაფრთხოებასა და რეანომობილით გამოვიყვანდით, როგორც ავადმყოფს. ამ გეგმის გასაცნობად, ამ ქართველი დეპუტატის მიერ ორჯერ იქნა გაგზავნილი მასთან ისეთი ცნობილი ადამიანები, როგორებიც იყვნენ საკავშირო სამედიცინო აკადემიის სოხუმის თერაპიისა და პათოლოგიური მედიცინის ინსტიტუტის დირექტორი, ქ-ნი ვიოლეტა აგრბა და ცნობილი აფხაზი ჩეკისტი და მწერალი ალიოშა კვიცინია, რომლებმაც ვიწრო ბილიკებით ფეხით იარეს სოხუმიდან ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჭლოუმდე, მაგრამ მათი ძალისხმევა უშედეგოდ დასრულდა – ჩასვლისთანავე ისინი აიყვანეს, ბაგრატ შინკუბასთან ერთად, და გადაიყვანეს ჯერ ქ. ტყვარჩელში, შემდგომ კი ბაგრატ შინკუბა და ქ-ნი ვიოლეტა აგრბა შვეულმფრენით – რუსეთში, ქ. ნალჩიკში, ხოლო ალიოშა კვიცინია ჩაამწყვდიეს კარცერში, სადაც ორი კვირის განვმალობაში მისი ბედი გაურკვეველი იყო. შემდეგ კი შეიწყალეს!

ჩვენი გეგმა ცნობილი გახდა, თურმე, ალიოშა კვიცინიასგან მიამიტობით გამორჩეულ **„დროებითი სტაბილიზაციის კომიტეტის“** ხელმძღვანელისთვის, გ. ლომინაძისთვის, რომელიც მისი ჩავარდნის მე–2 დღესვე ეუბნება ამ ქართველ დეპუტატს: **„რა არის, რომ ჩვენს ზურგს უკან მოქმედებთ?! რატომ არ გვითანხმებთ ჩვენ, თუ რა საქმიანობას ეწევით აფხაზურ მხარესთან?!“.** არადა, 40-მდე აფხაზი, ცნობადი და გავლენიანი ადამიანები, ეძებდნენ კრიზისიდან გამოსვლის გზებს და მზად იყვნენ დამჯდარიყვნენ ქართველებთან პირისპირ მოლაპარაკების მაგიდასთან. ისინი მხოლოდ ბაგრატ შინკუბას ელოდებოდნენ! მისი გამოყვანაც რეალური იყო და ჩვენი გეგმა ორ დღეში ამოქმედდებოდა, რომ არა იმ ჩვენი მაღალჩინოსნის გაზრდილი **„ცნობისმოყვარეობა“**... აი, ვის და როგორ ეწირებოდა ხალხისა და ქვეყნის ინტერესები!.

ვინ არის ის დეპუტატი, რომელიც აკეთებდა ყველაფერს, რომ მშვიდობა შეგვენარჩუნებინა აფხაზეთში და მხარეებს შორის სისხლიან შეტაკებას არ ჰქონოდა ადგილი, მაგრამ, თუ ომი გარდაუვალი იქნებოდა, ძირითადად ადგილობრივ ქართველობას უნდა ეომა, როგორც 1989 წლის ივლისის დღეებში, და, მისი აზრით, მას უნდა დახმარებოდა დანარჩენი საქართველო. ეს პრინციპულად სხვა ხედვა, პრობლემებისადმი სხვა მიდგომა იყო და ამ დეპუტატს ეს მოსაზრება არაერთგზის გამოუთქვამს ხმამაღლა, მათ შორის, სახელმწიფო საბჭოს ლიდერებთან, პირადად ე. შევარდნაძესთანაც, მაგრამ, სამწუხაროდ, ამაოდ!

იმ დროს, როდესაც აფხაზური მხარე გამალებით ქმნიდა მონონაციონალურ შეიარაღებულ ძალებს, ქართული მხარე იყო დაკავებული დესტრუქციული საქმიანობით და არაფერს აკეთებდა მოახლოებული გართულებების პრევენციისთვის, ეს დეპუტატი სვამდა თ. ნადარეიშვილისა და შს მინისტრ გ. ლომინაძის წინაშე კითხვას: **„თავად რატომ არ ვქმნით შეიარაღებულ ძალებს“?!** მას პასუხობდნენ: **„ადგილზე არაფერი გამოვა, აქ ვერაფერს შევქმნით. არსებობს ჯარი და საჭიროების შემთხვევაში მას შემოვიყვანთო!“** მინისტრს **„მხედრიონელები“** და გვარდია ჰყავდა მხედველობაში, რომლებიც დაკავებული იყვნენ სამეგრელოს აწიოკებით, მისი არაერთგზის აოხრებითა და მომავალი ომისათვის ზურგის მორღვევით! ომის დროსაც ვერ ისვენებდა ეს დეპუტატი, შვეულმფრენით, რომელსაც მართავდა **„ავღანელი“** ჯიმი მაისურაძე, გადაფრინდა გალში, შეისწავლა იქ არსებული ვითარება, შემდეგ მოახსენა ედუარდ შევარდნაძეს, რომ იქ უკვე შექმნილი იყო წვევამდელებისა და რეზერვისტებისაგან ხუთი ბატალიონი და სჭირდებოდათ მათ მხოლოდ შეიარაღება და ამუნიცია. ე. შევარდნაძისგან პასუხი იყო: **„12 ათასი ავტომატი გამოგიგზავნეთ და რა უყავით მათ?! მეტი მე არა მაქვს და ვერაფერს მოგცემთო!“** ამ დროს ავტომატები იყიდებოდა ჯერ 40 ხოლო შემდგომ – 80 ათას მანეთად და ვის არ ნახავდით ავტომატით შეიარაღებულს – თავად ჩემი სალანძღავი წერილის ავტორიც, ქ-ნი რაისა და მისი დაქალი ე. ასტემიროვა, ეს ორი – კეკელა და მარო დადიოდნენ ავტომატით მხარდამშვენებულნი! ალბათ წარმოიდგენთ, თუ რა სანახაობა იქნებოდა ეს!

ვინ იყო ის დეპუტატი, რომელმაც უთხრა ედუარდ შევარდნაძეს: **„ბატონო ედუარდ, მე მიკვირს ერთი რამ: გლეხი, რომ გლეხია, მან იცის, თუ რამეს აშენებს – როგორი უნდა ააშენოს, თუ სტუმრობა აქვს, იმის მიხედვით, რა სახსრებიც გააჩნია – რამდენი მოიპატიჟოს და რანაირი სუფრა გაშალოს. ჩვენ რა გვემართება? ეს ჯარი არაა, ეს ლაშქარიაო, ამბობთ თქვენ! რატომ დავიწყეთ მაშინ და რატომ ვაგრძელებთ ომს ლაშქრით, რატომ არ ვქმნით წვევამდელების ბაზაზე რეგულარულ, გაწვრთნილ ჯარს, თუ წინასწარვე არაა დაგეგმილი ომში ჩვენი წაგება“,** რაზეც შუშისებრი გაუხდა თვალები ბატონ ედუარდს და მისმა სახემ მიიღო **„ვზგლიად ჩლენა პოლიტბიურო!“.**

ასე მოიქცეოდა და ასეთი სიტყვებით მიმართავდა ქვეყნის პირველ პირს პირადი ამბიციების ტყვეობაში მყოფი და **„საკუთარი განდიდების სურვილით გაბრუებული“** კაცი?!

ვისთან, რომელ დეპუტატზე გამოდიოდა აფხაზური მხარე, როგორც წესი, და ვისთან აწარმოებდნენ ისინი შეხვედრებს სოხუმში, ადლერში, ბამბორაში თუ მოსკოვში? ვინ იყო ის ქართველი დეპუტატი, რომელზეც გავიდა, აფხაზეთის უშიშროების შეფის ავთანდილ იოსელიანის მეშვეობით, ბ-ნი კონსტანტინ ოზგანი, და, გაგანია ომის დროს, ჩამოვიდა სოხუმში წარმომადგენლობითი დელეგაციით, რომლის შემადგენლობაში იყვნენ აგრეთვე ალექსანდრე ანქვაბი, ოლეგ დამენია, ლეონიდე ლაკერბაია, ვლადიმერ ზანთარია და ვალერი კვარჭია, როდესაც ცალსახად დაისვა საკითხი ცეცხლის შეწყვეტისა და ომიდან ღირსეულად გამოსვლის შესახებ: «Допустим такую ситуацию: мы бросаем оружие, скажите, какая будет Абхазия в составе Республика Грузия?» ასეთი იყო კონსტანტინ ოზგანის სიტყვები! ამას კონსტრუქციული პასუხი გასცა ამ ქართველმა დეპუტატმა, რომლის შემდეგ ალექსანდრე ანქვაბმა აღნიშნა: «Первый раз слышим от грузинской стороны конструктивные предложения!», ხოლო გოგა ხაინდრავამ, რომელიც დეპუტატ აკაკი გასვიანთან და უშიშროების კომიტეტის შეფთან, ავთანდილ იოსელიანთან ერთად წარმოადგენდნენ აგრეთვე ქართულ მხარეს, დასძინა: «Мы полностью разделяем позицию, высказанную депутатом Месхия!»

ამის შემდეგ ბატონი ოზგანი შემოდის წინადადებით: «Ну, что ж, есть над чем подумать, есть над чем поработать. Давайте, прервёмся на несколько дней, а затем встретимся вновь». ამ დროს შემოდის ჯერ გ. ლომინაძე, შემდეგ თ. ნადარეიშვილი შეიარაღებული რაზმითურთ და თავს ესხმის მოლაპარაკების მონაწილეებს. ასე იქნა ჩაშლილი მეტად მნიშვნელოვანი ქართულ-აფხაზური დიალოგი, ომიდან გამოსვლის ყველაზე რეალური შესაძლებლობა. ყოველ შემთხვევაში, არ იქნა გამოყენებული ომის შეწყვეტის, შერიგებისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კიდევ ერთი, ყველაზე რეალური შანსი!

მეორე დღეს სოხუმის მოწმენდილ ცაზე პირველად აფეთქდნენ ჭურვები და მას შემდეგ დაიწყო მათი უწყვეტი თავდასხმები.

კანონზომიერია კითხვა: რატომ აწარმოებდა აფხაზური მხარე მოლაპარაკებებს მაინც და მაინც მხოლოდ ამ დეპუტატთან? რატომ არ გადიოდნენ სხვებზე? რა იყო ამის მიზეზი? თუ გიფიქრიათ ამაზე, ქალბატონო რაისა?!

აფხაზურ მხარესთან ამ ჩაშლილი შეხვედრის დროს, კონსტანტინ ოზგანის ზემოთ მოტანილი შეკითხვის არსით შთაგონებულმა, რომელმა დეპუტატმა ცნობილ იურისტ, გია ქოიავასთან ერთად შეიმუშავა საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში აფხაზეთის სახელმწიფო-სამართლებრივი მოწყობის პროექტი და მიაწოდა საქართველოს პარლამენტს და შემდგომ კოლეგებთან (ჯ. გამახარია, ა. გასვიანი, კ. ჯაჭვლიანი) ერთად გამოაქვეყნა გაზ. **„სვობოდნაია გრუზიაში“,** 1992 წლის 1 დეკემბერს და გაზ. **„საქართველოს რესპუბლიკაში“,** 1992 წლის 2 დეკემბერს?! განა ეს დეპუტატი გამუდმებით არ აყენებდა საკითხს ცენტრისა და რეგიონის ხელმძღვანელების შეხვედრის შესახებ და ამ ძირითადი პრობლემის დროზე მოგვარების მიზნით?!

ვინ, რომელი დეპუტატი გაფრთხილებდათ თქვენ, თ. ნადარეიშვილის გარემოცვას, რომ არ შეიძლებოდა 1995 წლის ქვეყნის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობისთვის, რუსეთის პოლიტიკური პარტიის «Россия – наш дом»-ის მსგავსად, ახალი პოლიტიკური მოძრაობის **„აფხაზეთი ჩვენი სახლია“-**ს შექმნა, რომლის დაფუძნებას აპირებდით უმაღლესი საბჭოს სხდომაზე;

ვინ, რომელმა დეპუტატმა ჩაგიშალათ ეს უპრეცედენტო მცდელობა, რადგან არც კონსტიტუცია და არც უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი არ ითვალისწინებდა ამას;

ვინ, რომელი დეპუტატი გაფრთხილებდათ, რომ არჩევნებში ჩავარდნის შემთხვევაში, რაც, უმაღლესი საბჭოს ავტორიტეტისა და რეიტინგის გათვალისწინებით, მოსალოდნელი იყო, არ აგვცდებოდა მძიმე პოლიტიკური მარცხი – სრული კრახი, მოხდებოდა თვით ამ სიტყვების, **„აფხაზეთი ჩვენი სახლი“-**ას, მისი ფუძეარსის სრული დისკრედიტაცია, ამდენად, ამის გაკეთება გამოუსწორებელი შეცდომა იქნებოდა, რაც გამართლდა კიდევაც – დევნილმა მოსახლეობამ თ. ნადარეიშვილსა და მის პარტიას მისცა ხმათა მხოლოდ 0,1 % და ამით ხელიდან გამოგვაცალა ყველაზე მთავარი – აფხაზეთელობაც! ის, რომ დევნილები აფხაზეთის ძირძველი და მკვიდრი მოსახლეები ვიყავით!

განა ამას არ მოჰყვა ვ. არძინბას შეურაცხმყოფელი და მომაკვდინებელი საეთერო გადმოძახილი: «Я же говорил, что беженцы у себя дома! Выборы показали, что Абхазия не их дом! Вот, теперь они на своей исторической родине!»

ეს იყო შედეგი იმ დეპუტატის გაფრთხილებისა – შეურაცხმყოფელი და მომაკვდინებელი ჩვენთვის!;

ვინ იყო ის ერთადერთი დეპუტატი, რომელმაც 1998 წლის მაისის თვეში გალის რაიონში მეორედ დატრიალებული ტრაგიკური მოვლენების შემდეგ, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის წევრების ქვეყნის პრეზიდენტთან შეხვედრის დროს, ამხილა ხელისუფლება ღალატში და დამსწრეთა გასაგონად უთხრა ედუარდ შევარდნაძეს: **„ის, რაც მოხდა გალში თქვენი, თქვენი ხელისუფლების წინდაუხედავი პოლიტიკის შედეგია და თქვენ ამას, როგორც გჩვევიათ, გადააბრალებთ ისევ გაჭირვებულ ადგილობრივ მოსახლეობას, მაგრამ აქედან არაფერი არ გამოვა – ისტორია განსჯის მტყუანსა და მართალს!“.**

ვინ იყო ის ერთადერთი ქართველი დეპუტატი, რომელმაც დაგვიანებით (2008 წლის 25 სექტემბერს, ქართულ-რუსული ომის და აფხაზეთის გასხვისების შემდეგ!), მაგრამ მაინც მიმართა ქვეყნის ყოფილ პრეზიდენტს, ე. შევარდნაძეს აურაცხელი შეკითხვებით და ამხილა იგი წინდაუხედავ და ღალატის ტოლფას შეცდომებში, რომლებმაც განაპირობეს ხალხისა და ქვეყნის ტრაგედია და რომლის უგუნურებას შეეწირა 30 ათასზე მეტი სიცოცხლე, აფხაზეთის 300 ათასამდე მკვიდრი მოსახლეობა აქცია დევნილად და აფხაზეთი მოწყდა დედა-სამშობლოს – საქართველოს. ამ სასტიკ სიმართლეს, რომლითაც ამხილა ამ დეპტატმა ქვეყნის დამაქცეველი, ედუარდ შევარდანძე, თქვენ და თქვენმა მეგობრებმა **„გარედან მიკერებული ჯიბე“** უწოდეთ! რატომ, რატომ თქვენ არ გახადეთ თქვენს პრეზიდიუმში ის, რაც მოხდა აფხაზეთში, მსჯელობის საგნად? არ აღიმაღლეთ ხმა და არ უთხარით ხალხს სრული სიმართლე, რომელიც დაუფარავად უთხრა ხალხს ამ ერთადერთმა ქართველმა დეპუტატმა, რატომ თქვენ არ გააკეთეთ ეს?!

და ბოლოს, თქვენს შორის ვინ იყო ის ერთადერთი დეპუტატი, რომელმაც უარი თქვა მისთვის სამარცხვინო სახელმწიფო ჯილდოებზე – გორგასლისა და ღირსების ორდენებზე, და არ მიიღო ისინი მოღალატე და ქვეყნის დამაქცეველ შევარდნაძის ხელიდან? თქვენ შორის, ვინ მოიქცა ასე და ვინ დარჩა, მსგავსად იმ დეპუტატისა, ხალხის ინტერესებისადმი ბოლომდე ერთგული? **„განდიდების სურვილით გაბრუებული კაცი“** მოიქცეოდა ასე?!

აქ ვწყვეტ ამ, ცოტა არ იყოს, ჩემთვის ძალიან უხერხულ და უჩვეულო სტილში საკუთარ დამსახურებებზე საუბარს, რაც ცხადია, არ მინდოდა, მაგრამ იძულებული გამხადეს შემეხსენებინა ჩემი ოპონენტებისთვის ის, რითაც ვიყავი დაკავებული უმაღლეს საბჭოში და მის გარეთ, როგორც დეპუტატი, რამდენად არიან სამართლიანნი, კეთილსინდისიერნი, როდესაც ამბობენ, რომ **„არავის არ ახსოვს ჩემი აქტიურობა და გაკეთებული საქმეები, არც აქ და არც იქ“.** ამასთან, უზომოდ შეურაცხმყოფენ, როდესაც მადარებენ **„განდიდების სურვილით გაბრუებულ“** კაცს. ეს მათ სინდისზე იყოს, მაგრამ საინტერესოა და მკითხველისთვისაც, ალბათ არ იქნება ინტერესმოკლებული, თუ შეუძლიათ ამ ქალბატონს და მის მეგობრებს დაასახელონ თუნდაც ერთი, ერთადერთი სასიკეთო საქმე, რომელიც გაუკეთებიათ მათ აფხაზეთში, როგორც დეპუტატებს ანდა მოქალაქეებს. ამას ისინი, სამწუხაროდ, ვერ შეძლებენ და არა მგონია, რომ ამით ძალიან შეწუხდნენ, სინდისის ქენჯნით უზომოდ გადაიღალონ. ასეთი ხალხის დეპუტატობა, მე თუ მკითხავთ, პარლამენტარიზმის, თვით პარლამენტარიზმის იდეის დისკრედიტაცია და შეურაცხყოფაა!

**ნაპო მესხია,**
**პროფესორი,**
*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# სიცრუის ტყვეობაში: ქართველები აზერბაიჯანული მედიის სამიზნეზე



...ყოველთვის ძნელია კოლეგების (თუგინდ – სხვა ქვეყნის) საქმიანობის შეფასება, მაგრამ როცა ქრონიკულ სიცრუეს საზღვარი არ აქვს, აი, მაშინ კი დუმილი უკვე მართლაც აღარ შეიძლება!

ჰო, არახალი ამბავია, რომ აზერბაიჯანული მედიის ზოგიერთი ინტერნეტ-გამოცემა ზედმეტ ტენდენციურობას ავლენს-ხოლმე ამ ქვეყნის საფეხბურთო ჩემპიონატში მომუშავე ქართველი მწვრთნელებისა თუ ჩვენებური ფეხბურთელების მიმართ.

კონკრეტული ფაქტები, რამდენიც გნებავთ იმდენი იყო (და დღესდღეობითაც გრძელდება) და ზოგიერთზე ქვემოთ ვისაუბრებთ...

მანამდე კი რამდენიმე იმ მართლაც კურიოზულ (რბილად ნათქვამია) სიტუაციის გახსენება გვინდა, ზოგიერთი აზერბაიჯანული ინტერნეტ-გამოცემა **("აზერისპორტი", "აზერიფუტბოლი")** აშკარად მცდარ ინფორმაციას რომ ავრცელებდა ქართველებთან მიმართებაში.

აი, თუნდაც სამი წლისწინანდელი ამბავი რად ღირს, როცა ზაქათალის **"სიმურგმა"** და ბოლნისის **"სიონმა"** ამხანაგური მატჩი ჩაატარეს და აზერბაიჯანულმა ვებგვერდებმაც **"სიამაყით"** ამცნეს თანამემამულეებს, რომ ეს შეხვედრა **"სიმურგის"** გამარჯვებით დამთავრდა! არადა, სინამდვილეში... ფრედ დასრულდა ის მატჩი;

თუმცა, ეს კიდევ არაფერი: ასევე, რამდენიმე წლის წინათ იყო, როცა აზერბაიჯანში სტუმრად მყოფი თბილისის **"დინამო"** თურმე ერთ-ერთ იქაურ გუნდთან დამარცხებულა! ამ შემთხვევაშიც ზოგიერთი იქაური ჩვენი კოლეგის ფანტაზიას საზღვარი არ ჰქონდა: იმ დროს, როცა ჩვენი ყველაზე ტიტულიანი კლუბი აზერბაიჯანში **"მარცხდებოდა"**, სინამდვილეში თბილისში იმყოფებოდა და საქართველოს ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩისათვის ემზადებოდა!

ასეთი მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ისე როგორც ბოლო წლებში მომრავლებული ტენდენციური და, ხშირ შემთხვევაში, აბსოლუტურად მცდარი ინფორმაციების გავრცელება ორ აზერბაიჯანულ კლუბში, ბაქოს **"ინტერსა"** და ზაქათალის **"სიმურგში"** დასაქმებულ ქართველ მწვრთნელთა თუ ფეხბურთელთა მისამართით.

ჰო, ეტყობა, ჩვენს სამეზობლოში ზოგიერთი ჟურნალისტი ვერაფრით შეეგუა იმ ფაქტს, რომ **"ინტერის"** მთავარ მწვრთნელს კახა ცხადაძეს და **"სიმურგის"** მთავარ მწვრთნელს გიორგი ჩიხრაძეს თავიანთი კლუბის ხელმძღვანელებისგან ნდობის უსაზღვრო მანდატი აქვთ!

არადა, ეს ყველაფერი ხდება იმის ფონზე, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში თითქმის ყველა აზერბაიჯანულ კლუბში ლამის ყოველი 5-6 ტურის მერე ცვლიან მწვრთნელებს – უცხოელებსაც თუ ადგილობრივებსაც (ერთადერთი გამონაკლისი – **"ყარაბაღის"** თავკაცი ყურბან ყურბანოვი გახლავთ), სახელიანსაც თუ შედარებით უცნობსაც, აი, ცხადაძისა და ჩიხრაძის მიმართ გამოხატული ნდობა კი, ეტყობა, მართლაც, აღიზიანებთ ზოგიერთებს.

თანაც, ადრეც არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ აზერბაიჯანის ბოლო წლების ერთ-ერთი წარმატებული კლუბი **"ინტერი"** ბიუჯეტით, სულ მცირე ხუთ გუნდს **("ნეფთჩის", "ხაზარს", "ბაქის", "ყარაბაღს", " გაბალას")** სოლიდურად ჩამორჩება. თუმცა, ამის მიუხედავად, ცხადაძის ხელმძღვანელობით **"ინტერი"** აზერბაიჯანის ჩემპიონიც გახდა, **"თანამეგობრობის თასიც"** მოიგო, ორჯერ მესამე ადგილზე გავიდა, ერთხელ - თასის ფინალში (სადაც პენალტებით დამარცხდა) და ყველაზე **"უარესი"** შედეგი ჯერჯერობით IV ადგილია (2010-11 წლების სეზონი).

ახლა პირადი რეკორდები? ცხადაძე ერთადერთი მწვრთნელია, ზედიზედ მეხუთედ რომ გაჰყავს თავისი გუნდი აზერბაიჯანის თასის მეოთხედფინალში, ასევე რეკორდსმენია ლეგიონერ-მწვრთნელებს შორის ჩატარებული მატჩებისა თუ მოგებების რაოდენობითაც;

იგივეს თქმა შეიძლება გიორგი ჩიხრაძეზეც, რომლის ასევე მოკრძალებულბიუჯეტიანი **"სიმურგი"** (პერიფერიაში მდებარე ქალაქს, ზაქათალას რომ წარმოადგენს) მწირი ფინანსური თუ ადამიანური რესურსის მიუხედავად, მუდამ პირველი ექვსეულის გარშემო რომ **"ტრიალებს"**.

თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყოველივე ზემოთქმული, ალბათ, ბევრს აღიზიანებს და დრო და დრო იწყება ხოლმე ბინძური კამპანიაც! შარშან, ნოემბრის თვეში აზერბაიჯანულმა ინტერნეტ-გამოცემებმა ლამის სიხარულით აუწყეს თავის მკითხველს, რომ გიორგი ჩიხრაძეს თავისი კლუბის ხელმძღვანელობამ ულტიმატუმი წაუყენა: უახლოეს ორ თამაშს თუ არ მოიგებ, თანამდებობას დატოვებო!

სამწუხაროდ, როგორც ხშირად ხდება-ხოლმე, ეს ინფორმაცია... ქართულმა მედიამაც აიტაცა, არადა, **"სიმურგმა"** ის ორი მატჩი კი მოიგო, მაგრამ არანაირი ულტიმატუმი არ ყოფილა და ეს ყველაფერი მოგვიანებით ჩიხრაძემ თავის ინტერვიუშიც დაასაბუთა.

ჰო, ალბათ, მართლაც ბევრი ღიზიანდება ჩვენს სამეზობლოში, მოკრძალებული ფინანსების მიუხედავად, ქართველი მწვრთნელები შედეგებით რომ ამართლებენ საკუთარი კლუბის ხელმძღვანელთა ნდობას. თანაც, რა გგონიათ, მხოლოდ ცხადაძე-ჩიხრაძეზე აქვთ **"გართულება"**?

კარგად გვახსოვს, ერთ-ერთი იქაური გამოცემა როგორ ცინიკურად იუწყებოდა, "ინტერში" კიდევ ერთი ქართველი მწვრთნელი მივიდაო; არადა, იცით, ვისზეა ლაპარაკი? ვისზე და... ზაურ სვანაძეზე, 1981 წლის დიუსელდორფის ერთ-ერთ ტრიუმფატორზე!

თუმცა, არანაკლები "ეპითეტებით" მოიხსენიებენ-ხოლმე თითქმის ყველა ქართველ ახალწვეულს და მათ შორის, ალექსანდრე იაშვილსაც: "ამ სეზონის დაწყების წინ **"ინტერმა"** კიდევ ერთი პენსიონერი გაიფორმაო".

აბა, ამას რომ დაწერენ, პროტესტის განცდა ქართველ კაცს როგორ არ უნდა გაუჩნდეს. ჰო, იმ **"იაშკაზეა"** ლაპარაკი, 17 (!) წელიწადი რომ გამოდიოდა პირველ თუ მეორე ბუნდესლიგაში და დღესდღეობითაც რომ პროფესიონალიზმის მაგალითს აძლევს თავის პარტნიორებს.

ისე, ყველას ვურჩევდით, რომ აზერბაიჯანის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში, **"რევანის"** კარში გატანილი მისი დიდოსტატური გოლი ნახოს...

...აზერბაიჯანში სხვა არანაკლებ პოპულარული ინტერნეტ-გამოცემებიც არის, სადაც არც ობიექტურობის გრძნობა ღალატობთ და, სხვათა შორის, ქართველი მწვრთნელებისა თუ ფეხბურთელების მიმართ სიმპათიაც გააჩნიათ – მაგალითად, იგივე **"ესქტრატაიმი"** თუ **"აპასპორტი"**.

## ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

თბილისში, 12 მარტს გაიმართა **„გლობალიზაციის პრობლემების კვლევის"** ცენტრის მიერ ორგანიზებული მრგვალი მაგიდა უკრაინის კრიზისთან დაკავშირებით.

აღნიშნული ღონისძიების ვრცელ ანგარიშს გამოვაქვეყნებთ ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომერში.

**გაზეთი "ილორი"**

**გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624**

**თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.**

**ცნობისათვის დარეკეთ – 599.573.322**




# კაცხის სვეტი კლდის მწვერვალზე აგებულ მსოფლიოს ყველაზე შთამბეჭდავ შენობებს შორის

*(მსოფლიო საოცრებები საქართველოში)*

კაცხის სვეტი – ამ დაუჯერებელ, წარმოუდგენელსა და ულამაზეს ქართულ ტაძარს ქართველებზე არანაკლებ აღტაცებაში მოჰყავს უცხოელები. მის შესახებ არაერთი სტატია დაწერილა მსოფლიოს გავლენიან ინტერნეტ თუ ბეჭდურ მედიაში.

არავინ იცის, როდის და ვისმა ნატიფმა მარჯვენამ ააგო ეს საოცრება დღევანდელი ტექნიკის პირობებშიც კი ძნელადმისადგომ ადგილზე.

ამჯერად ნაგებობა ინტერნეტგამოცემა **The world geography**-ის შედგენილ, კლდის მწვერვალზე აგებულ, მსოფლიოს ყველაზე შთამბეჭდავი შენობების ჩამონათვალში მოხვდა.

სტატია შემდეგი ტექსტით იწყება: **"სტატიაში წარმოდგენილი შენობები წარმოადგენს სხვადასხვა ციხე-სიმაგრეებს, შუქურებსა თუ მონასტრებს სხვადასხვა ქვეყნიდან. ეს შენობები მიუწვდომელ ადგილას, მტრისგან დასაცავად აშენდა; ამასთან, ისინი წყლის ზედაპირის გაკონტროლების საშუალებას იძლევა".**



# ნიკოლოზ ბარათაშვილის უცნობი ფოტო

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერი ლარისა შუღლიაშვილი-შენგელია **"ფეისბუქში"** ფოტოს აქვეყნებს და წერს, რომ ეს ნიკოლოზ ბარათაშვილისაა.

**"ვფიქრობ საინტერესო იქნება გაეცნოთ ლიტმუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლის დავით შუღლიაშვილის (1910-1993) სტატიას "ბარათაშვილის პორტრეტი" დაბეჭდილი "საბჭოთა ხელოვნებაში".**

ფოტო აღმოჩენილია 1967 წელს თბილისელი ბარათაშვილების ოჯახში. ამის შესახებ პირველად დაიბეჭდა 1968 წლის იანვარში", – წერს ლარისა შენგელია, რომელიც დავით შუღლიაშვილის ქალიშვილია.



# იუმორი

სვანი სახლში ახალ ავეჯს დგავდა ძველს კი ფანჯრიდან ჰყრიდა. მეზობელიეუბნება:

– ვინმეს არ დაეცეს, სანამ გადააგდებ დაიყვირე მაინც.

სვანმა უპასუხა:

– მე რა მაქვს საყვირელი. ვისაც დაეცემა იმან იყვიროს.

* * *

კახელი იჩხუბებს მამამისთან და წავა სახლიდან. რამოდენიმე თვეში მამას მოსდის წერილი, გახსნის, ნახავს ცარიელ ფურცელს და ჩაილაპარაკებს:

– კიდევ არ მელაპარაკება ეს შობელძაღლი!

* * *

სვანი ზის კავკასიონის უმაღლეს მწვერვალზე და წიგნს კითხულობს. ჰკითხეს:

– აქ რატომ კითხულობ?

– უმაღლესი განათლება უნდა მივიღო.

* * *

კაცი მიდის მივლინებაში და თავის შვილს აბარებს:

– შვილო დედაშენთან რამდენი კაციც მოვა იმდენი ლურსმანი დაარჭე კარებს.

2 თვეში მამა ბრუნდება, კარებზეა 2 ლურსმანი და შვილს ეკითხება:

– რა არის შვილო მარტო 2 კაცი მოვიდა?

– რას ამბობ მამა 2 კარები უკვე გამოვცვალე!

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი. ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930
234-32-95
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცააავა, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge